

ჩვენი თაობა

5

თბილისი

1941

ჩვენნი თაობა

წალიწალი მერვე

საქართველოს საბჭოთა მწერლების
კავშირის ყოფილთვიური ორგანო

12 805

5



სახელმწიფო გამომცემლობა
თბილისი
1941 წალი, მაისი

შინაარსი

მხატვრული ლიტერატურა

	გვ.
ვაჟიკა ფხოველი—გაზაფხული	3
გიორგი კალანდაძე—ალაგირთან	4
სიმონ მეტრეველი—უკანასკნელი ნადავლი	5
გიორგი ძიგვაშვილი—შეხვედრა	8
ვლად. უბილავა —	10
ვლადიმერ სულაბერიძე—კადართან	11
იოსებ მჭედლიშვილი—ოიანა ბუიანა (გაგრძე- ლება)	12

კლასიკური მემკვიდრეობა

იოჰან ვოლფგანგ გოეთე — ლმერთი და ბაია- დერი, თარგმანი გერმანულიდან ხარიტონ ვარდოშვილისა	24
მ. ლერმონტოვი—მწირი (ნაწყვეტი), თარგმა- ნი დავით გაჩეჩილაძისა	27
ივანე ფრანკო — მემალაროე, თარგმანი ილია აგლაძისა	30

პრიტიკა

ილია მაისურაძე—პოეტური ენის სიწმინდისა- თვის ახალგაზრდა მწერლების შემოქმედე- ბაში	46
---	----

ბიბლიოგრაფია

ალ. სიგუა—„ლიტერატურული მათიანე“, წიგ- ნი 1 და 2.	61
შ. ლლონტი—ლადო ბალიაური, „შურისგე- ბა“, „ფედერაცია“, 1941 წ.	63

ვ.გ.მ. რედაქტორის მოვალეობის დროებითი ამსრულებელი:
ირაკლი აბაშიძე.

მდივანი: ნიკოლოზ აგიაშვილი.

ბეგმოწერილია დასაბეჭდად 4/VI-41 წ. შმ18585. ანაწყობის ზომა 7×12. სასტამბო ფორ-
მათა რაოდენობა 4. ნიშანთა რაოდენობა სასტამბო ფორმაში = 51136. საავტორო ფორმათა
რაოდენობა = 5,08. სტამბის შეკვეთის № 729. ტირაჟი 1200.

სახელგამის ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი, ჟორესის ქ. № 5.

მხატვრული ლიტერატურა

ვაჟიკა ფხოველი

გ ა ზ ა ფ ხ უ ლ ი

ჩადგა ცხოველი სისველე ხეში,
ერეოლადაკრული კუნთების ფეთქვა.
დასქდნენ კვირტები თებერვლის თვეში
და ყვავილებმაც იფეთქეს ერთხმად.
ასე გულლაღად არასდროს მდგარა
ეს იშვიათი ბუნების სიბრძნე
და ახლადჩადგმულ სიცოცხლის ძალა
მეც გაზაფხულის დღესავით ვიგრძენ.
ვიგრძენ სიმაგრე გამრჯე ჯანისა
და სურნელება ჩვენი ბაღების,
მოსჩანს ბაღები ორთაჭაღისა,
როგორც გაშლილი ბაირადები.
და ხუდადოვის ტყეც დღის მთაფლავი,
ასე რომ ჰყვავის შვენის სილაღე,
გულში ჩაუკრავს ცხრაძმის საფლავი
და ცხრა ვაჟკაცის სახელს ინახავს.
ჰყვავის მთაწმინდა, კოჯრის ნიაფი
ბელადის ქანდაკს ეაღერსება,
რომ სააღერსოდ სიტყვა ფრთიანი
გამოაფინონ ლექსის მწყემსებმა.
ენტონ მარადეამს ჩვენი გულებიც
და სამშობლოსთვის დადნენ ცვილებად,
როგორც ეს სიტბო მარად უღევი,
ოცდამეერთე აყვავილება.

ალაგირთან

მთას მოუხურავს მხრებზე ბისონი,
თიბათვის თელხვის არის შრიალი,
ახლოა ბუბა და მამისონი,
შორს არის ლარსი და დარიალი.

ახლოა მთების თეთრი გრეხილი,
მაგრამ შორს არის თერგის ქალაქი...
უკან დავტოვეთ უღელტეხილი,
ვუახლოვდებით განთქმულ ალაგირს.

ბუნების ზნე და წესი მხაფრია,
მხაფრი ფერების იცის თამაში.
რამდენი ორბი ცაში დაფრინავს,
რამდენი ვეფხი წევს აკლდამაში!

აქ, ამ მთისა და ბარის მხარეში,
რამდენი გმირის სისხლი დაღვრილა
და გზად გამვლელებს იმ მწუხარების
ახლა რა გვითხრას ამ ალაგირმა?!

მოძმეთა შორის ვინ თქვა დავობა,
ლეკი და ქისტი ჩვენი ძმებია
და შევარდნები მტრებთან საომრად
აწ სულ სხვა მხარეს გაფრინდებიან.

მაგრამ მთისა და ბარის მხარეში,
ძველად რომ ძმათა სისხლი დაღვრილა,
დღეს გზად გამვლელებს იმ მწუხარების
მაინც რა გვითხრას ამ ალაგირმა?:

უკანასკნელი ნალავლი

არაგვი მოძვრებოდა მთების ძირიდან. თანდათან იშლებოდა. გრძელდებოდა, მერე ბოლო უწვირლდებოდა—მიწაზე დაგდებულ ხმალს გავდა. ზედაპირი უპრიალებდა. უზარმაზარი კლდე შუაზე გაეპო და შიგ ესობოდა მახვილად. აქ მრისხანებდა შეუპოვარი. ქვას ქვაზე სხეთქებდა. დამსხვრეულ ზვირთებს წყდებოდა ვერცხლისფერი წინწყლები, ციავით მიფრინავდნენ მალა და ქრებოდნენ.

თვალცრემლიანი უცქეროდა არაგვს ვაჟა. ღრმა ფიქრებში ჩაძირულიყო. ვინ იცის — რას ფიქრობდა იგი! იქნებ ეძებდა გმირს, რომელსაც იმოდენა ხმლის მოხმარა შესძლებოდა, არაგვი რომ ხატავდა მიწაზე. შემდეგ რამდენიმეჯერ დაიხედა ვერცხლის ხანჯალზე, უნებურად გაიღიმა და ცხენს შეუძახა. გაყვა ამწვანებულ არაგვის ნაპირებს.

ზეცას შეავლო თვალი. ღრუბლები ერთმანეთში ირეოდნენ.

მერანს მათრახი გადაჰკრა და ნაბიჯი ააჩქარა. შიშობდა — ავდარს მარილი არ გაეღლო ხურჯინში.

გზის პირზე ყვავილები წელში იმართებოდნენ, ბალახები ცოცხლად გამოიყურებოდნენ. სიხარულით ელოდნენ წვიმის წვეთებს, თვალებს ახელდნენ.

მგოსანს ველარ დაეფარა ალტაცება. მიმართავდა ბუნების შვილებს:

— უყურეთ, დიცი როგორ აიმრიზა. სამყურა ბალახს აფარებს ფოთლებს, ნუ თუ თქვენშიც არის მტრობა? ადამიანებს ვძრახავ, რომ ვერ რიგდებიან, სძარცვავენ ერთმანეთს, რა გაქვთ საჩხუბარი. პატარა რომ არის სამყურა, ნუ დაიბრიყვებთ, ეგაც შვილია ბუნებისა, სიცოცხლე უნდა, აცხოვრეთ ერთმანეთი. ნუ ჩხუბობთ, მეგობრებო! განა მავას კი არ მოსწონს თავი? რა ვუყოთ, რომ შენსიმაღლე არაა, შენსავით განიერი მხრებო არა აქვს, მაინც შვილია ბუნებისა, მაინც სიცოცხლე უნდა!

ესა სთქვა და თვალეში ცრემლი მოერიო. გული აუჩვილდა. ალბათ სამყურის ბედ-ქვეშ სამშობლო წარმოიდგინა.

მისდევდა ცხენს და ამ წუთში მინდიად ქცეულიყო. ესაუბრებოდა სულიერსა და უსულოს. ხან ტიროდა, ხან მღეროდა. მცენარეები ფოთოლთ ტაშით ეგებებოდნენ ბუნების მგოსანს. ხეები მკლავებწამოშლილები ულოცავდნენ გზას. უნდოდათ გაყოლოდნენ, მაგრამ არ შეეძლოთ ადგილიდან დაძვრა. თავდახრილნი, დარცხვენილნი რჩებოდნენ უკან.

ვაჟამ გულდამყრის ხეობას მიაღწია. ნისლი ჩამოწვა ხეებში. ვიწრო ბილიკი უფრო საშიშარი გახდა. უეცრად ცხენი შესდგა, დაიფრუტუნა. პატრონმა ყურადღება არ მიაქცია. ფიქრებში იყო გართული.

— შესდექ! — შესძახა ვილაცამ და თოფებმომარჯვებული ორი კაცი წინ გადაუდგა ვაჟას.

ვაჟამ ელვის სისწრაფით გაიკრა ხელი ხანჯალზე და მალლა შემართა.

— მოკვდეს ვაჟა, თუ დიაცურად დაგიხვდეთ, ვაჟნო!

— ჩააგე ხანჯალი! — შესძახეს ყაჩაღებმა და თოფის ლულები დაუახლოვეს შეუდრეკელ ვაჟაკს.

ვაჟამ ნაბიჯი წინ წასდგა, მაგრამ მალე იგრძნო დამცემთა უპირატესობა. თითის ოდნავი მოწვევა და, რომელიმე ლულიდან გამოყოფდა ცეცხლი ენას. იგრძნო ყოველივე და კბილების ღრქიალით კვლავ ბუდეში ჩააბრუნა იარაღი. თითქოს ჩამოსჭრესო მკლავები, ისე ჩამოეშვინენ დაბლა და ძღუემარედ დადგა.

ერთი ყაჩაღი მივარდა, ვერცხლის ქამარ-ხანჯალი შემოხსნა, წყლისფერი ჩოხა გახადა, ახალუხის ჯიბიდან საფულე ამოჰგლიჯა.

— წაიღეთ, წაიღეთ! — მწუხარედ ამოიძახოდა ვაჟა და თვალს არ აშორებდა ვერცხლის ქამარ-ხანჯალს.

უეცრად იფიქრა ხელიდან გამოეტაცნა ხანჯალი, მაგრამ უშედეგო იქნებოდა, მეორე ყაჩაღს ნიშანში ყავდა ამოღებული. თავი შეიმაგრა. ის იყო უნდა გაქცეულიყვნენ, რომ ვაჟამ თავის ფეხებთან უბიდან დავარდნილი წიგნი შენიშნა. აიღო და უბეშივე ინახავდა. ყაჩაღს ფული ეგონა. მივარდა, ხელიდან გამოსტაცა, გადაფურცლა პატარა წიგნი, ისევ პატრონს დაუბრუნა.

ვაჟამ ახლადდაბეჭდილი პოემა კვლავ ფრთხილად შეინახა უბეში. ყაჩაღს რაღაც აზრმა გაურბინა თავში და მიმართა:

— ამოიღე, ისევ ამოიღე! — და წიგნი ძალით ამოაცალა, — ალბათ ვექსილი იქნება, რომ ეფერები. ესეც ფულია!

— ვექსილი კი არა, ჩემი წიგნია, ქალაქში დამიბეჭდეს „გოგოთურ და აფშინა“.

ყაჩაღი შეკრთა. ადგილზე შესდგა. თვალის რხევა შეაჩერა, თითქოს რაღაცას ფიქრობსო. მერე გაკვირვებით ამოთქვა:

— გოგოთური? გამიგონია გოგოთური და აფშინა. პაპაჩემს უთქვამს. შენ დასწერე?

— დიაღ — მიაგება მგოსანმა.

— ფანდურზე იმღერება?

— თავათ ვმღეროდი ფანდურზე!

— წამიკითხე ერთი, შენიჭირიმე!

ვაჟამ სიამოვნებით გადაშალა წიგნის ფურცელი და დინჯი, ამაღელვებელი ხმით დაიწყო:

„ამბობენ, ბლოელ აფშინა,
მინდოდურის გვარისა,
სძარცვავს რჯულიან-ურჯულს,
მარჯვედ მომხმარე ფარისა.“

თან იქვე გზის პირად ქვაზე ჩამოჯდა.

ყაჩაღები გვერდითვე მიუსხდნენ. მგოსანი გაიტაცა კითხვამ. ყაჩაღები აღელდნენ.

— შენიჭირიმე, აფშინავ, აართვი ხმალი გოგოთურს! — ოძახდნენ ისინი. თვალებიდან ნაპერწკლები სცვივოდათ. სიამოვნებისაგან იგრიხებოდნენ.

აი დაუახლოვდა მგოსანი პოემაში იმ ადგილს, როდესაც გასაქცევად გამზადებული აფშინა გოგოთურმა ცხენიდან გადმოიღო. ყაჩაღები აღლევებულნი წამოხტნენ. დაენანათ წაქცეული აფშინა, რომელიც შესჩიოდა გოგოთურს — იარაღს ნუ ამყრიო. მაშინ ვაჟამ მიმართა:

— აართვას ხმალი თუ არა გოგოთურმა აფშინას? რას იტყვით, ქაეებო?

— წაიკითხე, შენი ჰირიმე! წაიკითხე ქვევით! — ვაჟამ განაგრძო კითხვა. ყაჩაღები უგუნებოდ ჩაჯდნენ. გოგოთურმა და აფშინამ ფიცვერცხლი სჭამეს, ყოფილი მტრები ძმად გაიფიცნენ.

ვაჟამ უკანასკნელი ფურცელი გადაშალა. სახეანთებულმა ყაჩაღმა ნელ-ნელა წამოასხა ჩოხა მგოსანს. მეორემ წელზე შემოარტყა ქამარ-ხანჯალი. საფულეც მოწიწებით ახალუხის ჯიბეში ჩაუღო. მერე მუხლებზე მოეხვია და პატარა წიგნი ხელიდან გამოსტაცა.

ღარცხვენილები გამოემშვიდობნენ პოეტს. დიყიანს შეაფარეს თავი.

ამის შემდეგ გუდამაყრის ხეობაში აღარავინ გაუძარცვავთო, ამბობენ.

შეიძლება პატარა წიგნი იყო უკანასკნელი ნადავლი,

შეხველა

მე რომ პატარა ქალი მიყვარდა —
ლამით შევხვდი და არ დამიღამდა,
შუქი კმაროდა მისი,
დავიწყე, მაგრამ თითონ დამასწრო:
— ცოლად გამომყევ, ქალო ლამაზო,
ამას მეტყვიო, ვიცი.

მეც ხომ პირველი ნახვით ვიცანი
ჩემი ოჯახის სიძე ვინც არი,
ან მე ვისიც ვარ რძალი!..
დავიწყე, მაგრამ ისევ დამასწრო —
ახლა ცეცხლოვან ისრად დამასო
ორი კაშკაშა თვალი.

— რომ გაგყვებიო, სულ დავდინჯდები,
ოჯახს მოკუველი, სახლში ვიჯდები,
თავს ვანაცვალე ქმარ-შვილს,
ასე აშარად, ასე გიჟივით,
თრიალეთური ქარის ყიჟინით
როდი ვივლიო მაშინ. . . . “

შედგა, შემხედა და გაეცინა,
მეც არ მინდოდა კიდევ მესმინა —
ცას გავცქეროდი მწყრალი . . .
იქ ვარსკვლავები ბრწყინავდა ყველა,
აქ კი ის ერთი ციციანათელა,
ერთი პატარა ქალი.

ნუ-მეთქი, ვუთხარ, კარგი ხარ ისე,
მე შენში მხიბლავს ეს სიხალისე,
ეს სიგიჟე და ცეცხლი,
სულ რომ შინ იჯდე, სხვა არ ისურვო,
ხომ გავწყერ-მეთქი, ხომ შეგიძულე,
შეგარცხვინე და შევრცხვი. . . .

აბა კარგით, — გადიკისკისა,
ხელი დაჰკრა და თვალი გიზგიზა
ცისკარს სტაცებდა ფერებს,
ბილიკს გასცდა და გადმოიხედა
და ნიავევით მომწვდა იქედან:
— არ ინანოვო მერე...

...მე რომ პატარა ქალი მიყვარდა —
ლამეს შეფრჩით და არ დაგვიღამდა —
განა გულშიაც ბნელა!
წელს რომ ვქორწილობთ, არც მან დამალა
და თან ამ ლექსით მე დამავალა, —
თქვენც დაგპატიეთი ყველა!

ვლადიმერ შილავა

*

* *

მუხა — რამ მოსილი მწვანით,
შეგზვდება გზისპირას მდგარი,
შრიალებს დლითა და ღამით,
სიო ჰქრის, თუ გრიგალ-ქარი.

მის ჩეროს მგზავრი თუ აღწევს,
ისვენებს და ისმენს ლელვით,
რომ მუხა აჰყვება ზღაპრებს
და რტოთა შაირებს მღერის.

ასეა პოეტიც, გწამდეთ,
შრიალებს, ვით მუხა მძლავრი, —
იმღერის დლითა და ღამით
და უსმენს ურიცხვი მგზავრი.

ჭალართან

დასცქერს ჭადარი რიონის ნაპირს, —
ღროთა ტალღებმა აქ გამორიყეს.
თეთრადმოხილნი ხვდებიან აპრილს
ჩვენს ახლოს ერთად მდგარი ორი ხე.

გადმოიფრინეს პატარა გორი,
ფრთები შეასხეს ერთურთს ჩიტებმა.
მალლა ვარსკლავი ანთია ორი
და სხვა წყვილებით ცა იჩითება.

აქ ტახტი იდგა ლომგულ მეფეთა
ოქრო და ვერცხლით შემოხატული,
მე სიყვარული აქ შემეფეთა
და მისი ტახტი მაქვს აღმართული.

ტახტზე შენ ზიხარ... ირთვება რტონი
ფარჩით და ნელა ჰქრება ზამთარი.
ახლა მე და შენ ვრჩებით მარტონი
და გვირგვინივით ვვადგას ჭადარი.

მისი რტოები არ იღუნება,
ვარსკლავებს კრეფენ ცამდე ნაყარი.
ქორწილს გვიმართავს თითქოს ბუნებაც
და გაზაფხული არის მაყარი.

იოსებ მკვლითვილი

ოიანა ბუიანა*)

მისამე მოჰმეღება

(ქოდალო. რევაზის ციხე-კოშკი. შემოდიან მთვრალი რევაზი და ორი აზნაური).

რევაზ — არა, არ შევარჩინ... ეს უღვაში არა მქონდეს, თუ შევარჩინო... ბატონიშვილი გამიორგულა... ეს ოხერი იმდენი ღვინო დამიღვენია ჯავრი-საგან, ფეხზე ველარ ვდგები...

პირ. აზნაური — არა უშავსრა... ჩვენ მიგიყვანთ სახლში...

რევაზ — თქვენ თქვენი თავი მიიყვანეთ სახლში... ისე არ წაზღება რევაზი, თქვენი წასაყვანი გახდეს.

მეორე აზნაური. — ჰო, მაგარი კაცი ხარ... დიახ, დიახ, მაგარი...

რევაზ — წადით... აქედან უნდა თვალი გადვენოთ, არსად წაიქცეთ.

პირ. აზნაური. — ჩვენი ბატონი ტყუილად კი არა ხარ... უნდა გვიპატრო-ნო (ორივე აზნაური გაღის ბარბაცით).

რევაზ — (წაიქცევა) ეგეც არაფერი... სუფთა ჰაერზე უფრო მალე გამომ-ნელდება... მემრე ავდგები და შევალ შინ... მაგრამ იმას არ შევარჩინ... (ამოუშვებს ხერხვას. შემოდიან გლეხები).

პირ. გლეხი — აი, ბინდ-ბუნდმა მოაღწია და მაინც ვერ გაეძვს სიხარუ-ლით: სულ თეატროზე მინდა ყოფნა (დაინახავს წაქცეულ რევაზს). უჰ!.. ში-ნამდე ველარ მიულწევია მთვრალსა და თავისი კოშკის კარებში წაქცეულა... ნათამდარი იქნება... იქნება სხვა არის? ბატონია.

მეორე გლეხი — ბატონი ამასა და დარდუბალა.

პირ. გლეხი — სუ!.. დღეს რომ ოინი უყო ამას მასხარამ!

მეორე გლეხი — ვენაცვალე იმის ღმერთს... წავიდეთ.

პირველი გლეხი — ოლონდაც: წავიდეთ, თორემ ეს ფხიზელიც საშიშია, მთვრალიც და მძინარიც (გადიან).

სიმღერა — (ისმის გარედან)

ვაჰ, მშვიდობით ქეიფო,
კახურის სმავ ჯამითა,
მე ისედაც მთვრალი ვარ
ბოლმითა და ჯავრითა.

(სიმღერა მიწყდება. შემოდიან ბეგო და მასხარა).

მასხარა — უნდა წავიდეთ. ამაღამვე უნდა წავიდეთ, მაგრამ სად დავკარგე სანთო?

*) გაგრძელება. „ჩვენი თაობა“ № 4.

ბეგო — იქითა კოშკში იყო.

მასხარა — იქითა კოშკში მივალ, აქეთა კოშკში წავიდაო, აქეთა კოშკში მივალ — იქითაში წავიდაო... მე იმის ძებნას მოვუწოდებ ამაღამ. ბეგო, აბა წაიკითხე, რასა მწერს ბატონიშვილი.

ბეგო — (კითხულობს) „ხუმრობა შენი საშიში არს ყოველთათვის, თუმცა მრავალი სიკეთე ვცანი მასში და თვალნი ამეხილნეს ზოგთა საქმეთა ზედან... ხუმრობითა სიმკაცრე ჩემდამი ქარბად არს და ესე არ ვარგა. აღარ ინებო. შევდამისობას მოდი ჩემთან სამხიარულოდ გლენის მოსავლისათვის. ბატონიშვილი.“ ამ წიგნში რა ჰქვიათ სჩანს ეს დასაქტევი.

მასხარა — მასხრობს მეგობარო, მასხრობს.

ბეგო — ჩვენი ხუმრობა ჰქვიათ ისე დასჯდომია, ასე გონია ცხვარიკამია ბატონიშვილი კი არა, დიდი მეცნიერი იყოს.

მასხარა — რას იხამ: ჩვენ თავს ვიგიჟიანებთ, ეგ თავს იტყვიანებს. (დაიხანხავს რევანს) უჰ! სადა ვდებულა.

ბეგო — წავიდეთ (გადიან)

სიმღერა — მაშ მშვიდობით ქეიფო,
კახურის სმავ ჯამითა,
მე ისედაც მთვრალი ვარ
ბოლმითა და ჯავრითა.

(შემოდის ფეშანგი)

ფეშანგი — რა იქნა ის მასხარა! ის ბრეცია! ისე დავუბრეცი ი ყბებსა, ველასოოდეს ველარ გაისწოროს... სად არის მეთქი... საძირკველიანად უნდა ამოვაცალო ის ბაიყუში ენა!

(მღერის)

ეჰ, მშვიდობით ქეიფო,
კახურის სმავ ჯამითა,
მე ისედაც მთვრალი ვარ
ბოლმითა და ჯავრითა.

(კოშკიდან ჩამოდის სანთო)

აბა ის ვინ არის?... კაბა აცვია, ქალბ. იქნება... მოიცა, ვინა ხარ? ოო, სანთო! შენა ხარ? სად არის მამაშენი?

სანთო — მეც იმას დავეძებ... ამაღამ უნდა წავიდეთ. მაგრამ შენ რათა ხარ გაჯავრებული?

ფეშანგი — მამაშენის ნახვა მინდა. ისე. მაგრა უნდა ჩავიკრა გულში, რომ სულ გავუჰეჭყო ი გველისოკოსავით წოწლოტინა თავი.

სანთო — რათა ფეშანგ?... ეგრე გაჯავრებული ჩემს სიცოცხლეში არ მინახეხარ.

ფეშანგი — შენ ძალიან კარგი გოგონა ხარ, ძალიან მომწონხარ, მაგრამ... მამაშენმა მაწყენინა... ისე მაწყენინა, რომ... ძალიან მაწყენინა!

სანთო — როგორ?

ფეშანგი — გამლანძლა... ტყუილად გამლანძლა... ძალიან გამლანძლა... ცილი დამწამა... ვითომ ქალების მოყვარული ვიყო...

სანთო — რაც უნდა ცილი დავწამოს — მამაჩემი იქნება იგი, თუ მამაშენი, მე მაინც... როგორა ვთქვა?..

ფეშანგი — მოგწონვარ?... მაშ მოდი ერთი ჩაგიკრა გულში.
(შემოდის მასხარა, რომელიც დაინახავს მათ. ისინი ევრა ჰხედავენ მასხარას. სანთო შეამჩნევს რევას).

სანთო — დიდი ბატონი! (გაიქცევა)

ფეშანგი — (გაეკიდება) სანთო!

მასხარა — (გამოვა) ვაიმე შეილო, ვაიმე!.. ამას რაღა ეუშველო? საით წავიდე?... ვინ მომცემს ამის წამალს? ვაიმე შეილო, ვაიმე!.. ვაააიმე... ვა... ჰა-ჰა-ჰა-ჰა-ჰა. ჩემ სიცოცხლეში სულ სხვას დავცინოდი და რა უშავს, ცოტა ჩემზედაც გავიცინო. ჰა-ჰა-ჰა-ჰა-ჰა. (გადის ისევე იქით, საიდანაც შემოვიდა).

ფეშანგი — (შემორბის გაბრაზებული) დიდი ბატონი ამასა და დარღუბალა! ისე გამექცა, ერთი კოცნაც ვერ მოვასწარი... მაგრამ ის ხომ გავიგე, რომ მოგწონვარ... ჩემი საქმე გაჩარხულია... გამექცე, მაგრამ შენზე ვიყრი მამაშენის ჯავრს... (გამოჩნდება ტიბუირა). ამიტომ თავს მოვიხრი... უეჭველად მოვიხრი...

ტიბუირა — ვის წინ მოიხრი თავს, ფეშანგი?

ფეშანგი — შენა ხარ ტიბუირ?... აი ამის წინ. (უჩვენებს რევას).

ტიბუირა — ნათამადარია! ალბათ ამის ცოლსა ჰგონია, რევაზი განაგრძობს მესამე წყების დატრობასო — ეს კი აქ გაშხლართულა, თავისი კოშკის კარებში.

ფეშანგი — უეჭველად უნდა მოვიხარო თავი.

ტიბუირა — რათა?

ფეშანგი — რაღა საკითხავია? არ იცი რათა?

ტიბუირა — მაინც რათა?

ფეშანგი — ამასთან რამე გაგვივა? ამან ყველა დიდ ბატონებს აჯობა და რა ვართ ჩვენ?

ტიბუირა — ეგრე სჭრის შენი ჭკუა?

ფეშანგი — დიახ. შენ კი არ ვინდა, თავი მოიხარო რევასის წინაშე?

ტიბუირა — პირიქით, მიჩვენია სადმე ჩავუჯდე წვრილ ორლობეში და სული ფაშვებიდან გამოვადინო.

ფეშანგი — ჩუმად! არ ეღვიძოს... შიშისაგან გამოვფხიზლდი... ეგ კაი აზრია, მაგრამ მეშინიან.

ტიბუირა — მძინარე ბატონისა? ღვინით გაფუებულს ისე სძინავს, ხარბაზანძიც ვერ გამოაღვიძებს... არაფერი აზრი არ მოგდის მაგ თავში?

ფეშანგი — არ მესმის.

ტიბუირა — ეს მთვარიანი ღამეც ხელს შეგვიწყობს...

ფეშანგი — ვერაფერი ვერ გამიგია...

ტიბუირა — რა ვერ გაგიგია... მოდი ეს ქოფაკი ჩავაძალოთ.

ფეშანგი — ჩუმად! არ გაგიგოს... შენ ამბობ ჩავაძალოთო, მაგრამ რისთვის? იქნებ გვაპატიოს?

ტიბუირა — რა უნდა ვაპატიოს? ისა, რომ გარყენილი ხარ? გამიგონე: რევასისაგან არც მე ვარ ბედნიერი და არც შენ.

ფეშანგი — მართალია. მერე?

ტიბუირა — მერე ისა, რომ თუ ვაქცავი ხარ, ეხლა კაი დროა ამ ძაღლის ზევით გასაგზავნად. (აჩვენებს კას).

ფეშანგი — ჩუმად! რამოდენსა ჰყვირი... თავის მოსახრელად მოვედი და... მართლა კარგი კია, კაცმა თავი კი არ დახაროს, უფრო მალა ასწიოს... აი, ასე....

ტიბუირა — მოჰყე რალა სიბრძნეს! აი, მე ხანჯალს ვიღებ ამ ქარქაშიდან იმ ქარქაშიში ჩასაგებად. (უჩვენებს რევას).

ფეშანგი — მოიცა!.. ეგ რომ მოვკლათ, მთელი ქვეყანა შეინძრევა.

ტიბუირა — მთელი ქვეყანა არა, მაჩვის კარაქი არ გინდა.

ფეშანგი — ჰო! ჰო! მთელი ქვეყანა შეინძრევა. ბატონიშვილი გაწყურება, მოგეძებნიან... დაგვიჭერენ... თვალებს დაგვთხრიან... ამას ის არა სჯობია, თავი მოვიხაროთ?..

ტიბუირა — ეგ მკვდარი იქნება და ამაზე იქით ვიღასი გეშინიან? მოვკლათ და თავისუფალ გლეხებს დავაბრალოთ, ყმებს ვიშოვით.

ფეშანგი — მე-და-ჩემმა ღმერთმა, მართალს ამბობ... მოხერხებული კაცი ხარ... მოვკლათ და თავისუფალ გლეხებს დავაბრალოთ, ყმებს ვიშოვით.

ტიბუირა — ჰა! ჩქარა! რაკი პირიდან ამოვიდა სიტყვა — „მოვკლათ“ — უნდა მოვკლათ.

ფეშანგი — მე მოვკლავ...

ტიბუირა — თუ მაგას გაჰბედავ, გმირს დავიძახებენ და რევასის შემდეგ შენ იქნები პირველი თავადი ქიზიყში... მე გავიხედ-გამოვიხედავ, არავინ მოდიოდეს. (ტიბუირა გადის).

ფეშანგი — (ხანჯალს ამოიღებს. აქეთ-იქით იყურება) ღმერთო და ბედო!

ოლოლი — მეხბორეეე...

ფეშანგი — (შეკრთება) ოლოლი იძახის... ძნელი საქმე ვიკისრე... ვილაცა მოდის მგონი... არა, არავინ არის. გული შიგ ყელში შებჯინება... მაგრამ ამის შემდეგ ხოშ მე ვიქნები პირველი თავადი ქიზიყში... გასკერი ჩემო ხანჯალო.

(უცებ გამოცხადდება მიფარებული ტიბუირა და აღმართულ ხელში ხელს უტაცებს ფეშანგს).

ტიბუირა — რას სჩადი შე ოჯახდაქცეულო! გაუშვი ხანჯალს ხელი! გაუშვი მეთქი! (იბრძვიან).

ფეშანგი — ვაიმე, წამიცადა...

ტიბუირა — გაუშვი, (თორემ გამოგფაშვამ... როგორ გაუბედე ჩემს ბატონს... ხალხნო! მიშველეთ, ბატონსა ჰკლავენ! არ მოგაკვლევინებ, ფეშანგ, ჩემს ბატონს... გაუშვი მეთქი ხანჯალი!

(ქიდილის დროს ტიბუირა ფეხს გაჰკრავს რევასს, გამოიღვიძოს).

ფეშანგი — ვაიმე დედავ!.. კიდევ შემაცდინა!

ტიბუირა — დიდო ბატონო, გამოიღვიძე!.. გკლავენ... რამ დაგაძინა ასე მაგრა!.. მიშველეთ!.. გაუშვი ხანჯალი ფეშანგ!

ფეშანგი — არ გავუშვებ!

ტიბუირა — აი თუ არ გაუშვებ!

(მუცელში მუხლს ატაკებს და გააშვებინებს. ტიბუირა ხანჯალს გააქცევს და ფეშანგი გამოეკიდება, მაგრამ ისევ მალე შემობრუნდება რევასთან).

ფეშანგი — წამიცადა... კიდევ წამიცადა... გამასულელა... გამაბრიყვა... რა-ლა უნდა ვქნა?

რევასი — (წამოიწივებს)

ფეშანგი — ძილი გაამოს, დიდო ბატონო.

რევასი — ვინა ხარ შენა?.. რალაც ყვირილი ისმოდა.

ფეშანგი — ძილი გაამოს, დიდო ბატონო.

რევასი — ფეშანგ, შენა ხარ?

ფეშანგი — დიახ, ძილი გაამოს.

რევაზ — დიდი ხანია, რაც გათენდა?

ფეშანგი — დიდკაცთა ვახშობა იქნება... მთვარიანი ღამე გახლავთ...

რევაზი — დიდკაცთა ვახშობა? მემრე, ამ დროს რისთვის გარჯილხარ?

ფეშანგი — გარეთ მწოლარე რომ გნახე, გაატრონობდი...

რევაზი — რადა კანკალებ?

ფეშანგი — იმიტომ, რომ შენს წინაშე დამნაშავე ვარ.

რევაზი — სხვა არაფერი?.. ცარიელი ქარქაში რადა გკილია? რა უყავ ხანჯალი?.. (ფეშანგი დაიბნევა)

ფეშანგი — ხანჯალი?..

რევაზ — რა გაკანკალებს?..

ფეშანგი — ბევრი ღვინო დავლიე და ენა მებმება... დიღო ბატონო, მე შენი ერთგული ვარ... ხალხი გაფუჭდა, ტყუილად აბეზღებენ ერთმანეთს. აღარავის დაეჯერება.

რევაზი — ხანჯალი სადა გაქვს მეთქი?

ფეშანგი — ხანჯალი?.. არ უნდა მეთქვა, მაგრამ ვიტყვი, ოღონდ დაბეზღებდად ნუ ჩამომართმევ. ტიბჟირა მოვიდა აქა, მან შენზე ცუდი სიტყვა სთქვა, შენს დასაცავად ამოვიღე ხანჯალი, მაგრამ მთვრალს რაღაცნაირად წამგლიჯა და გაიქცა...

რევაზი — მართალს ამბობ?

ფეშანგი — სიმართლესაც დაგიმტკიცებ და ერთგულებასაც.

რევაზი — ეგ მხოლოდ ეფენებიანი სიტყვებია.

ფეშანგი — საქმიანაც დაგიმტკიცებ. გეფიცები ამ ახალგაზრდა უღვაშს.

რევაზი — ასეთი უეცარი ცვლილებები ჰხდება ხოლმე ადამიანში. მე ვიცი, ტიბჟირა ჩემი მოკეთე არ არის, არც შენა ხარ ჩემი მოკეთე და არც დავიჯერებ შენს სიტყვებს, სანამ საქმეს არ დავინახამ...

ფეშანგი — დამავალე, დიღო ბატონო.

რევაზ — რა დავავალო?

ფეშანგი — რაცა გნებავდეს. დღეის იქით შენი მტერი ჩემი მტერია (შემოდის ტიბჟირა მხიარული და გამარჯვებული).

ტიბჟირა — დიღო ბატონო, შენი ერთგული ყმა მოვალე ვარ შოგახსენო: აი ამ ხანჯლით თავად ფეშანგს მოკვლა უნდოდა შენი.

რევაზი — გამაღლობ, მაგრამ ეგ არაფერია... დღეს არავისი დასჯა არა მსურს... ხანჯალი დაუბრუნე პატრონსა და ცოტა ხანს ფეშანგთან დამტოვე მარტო. (ტიბჟირა ხანჯალს დასდებს და გაკვირვებულ-გაწბილებული გადის) ფეშანგ, აიღე შენი ხანჯალი... მაშ საქმიანაც დამიმტკიცებ ერთგულებას, ჰა?

ფეშანგ — ოღონდ დამავალე და! სპილოს ძლიერება ჩამიდგება ძარღვებში, ლომის სიფიცხე და გველის ჭკუა.

რევაზ — მაშ კარგი... შენ უნდა მასხარა მოჰკლა.

ფეშანგი — სხვა არაფერი?

რევაზ — სხვა არაფერი და თუ ამას გააკეთებ, საუკეთესო მეგობარი იქნები ჩემი.

ფეშანგი — დიდი სიამოვნებით!

რევაზ — მოიტა ხელი!

(მისცემენ ერთმანეთს ხელს. ამ დროს შემოდის მასხარა. რევაზი და ფეშანგი მხარი-მხარს გადაბმულები ვადიან, მასხარას ვერა ჰხედავენ).

მასხარა — საკვირველია! რამ დაამეგობრა ეს თხა და ეს მგელი?.. რალა არ ჰხდება ამ ცოდვით სავსე ქვეყანაში! ფუჰ, სანთოს დავეძებ და ამით კი ვპოულობ. სანთო! სადა ხარ? ნათქვამია: გლიე, გლიე, ვერ დაგეწიე, დაეჯეჭი და მოგიცადეო. მეც დაჯეჯდები და მოვუცდი.

(დაჯდება კუნძუზე თავს ჩაპლუნავს და დაფიქრდება. შემოვა სანთო. მამის დინახავს მასხარა ვერ ხედავს. სანთო ყურს უგდებს მამის ნაღვლიან ლექსს).

ძალლი ჭოპოსანს ჰლოკავდა,
ენიდან სისხლი სდიოდა,
იმას კი ასე ეგონა,
ჭოპოსანს გამოსდიოდა.

სანთო — (მივა მამასთან და გამოეცხადება) რაზე ამბობ მაგას, მამაჩემო?
მასხარა — ოო, ჩემო პეპელავ! მოფრინდი?.. ისე, კარგი შაირია... გულზე მხვდება.. მე ქვეყანა მიყვარს, ქვეყანას კი ვეჯავრები.

სანთო — მემრე? მაგიტომ გადიმტერე ფეშანგი? რას გერჩოდა?

მასხარა — ჰა-ჰა-ჰა-ჰა-ჰა!

სანთო — რას იცინი?

მასხარა — დაგეძებ, დაგეძებ... ჭია-მაიაც კი გამოვატრინე შენსკენ და...

სანთო — მე კიდეც შენ დაგეძებ.

მასხარა — მართლა?

სანთო — დიახ... ერთი სათნოვარი მაქვს...

მასხარა — რა?

სანთო — ნუ წავალთ ამაღამ საქობოში. ხვალ საღამოსთვის გადადე.

მასხარა — რადა?

სანთო — ისე... არ გეშინიან, მტერი რომ გაიმრავლე? შენ უნდა შეურიგდე ფეშანგს.

მასხარა — აი მაგისი მეშინიან მხოლოდ, სხვა არაფრისა.

სანთო — რისა?

მასხარა — იმისა, რომ შერიგებასა მთხოვ. ფეშანგთან, რომელიც გულ-უბრყვილო ქალების შეცდენაზე ფიქრობს.

სანთო — არა, მამაჩემო. ქალიშვილი ვარ, მაგრამ იმდენი ჭკუა შემწვევს, ეშმაკს ნახტომი შევაშლეწინო.

მასხარა — ეგ ისე გამოდის, რომ ეშმაკზე უარესი ჰყოფილხარ.

სანთო — არა.

მასხარა — მაშ რა?

სანთო — შენზე ამბობენ, ხარიტონა ძლიერ ჭკვიანი კაცია, კარგადა ხუმრობსო.

მასხარა — მერმე?

სანთო — მერმე... შვილი ვარ შენი და სხვა არაფერი... ხა-ხა-ხა-ხა-ხა!

მასხარა — აღარ ვიცი: მე ვატყუებ, თუ ეს მატყუებს.

სანთო — ხა-ხა-ხა-ხა-ხა!

მასხარა — რას იცინი?

სანთო — ხუმრობით ვიცი, მამაჩემო — შენსავით ხა-ხა-ხა-ხა-ხა.

მასხარა — სანთო, ორი კვირისას მოგიკვდა შვილო, დედა. იმის შემდეგ დედაც მე ვარ შენი და მამაც... ამიტომ მე დამიჯერე... ნუ აჰყვები გარყვნილ, თავადებს... აი, ეს ჯვარი ბატონიშვილმა მაჩუქა კარგი ხუმრობისათვის. შეიდმანისობასაც ვარ მასთან მიწვეული. კიდეც მაჩუქებს ჯვრებს, ხატებს.



მე ამ სიახურებს ოქრომქედელს გადავადნობინებ და ძვირფასი სამკაულებით მოგრთავ... წავიდეთ.

სანთო — ამალამ მაინც ნუ წავალთ. ხვალ სალამომდე ნება მომეცი ვიხტუნო აქა და ვინც ჩემს ხტუნვას აჰყვება, რა გენაღვლება, მოიტეხოს კისერი.

მასხარა — წავიდეთ გენაცვალოს მამაშენი, წავიდეთ (გაღიან).

(მანანას სიცილ-ხარხარით შემოსდევს ფეშანგი).

ფეშანგი — ო-ჰო-ჰო-ჰო-ჰო-ჰო-ჰო! რა გაქცევა გცოდნია, მანან. ჩემი მწევარიც ვერ გაჯობებდა. ახლა, რა გაწრთვნილი მწევარი მყავს და! სულ შუბლში მიყურებს.

მანანა — მართლა?

ფეშანგი — მართლა მაშ! მერმე იცი, რათ მიყურებს შუბლში?

მანანა — როგორ არ ვიცი: შიგ ბევრი მწყურები გისხედს და იმიტომ.

ფეშანგი — გაქცევაში სწორედ ჩემს მწევარსა ჰგეგხარ... რევაზმა და ზაქარიამ რომ გიყიდეს ქუთაისში საქმოდ...

მანანა — მერე, შენ რა?

ფეშანგი — აი რა (უნდა აკოცოს).

მანანა — ნუ თავხედობ თავადო!

ფეშანგი — თავხედობა რას მიქვიან, ლამის დედალსავით დაგედევნო, მაგრამ ვიშობ, სულ არ გამიფრინდე... (დაარტყამს ხელს მკერდზე). იფ! რა მკერდია!

მანანა — ფრთხილად!

ფეშანგი — ზედ ციხე-ქალაქი აშენდება.

მანანა — ფრთხილად მეთქი!

ფეშანგი — რა დროს სიფრთხილეა, ლამის დამალი ჩამომივიდეს (ეცემა კიდევ საკოცნელად).

მანანა — აი თუ არ მომეცლები (გაარტყამს ყბაში), მოგხვდა? (მანანა გადის).

ფეშანგი — ვაი... შე კახპავ!.. რა ძიან გამარტყა... ვაიმე... (ყბაზე ხელს მიიდებს და დაიჩოქებს, შემოდის სანთო).

სანთო — რა დაგემართა, ფეშანგ?

ფეშანგი — არაფერი!.. კბილი ამტკივდა უცბად.

სანთო — ნეტავ არ მეშინოდეს, მალამოს დაგდებდი.

ფეშანგი — (წამოხტება) ნუ გეშინიან გენაცვალე. აი მარტო მაგ სიტყვამ დამიამა ტკივილი. სანთო!

სანთო — ფრთხილად, არ დაგვინახონ.

ფეშანგი — ვინ დაგვინახავს, ყველა სახლშია შებუდებული.

სანთო — მამაჩემს გამოგებარე.

ფეშანგი — რა ვქნა, სად შეგხვდე, რომ არავისი გეშინოდეს. უშენოდ ვერ გამიძლია სანთო.

სანთო — არა მჯერა ეჭ სიტყვა ფეშანგ.

ფეშანგი — აი თუ არა გჯერა.

(ხელს მოხვევს საკოცნელად. ამ დროს შემოდის მასხარა და დინახავს).

მასხარა — ამასაც მოვესწარ? ვაიმე შეილო.

(თავს ისევ ისაფრებს და ჩუმად ზეერავს, სანთო ნებას არ აძლევს კოცნისას).

სანთო — გამიშვი... დაგვინახავენ.

ფეშანგი — ვინ დაგვინახავს ამ შუალამისას?

სანთო — მამაჩემი!

ფეშანგი — მაშ სადა გნახო, რომ არ დაგვინახონ?... რას გაჩუმდი? მიოხარ...
შენთან ბედნიერება მინდა დიდხანს და უშიშრად — სად გნახო მეთქი?

სანთო — შეიღმისობის წინა ღამეს მოდი ჩემთან საქობოში.

ფეშანგი — მამაშენი?

სანთო — მამაჩემი შინ არ იქნება. მიწვეულია ბატონიშვილთან. მოსავლის
დღესასწაული უნდა იმხიარულონ... მარტო მე ვიქნები!..

(სანთო უცბად გაიქცევა. ფეშანგი გასდევს უკან)

მასხარა — (გამოცხადდება, თითს მიიღებს (შუბლზე) მაშ ეს ადამიანია? აბა
შეხედეთ, რასა ჰგავს! რასა ჰგავს! შუბლი გაჰრეცხია! წელში მოხრილა,
სხვებს დასცინის თვით დასაცინი, ჩამობღღენილი, გაძარცვული... აღარც სვინ-
დისი, აღარც ნამუსი... შარვალი აცვია და თავისი თავი კაცი ჰგონია... ხა-ხა-
ხა-ხა-ხა!.. (შემოდის ბეგო).

ბეგო — რას იცინი? ვის დასცინი?

მასხარა — ჩემს თავს... ერთი უყურე, რასა ჰგავს... ხა-ხა-ხა-ხა-ხა-ხა! აქამ-
დე სხვას დავცინოდი და ახლა ჩემს თავს დავცინი. რა მასხარა ვარ! ხალხნო!
(შემოდთან) მოდით და გაიცინეთ. საკუთარი სისხლი ამოჯანყდა და ჩემი ლა-
ლატი ჩემივე ღვიძლებიდან მომდინარეობს.

ყველანი — ?

მასხარა — ხა-ხა-ხა-ხა-ხა. ოიანა-ბუიანა!..

გ ა თ ე ნ ე ბ ა

(მამალი სამჯერ იყვილებს და გათენდება. ჩუმად შეხვდებიან ერთმანეთს დედა-შვილი,
სიღო და უთრუთი. ბაძო და თავლო. ისევე ჩუმად მოვა მათ სანახავად ბაძოს მამა, მო-
ხუცი ზაზო, ბერიკებს მიხიზნებულნი).

სიღო — შენ გენაცვალოს დედა, შვილო...

უთრუთი — აღარ შემიძლიან დედი... აღარ შემიძლიან... ველარ დავუდგები
ბატონს.. მიშველე რამე დედი...

სიღო — რა გიშველო შვილო (მოთქმითა ტირის), დაიწოს და დაიხრაკოს
ჩვენი ცოდვით ჩვენი ბატონი შვილო... რა შეეცოდე ამ შავი ღლისათვის
ღმერთსა შვილო...

უთრუთი — ნუ ჰტირი დედი, თორემ მეც ვიტირებ ამოდენა კაცი... (შემო-
დის ერთი მხრიდან რევაზი, მეორიდან ზაქარია).

რევაზ — შენ ეი, უთრუთ!

ზაქარია — კიდევ შეჰხვდით ერთმანეთსა?

რევაზ — უთრუთ! გაყრილობაში შენ მე მერგე და ხომ გამოგიცხადე, ჩემ
განაყოფთან არა გნახო მეთქი!

ზაქარია — სიღო, შენც დაისწავლე: ჩემი ძმა ჩემი მტერია და ჩემმა ყმაბ
უნდა ფეხი ამოიკვეთოს ჩემი მტრის ყმიდან. ერთად აღარა გნახოთ.

სიღო — რა ეჭნა, ბატონო, უთრუთი ჩემი შვილია, ჩემი ღვიძლი და ჯიგა-
რი — როგორ დავთმო? თუ თქვენ დაგიკარგავთ ერთმანეთი ძმებს, ჩვენ მაინც
ნუ დაგვაკარგვინებთ დედაშვილობას.

რევაზ — ბევრს ნუ ყბედობ! აღარა გნახოთ ერთად!

ზაქარია — დიანაც! აღარა გნახოთ ერთად!

რევაზ — შენც, მოხუცო ზაზო, აღარც შენა გნახო შენს შვილთან. ბაძოს
ვერ გავანთავისუფლებ. (გადიან რევაზ და ზაქარია)

სიღო — უი, მიწამ კი გიყოთ პირი ორივეს, აჰა!

ბაძო — (ტირის).

ზაზო — ნუ ჰტირი, შვილო, ასეთი ბედი გვარგუნა ღმერთმა... დამშვიდდი... დაივიწყე ყველაფერი...

ბაძო — ეეჰ, მამაჩემო. შენ შენი დღეები გავითავებინა და ადვილად იძახი... ვინ იცის სად გადამაგდონ და სად გამყიდონ? როგორ უნდა ავიტანო?...

ზაზო — აიტან... შეეჩვევი ყველაფერს... ჩვენც ასე ვიტყოდით ხოლმე ახალგაზრდობაში, მაგრამ ყველაფერს შევეჩვიეთ...

ბაძო — (მიუბრუნდება უთრუთს) უთრუთ, შენც ხომ ჩემს დღეში ხარ.

უთრუთ — შენ რა დღეში ხარ?

ბაძო — თავისუფალი გლეხი ვიყავი, გოგო მოვტაცე ბატონსა და ყმად დამიჭირა ამისათვის.

უთრუთ — შენ რალაცა მაინც დაგიშავებია და მე რისთვის უნდა ვიტანჯო? იმიტომ, რომ გაყრილობაში დედაჩემი ზაქარიას ერგო და მე რევაზსა?

ბაძო — ჰო და მოდი იგრე გავაკეთოთ, აღარ ვიტანჯოთ.

უთრუთ — როგორა?

ბაძო — ხიხო ბერიკა მოდის (შემოდის ხიხო უნიღბოდ).

ხიხო — ახლა, რო იცოდეთ, რა ვაჭრები ჩამოსულან იმერეთიდან! ივეთი მწევრები ჩამოუყვანიათ ყმებში გადასაცვლელად რო!

სიდო — უი დამიდგეს თვალი შვილო... (ტირის)

ხიხო — ნუ ჰტირი, ყური დამიგდე... ოიანა-ბუიანამ გამომგზავნა, თქვენი გაყიდვა უნდათ და უნდა გაიპარნეთო.

ყველანი — რანაირად?

ბაძო — ბატონის ბრძანებით ნება არა გვაქვს, გალავანს გავცდეთ.

ხიხო — ბერიკულად ჩაგაცმევთ და გაგაპარებთ. მასხარამ დაგვარიგა. წავიდეთ.

(გადიან. მეორე მხრიდან ჟრამულით შემოდიან ახალგაზრდა ბიჭები და გოგოები).

პირვ. ახალგაზრდა — აბა ბიჭებო, გაზაფხულის დღესასწაული თავდება და ერთი კაი დრო კიდევ გავატაროთ.

მეორე ახალგაზრდა — დრო გავატაროთ, მე ვიცი, წითელს არ მოჰხადოთ...

პირვ. ახალგაზ. — უეჭველად წითელს უნდა მოვხადოთ? აი, ჩვენს სანდრიას ვუთხრათ, ჩანგურზე „სებრო“ იმღეროს.

ქალები — სებრო კი არა, მანანას ლექსი.

ბიჭები — არა, სებრო იმღეროს.

ქალები — მანანას ლექსი.

ბიჭები — სებრო!

სანდრია

(მართავს ჩანგურს, ემზადება. ბიჭები სებროს სთხოვენ, გოგოები მანანას ლექსს).

სებრო!

სებრო, სებრო, ლალისებრო,

ქალო, შე ლერწამისებრო.

ზურგზე გაყრია გიშერი

დაწნული მათრახისებრო.

შუბლზე გადაგდის ნათელი

მოკისკასე ცისკრისებრო.

მას ქვევიდან ორი წარბი

გაწოლილა ღრუბლისებრო.

მას ქვევიდან ორი თვალი
რა მწველია ცეცხლისებრო.
მას ქვევიდან ცხვირი გაზის
გამოქნილი ხუროსებრო,
მას ქვევიდან ტუჩები გაქვს
ჩასაწუწნი შაქრისებრო,
აქეთ-იქით ლოყები გაქვს,
ჩასაკბეჩი ვაშლისებრო.
მას ქვევიდან ერთი ყელი
იყურება ბროლისებრო
მას ქვევიდან... (ხალხს) წავიდე ქვევით?

ქალები — უი ქა, როგორ იქნება?!

ბიჭები — წადი!

სანდრია — მას ქვევიდან ერთი ყელი
იყურება ბროლისებრო.
მას ქვევიდან ორი ძუძუ
გიყუდია კოკისებრო.
მას ქვევიდან ერთი კუჭი
შეკრულია ღილისებრო... კიდევ წავიდე ქვევით?

ქალები — არა, არა!

ბიჭები — წადი, წადი!

სანდრია — მას ქვევიდან ერთი კუჭი
შეკრულია ღილისებრო.
მას ქვევიდან მუცელი გაქვს
საკურდღლაო გორისებრო.
მას ქვევიდან ერთი ხევი
რა ბნელია ღამისებრო... ჰა, კიდევ წავიდე ქვევით?

ქალები — აღარ წახვიდე.

ბიჭები — წადი, წადი!

სანდრია — მას ქვევიდან ერთი ხევი
რა ბნელია ღამისებრო.
მას ქვევიდან...

(ქალები დაიწვილებენ და გაცვივიან გარეთ, სანდრია დაათავებს ლექსს).

მას ქვევიდან ჰარუნანე,
ოდელია ღილისებრო
ერთნაირად გამოდიან
ყმაც და მეფეც ფუტკრისებრო.

პირვ. აგალგაზ. — ბიჭებილა დავრჩით, მოდით ბიჭებო, ეხლა შიგჭიდილა
ჩაებათ.

ხმები — ჩაებათ, ჩაებათ.

პირვ. ახალგაზრ. — ვინ ვის დავეჭიდოთ?

ხმები — გრაგა და ხლართა.

გრაგა — ხლართას დავეჭიდები?

პირვ. ახალგაზ. — რატომღო შე ვირის დალაბანდო. ცხვირს ისე იწევ ზე-
ვით, ასე გგონის ორ სახედარში არ ეყიდნო შენს ბატონსა.

გრაგა — მე ორ სახედარში მაინცა ვარ ნაყიდი და აზირ შენი ჰთქვა? მამა-
შენის ჩოკინას წიხლი მიერტყა ბატონის კოკისათვის წყალზე და იმ გატეხილ
კოკაში დაგინარჩუნა ბატონმა — ვის დასცინი შე ვირის ერთ წიხლად ნაყი-
დო, შენა (იციინან).

ყველანი — შიგქიდილა, ბიჭებო, შიგქიდილა!

(ამ დროს მოისმის ბერიკების ხან სწორი და ხან მრუდი სიმღერა „მგზავრული“).

ყველანი — ბერიკები მოდიან (აიშლებიან).

ბერიკების სიმღერა — ლაშქრად წასვლა მას უხარის,
ვისაც კარგი ცხენი ჰყავსო,
დაბრუნება და შინ მისვლა,
ვისაც კარგი ცოლი ჰყავსო.

(შემოდინ ნილაბში. ჯოხის ცხენებზე სხედან და თოფებად ჰკიდიათ ნაცრით დატენილ
მზესუჭვრიტას ძირები).

ბერიკები — მივდივართ! მივდივართ! მივდივართ!

(შუაში ჰყავთ ბერიკულად ჩაცმული ბაძო, უთრუთი და თაფლო).

ხიხო — ეხლა ჩვენ უეჭველად მივდივართ!

ყველანი — მივდივართ! მივდივართ! მივდივართ!

დოყო — ჩვენ მივდივართ პირდაპირ განჯაში, შაჰინშაჰს იქ უნდა
დავხვდეთ.

ბოყო — არა! სჯობია ისევე თბილისთან დავუცადოთ.

როყოყო — იი-ხვი-ხვი-ხვი! ტპრრ, შე ოხერო შენა. მოესწრები გაქენებას.

ხიხო — როყოყო! წინაღან მომაცალე ეგ შენი მერანი, თორემ ეგ ისეთი
პატრონსასიკვდილე მერანი გყავს, რომ სუყველა მხრიდანა ჰიხვინებს.

როყოყო — ტპრრ... იგრე გავაფრენ, ქორიც ვერ დამეწიოს, მაგრამ იმას
რომ დავინახავ, გამოვიპარები.

კიკო — მე მაგრე არ მოვიქცევი — პირდაპირ შიგ ყურის ძირში დავცემ ამ
ჩემ დამბაჩას აი, ასე...

(დაიქნეს ნაცრით გატენილ მზისუჭვრიტას და ამტვერებს იქაურობას).

ყველანი — აი, დავწყევლა ჩემმა გამჩენმა, თვალები დაგვთხარე მტერით.

კიკო — ჰო და აბა! ჯერ აქ რამოდენა მტვერი ავადინე და იქ რალა იქნება!

ხიხო — ტპრრ... შე საშამფურევე შენა!

დოყო — მაშ მივდივართ! მივდივართ! განჯაში!

ბოყო — არა! სულაც არ არის საჭირო იქ წასვლა.

დოყო — რატომღო, ბოყო?

ბოყო — იმიტომღო, დოყო, რომა... თუ გინდა შენ განჯაში წაბრძანდი
საომრად, მე კი ქორწილში წავეთრევი.

ყველანი — მაშ მივდივართ! მივდივართ!

დოყო — მივდივართ პირდაპირ საქობოში, გამარჯვებულნი!

(წინ ტახი გადის სარდალივით. მიჰყავთ გადაცმულები და ყველაზე უკან გადის ვირი-
სულ ბოლოს მასხარას შემოჰყავს სანთო).

სიმღერა — მოვდივართ, მოგვიხაროიან,

მოგეყავს დედალი ხოხობი...

მასხარა — წამოდი! წამოდი! წამოდი!

სანთო — (უკან იყურება) ხელი გამიშვი, მამაჩემო, თორემ ასე ეგონებათ, ძალით მიმათრევ.

მასხარა — ხა-ხა-ხა-ხა-ხა. ეგონოთ.

სანთო — რად იცინი?

მასხარა — კი არ ვიცი, ვმღერი (აჯავრებს ბერიკებს,)

მოვდივართ, მოგვიხარია

მოგვყავს დედალი ხოხობი...

მოგვყავს დედალი ხოხობი...

ხა-ხა-ხა-ხა. ხა-ხა-ხა-ხა.

ხა-ხა-ხა-ხა.

(გადიან. ბუნდად-ლა ისმის ბერიკების სიმღერა. კოშკის თავზე გადმოდგებიან რევაზი და ფეშანგი).

რევაზ — თქვენი წასვლა და აღარ დაბრუნება. აბ ლალატი თუ გნებავთ, ამასა ჰქვიან... ჩემს სიცოცხლეში ასე არავის უღალატნია ჩემთვის... რა მიყო მაგ მასხარამ?!. წავიდნენ... ფეშანგ!

ფეშანგ — აქ გახლავარ!

რევაზ — გახსოვს რა დაგავალე?

ფეშანგ — მახსოვს მაშ! როგორ არ მახსოვს... რა ლუკმა ვიპოვნე... სანთო!.. შვიდმისობამდე!...

(დასასრული შემდეგ ნომერში).

ქდასიკუხი მამაკიდრობა

იოჰან ვოლფგანგ გოეთე

ღმერთი და ბაილაკი

ინდური ლებენდა

მეუქვსეჯერ მიატოვა
მაჰადომმა ზეცა, ვრცელი,
სურს გაიგოს მიწის შვილთა
სიამე და სატანჯველი.
საცხოვრებლად გაიხადა
სამფლობელო დედა მიწა,
დამნაშავეს არ იბრალებს,
დაჩაგრულს და მართალს იცავს.
როს ქალაქი ინახულა, გზად მავალმა წყნარად,
ძლიერით ზიზლით გადახედა, მცირეთ — დაეხმარა.
დაისის ქამს, მარტოდ-მარტო, გზას გაუდგა კვალად.

უკანასკნელ სახლთან, როცა
მიაღწია — მოჰკრა თვალი:
დგას საეჭვოდ შეღებილი
ახალგაზრდა, ტურფა ქალი.
— გამარჯობა, ქალიშვილო!
მან მიუგო: — გმადლობთ გულით!
— შენ ვინა ხარ? — ბაიადერა,
ეს კი — სახლი სიყვარულის.“
და ისწრაფის საცეკვაოდ, ააუღერებს ებანს,
შეირხევა მომხიბვლელად, როკავს, იკლავება.
სტუმარს ვარდებს მიაწოდებს, თვალში უკრთის ვნება.

და ალერსით იწვევს სახლში,
მოუბარი ტკბილი ენით:
— მშვენიერო, შენთვის მყისვე
გაბრწყინდება ქოხი ჩემი.
დაგანაყრებ, დაგიამებ
ფეხთა ტკივილს, დადლილს გზაში.
სიხარული და სიმშვიდე
შენ მოგელის ჩემს ბინაში.
და დაუცხრო მოგონილი ტკივილები, მწველი,
ღმერთს სახეზე აღებეჭდა ღიმი სანატრელი,
გარყვნილ ქალის არსებაში ჰპოვა გული წრფელი.

მყის დაიპყრობს ასულს ღმერთი,
შთაუნერგავს მონურ ნდობას.
ხელოვნური ჩვევის ნაცვლად
მასში აღძრავს ნამდვილ გრძნობას.
ასე სწრაფად მოაქვს ხოლმე,
ვარდს ნაყოფი სანუკვარი,
და მორჩილ სულს ეუფლება
სიყვარულის წმინდა ალი.

ზან აამებს, ზან აღუძრავს ტკივილს ნაზი სულის.
ცდილობს კარგად შეამოწმოს გრძნობა სიყვარულის.
მაგრამ ღმერთს ჯერ მაინც არ აქვს ქალის ნდობა სრული.

შეღებულ პირს ჰკოცნის ღმერთი,
ქალი ტრფობის სევდით დნება.
დგას ჯადოთი შეპყრობილი,
და პირველად ატირდება.
დაეცემა, არ იტაცებს
ავხორცობა და არც ფული,
ცუკვაც აღარ შეუძლია,
მოუდუნდა მხნე სხეული.

ღღე გასრულდა. ღამის ბინდი ბარს ეწვია ციდან,
სარეცელმა მათი ტანი თვისკენ მიიზიდა.
და სიჩუმის საბურველი დაათარა მშვიდად.

ქალი, როცა გაიღვიძებს,
ათროთლდება, რეტდასხმული,
ხედავს — სტუმარს, უსაყვარლესს,
აღარ უცემს მკერდში გული.
მოეხვევა ძვირფას სხეულს,
შემზარავად ჰგოდებს, კენესის.
და ცხედარი ქურუმთ კრებულს
მიაქვთ აღის სამარეში.

ტირილი და გოდების ხმა ეფინება არეს,
ქალი უფრო გახელდება, ჰკივის და მღელვარებს.

— ვინა ხარ შენ! — მიმართავენ — რად გდის ცრემლი ცხარე?

საკაცესთან დაემხობა,
მისი კვნესა ჰაერს აბობს,
— ის მეუღლე იყო ჩემი
და მსურს მასთან დავიმარხო.
ეს ღვთიური სახე, განა,
მიწით უნდა ჩაიქოლოს?
არა, მას ვერ მივატოვებ.
იგი იყო ჩემი მხოლოდ!“

კვლავ გაისმის ქურუმების ღაღადისი წყნარი;
„სამარეში მიგაქვს ყველა, განურჩევლად გვარის,
ძოხუცი თუ ახალგაზრდა ჩვენთვის ერთი არის!“

„ქურუმთ სწავლას უგდე ყური,
გესმას მათი ნაუბარი,
შენ ცხოვრობ ვით ბაიადერა,
ის არ იყო შენი ქმარი.
სამარეში ტანს მიჰყვება
მხოლოდ თავის ჩრდილი, მკრთალი,
ქმარს — მეუღლე და ეს არის
მისი უწმინდესი ვალი.
„მაშ დაჰკარით ბუკი, ჩქარა, სადიდებლად სულის,
ო, წაიღეთ, თქვენ, ღმერთებო, დღის მშვენება, სრული,
ო, წაიღეთ თან ქაბუკი, ალში გახვეული!“

და ეს ჰანგი, უღმობელი,
ქალს უმატებს ცრემლთა ფრქვევას,
უცებ გაშლის იგი მკლავებს,
სიკვდილის ცეცხლს ჩაეხვევა.
მაგრამ ღმერთი შეირხვეა,
მყის გააპობს ცეცხლის ზოლებს,
ხელებს მოჰხვევს ბედკრულ ასულს
და სივრცეში გააქროლებს.
ცოდვების მონანიება ღვთაებას ახარებს.
ებრალება დაცემული ბავშვი, ქვეყნის მფარველს,
ცეცხლოვან მკლავს შემოხვევს და ცისკენ გააქანებს.

თარგმანი გერმანულიდან ხარიტონ ჰარდოშვილისა.

მ ნ ი რ ი

ნაწყვეტი

3.

გმადლობ, მოსულხარ დაუხარებლად,
რომ მომისმინო მე აღსარება.

სჯობს ვინმეს ვუთხრა მეც
ხეამიადი.

შევიმსუბუქო მით გულის დარდი;
მე არ მიქნია ხალხისთვის ავი,
და ამისათვის ჩემი. ამბავი
ცოტას არ გარგებს სიწრფელით
თქმული;

მაგრამ ვინ შესძლებს მოგითხროს
სული.

ვიცოცხლე ცოტა, და ბორკილებში...
მე ორ ამნაირ სიცოცხლეს ერთში,
ისეთში, რომ ჰქუხს დუღილი სავსე,
რომ შემძლებოდა გავცვლიდი წამსვე.
მე დავმორჩილდი ერთ ფიქრის ნებას...
ერთად-ერთს, მაგრამ ცეცხლოვან
გზნებას:

ჩემში ცხოვრობდა ის როგორც ჭია,
სული დაუწვავს და დაუღრღნია.
ბნელ სენაკთაგან და ლოცვათაგან,
ის ჩემს ოცნებას გზავნიდა სხვაგან,
მთებში; სად ბრძოლის, შფოთვის
ხმებია.

სად კლდენი ღრუბლებს ეფარებიან,
სად არწივთ ჰგვანან კაცები ლაღნი...
გამომიკვებავს ცრემლებით, ნაღვლით
ეს მისწრაფება შავბნელი ღამით,
ამ მისწრაფებას დღეს სითამამით
ცის და ქვეყნის წინ ვაცხადებ; კმარა...
და პატიებას არ ვითხოვ, არა...

მოხუცო! ხშირად მაქვს მონასმენი,
რომ სიკვდილისგან შენ დამიხსენი.

4.

რისთვის? ქუხილში ხეს მოგლეჯილი
ერთი ფოთოლი, მწუხარე, ჩვილი,
ვიხარდე ტაძრის ბნელ გალავანში,
მე ბედით ბერი და სულით ბავშვი.
წმინდა სიტყვები „მამა“ ან „დედა“
აქ ვერავისთვის ვერ შეთქვა მე და.
მოხუცო, ვიცი შენაც გენება,
ამ სავანეში ტკბილი ხსენება
დამვიწყებოდა ჩემს მახლობელთა,
ამაო იყო... იქ, ჩემთან ერთად
იშვენ ის ხმებიც. ვხედავდი სხვათა:
სახლს, მამულს, ნაცნობს და
ნათესავთა;

მე კი არა თუ ძვირფასთა სახე —
მათი საფლავი, სულიც ვერ ვნახე.
არ დამიღვრია ამაო-ცრემლი,
და სულში ფიცი წარმოვსთქვი
წყევლით:

ოდესმე ჩემი მხურვალე მკერდით
დე, ყოფილიყო ეს წუთი ერთი,
თუნდ უცნობს, მაგრამ მშობლიურ
ოდესმე ჩემი მხურვალე მკერდით
მე მივყრდნობოდი და მემცნო კვენესა.
ეს! იგი ფიქრი გამშორდნენ უკვე,
სრულ მშვენებისას რომ დამიღუპნენ.
და ვით ვცხოვრობდი მე უცხო მხარეს,
მონა, ობოლი დაეხუჭავ თვალებს.

შე არ მაშინებს საფლავი, არა...
 ამბობენ: ტანჯვას მის ცივ და მარად
 მყუდროებაში დასძინებია.
 მაგრამ სიცოცხლეც დამნანებია.
 მე ყმაწვილი ვარ, ყმაწვილი, იქნებ
 ლალი სიყრმისას შენც იცნობ

ფიქრებს...

არ იცნობ, ან და გულს გადაგვარდა:
 თუ როგორ გძულდა, როგორ
 გიყვარდა;

რა აჩქარებით გიცემდა გული,
 კუთხის კოშკიდან თვალანთებული
 რომ გასცქეროდი მზეს,
 მინდორ-ყანას.

სად ჰაერია გრილი, და ხანაც,
 სად შორეული ქვეყნისა შვილი,
 ღრმა არღალულში შემოფრენილი,
 ზის, მიყრდნობია კოშკის ხავსს
 მკერდით,

გრგვინვით შემკრთალი ყმაწვილი
 მტრედი.

და თუ მოგბეზრდა შენ მრავალფერი
 ქვეყნის სიტურფე: სუხტი ხარ ბერი,
 გადასჩვევიხარ ქვეყნიურ

გზნებას;

შენ გიცხოვრია. მეტი რა გნებაეს!...
 ბევრი რამ ნახე შენ ქვეყანაზე,
 შენ გიცხოვრია — მეც მსურდა ასე.

6

შენ გსურს იცოდე გაჭრილმა მარტოდ
 იქ რა ვიხილე? მინდვრები ფართო...
 მე იქ ვიხილე ბორცვთა ბიბინი,
 თავს რომ დადგმიათ ტყეათ გვირგვინი.
 თითქო ბრბო ნორჩი ხმაურობს

ლხენით,

ფერხულს ძმებივით უვლიან ხენი.
 ვნახე გროვანი მე პირქუშ კლდეთა,
 ოდეს ღვართქაფი მათ შუა ჰკვეთდა;
 მე იმ კლდეების მესმოდა გზნება,
 ცამ მომანიჭა ეს გრძნეულება:
 დიდი ხანია ქვის მკლავთა გაშლით,
 ჰაერში დგანან და ყოველს წამში
 ფიქრობენ, ერთუროს რომ

მისწვდებიან,

მაგრამ დღეები, წლები ქრებიან, —

ვერა, ვერასდროს შეერთდებიან!
 მე იქ ვიხილე მაღალნი მთანი,
 გასაოცარნი, ვით ოცნებანი,
 როცა ელავდა რიყრაყის ზოლი,
 ვით საკურთხევლებს არბოდათ
 ბოლი.

იმათ მწვერვალებს მტრედისფერ ცაში;
 ღამის იღუმალ ბინიდან აშლით,
 მიიჩქაროდნენ ღრუბლის ქულები
 აღმოსავლეთის მიმართულებით
 ფრინველთა თეთრი ქარავენის

მსგავსად

შორი ქვეყნიდან რომ მოსდევს
 ქარსა,
 და ნისლებს შორის მე მჭრიდა

თვალსა,

თოვლით მბრწყინავი, როგორც
 ალმასი,

დაყუდებული თეთრი კავკასი.
 არ ვიცი მაშინ რა დამემართა,
 ჩემს გულს ესოდენ რათ ეხალავათა.

ხმამ იღუმალმა მე შემასმინა,
 რომ მეც ოდესღაც იქ მქონდა ბინა;
 და ჩემს ხსოვნაში ამოიხატა
 იგი წარსული სულ უფრო ცხადად...

7

და თითქო თვალწინ: მესახებოდა.
 სახლი მამისა, ჩვენი ხეობა,
 მიმოფანტული ჩრდილში აული;
 მესმოდა მწუხრის მე ყრიაშული,
 ოდეს შინ ილტვის ჯოჯობის წყება,
 და ნაცნობ ძალთა შორს ისმის ყეფა...
 იქ, ჩვენი სახლის აივნის ახლოს,
 მთვარის ნათელში საღამოს, მახსოვს:
 იჯდა შევეგვრემან მოხუცთ კრებული.
 საქმიან სახით, ჩაფიქრებული.

და მოვერცხლილი სჩანდა კაშკაშით
 მათი ხანჯლების გრძელი ქარქაში...
 როგორც სიზმარში, ბინდბუნდად,
 ჩქარა,

ამ სურათებმა წინ ჩამიარა.

ო, ჩემი მამა! რა ცოცხლად ჩანდა...
 მხედრულ სამოსით გამომეცხადა;
 და გავისხენე მე სიხარულით,
 მის თოფის ბრწყინვა, ჩაჩქნის ჩხარუნი...
 შეუპოვარი, ამაყი მზერა,

და ყმაწვილ დების სიტყვები, მღერა,
რომ გადაჰკროდა ჩემს აკვანს თავზე...
მათი თვალები ტკბილ შუქით სავსე.
ქვევით მდინარე ხევს ჩაუვლიდა;
ღრმა როდი იყო, თუმც ჰქუხდა
დიდად.

და სათამაშოდ, იქ შუა ღღისას
მწვევივარ ოქროს ნაპირებს მისას.
ვუცქერდი ქროლვას სწრაფ
მერცხლებისას,
როცა ისინი წვიმის წინ, ქვევით,
ზვირთთ ეხებოდნენ პატარა ფრთებით
და მომაგონდა ის მყუდრო სახლი,
სად. საღამოებით, ცეცხლის წინ,
ნაღვლით
გრძლად მიაძვებდნენ, თუ ძველად
ხალხი
როგორ ცხოვრობდა, როს მიწაც
ჩვენი,
იყო უმეტეს სიტურფის მჩენი.

8

რას ვაკეთებდით გაჭრილი სოფლად?
იმ სამ ნეტარი ღღის შეუტყობლად,
მწამს იქნებოდა სიცოცხლე ჩემი,
უფრო შავბნელი და მოსაწყენი,
ვიდრე უძლური სიბერე შენი.
დიდხანია მე მქონდა ზრახვად,
შორი ველები რომ დამენახა;
გამეგო, მიწა ჰყვავის თუ გახმა,
გამეგო, ქვეყნად რად გავჩნდით,
რისთვის?
ლალ ცხორებისთვის, თუ
ტყვეობისთვის.
და ერთხელ ღამით, საშინელ ღამით,
როს ჭექა-გრგვინვის ისმოდნენ ხმანი,
ოდეს შემტყრათლნი თქვენ ყველა
ერთად,
პირქვე დაჰმხეთ საკურთხეველთან;

მე გავიქეცი. ო! როგორც ძმასა,
მოვეხვეოდი იმ ქარიშხალსა...
თვალს ვადევნებდი ღრუბელთა
ღღღვას...
ხელით ვიჭერდი ხასხასა ელვას...
სთქვი, ამ კედლებში ვინ იყო,
ნაცვლად

ჩემთვის მოეცა ასეთი განცდა,
ხანმოკლე, მაგრამ ცოცხალი გრძნობა.
მშფოთვარე გულის გრიგალთან
ძმობა?

9.

დიდხანს გავრბოდი... საითკენ? სადა?
არ ვიცი! ჩემს გზას არ დაბრწყინავდა.
ერთი ვარსკლავიც იმ უკუჩნეთში.
და მახარებდა, ნაწამებ მკერდში
დახარბებულად რომ ჩამესუნთქა,
ღამიან ტყეთა სიგრილე სუფთა:
ისეც კმაროდა... და დიდხანს ასე
გავრბოდი, ბოლოს, როს მოვიქანცე
მაღალ ბალახში დევწექი წამით;
ვუსმენდი: მდევრის არ იყო ჩქამი,
ქუხილიც შედგა. შორს უმტრთაღესი.
იწვა სინათლის გრძელი ხარვეზი,
შუა რომ ჰყოფდა ბნელ ცას და
მიწას —

ჩქ, შორს, ვხედავდი მთებს
დაუვიწყარს,
მალა აკბილულს ნაქარგვის გვარად.
ვიწექ ბალახში უძრავად, წყნარად.
ღროგამოშვებით, ღრმა ხეობაში
ტირილს მორთავდა ტურა, ვით ბავშვი,
ხანაც ქვებს შორის ტან-ქერცილიანი
გაიელვებდა გველი ციალით.
მაგრამ შიშს სული ვერ აეწეწა;
ხალხისთვის უცხო, თვით გავხდი
მხეცად,
გველივით, მალვით ვხობავდი მეცა.

თარგმანი ღაზით გაჩეჩილაძისა.

მეგობრობა

I

— ივანე, ივანოვიჩი. ჩემო ძვირფასო!

— რა გინდა?

— რატომ ხარ ასე უგუნებო, რატომ ჩამოგტირის ცხვირპირი?

— სთქვი, რა გინდა?

შემოდგომის ქარი ზუზუნებდა და უსტვენდა ბორისლავის ვიწრო ქუჩებში, აქეთ-იქით ფანტავდა ღრის განმავლობაში ორმოებიდან ახლად ამოყრილ ჯერ კიდევ სველ თიხას. ბნელი ღამე იყო.

— ჰა, დიდხანს მალოდინებ კიდევ შენი ლაპარაკით? სთქვი, რატომ გამომიყვანე ასეთ ქარში გარეთ?

— მოლაპარაკება მინდოდა შენთან... ძველებურად... აი ისე, სოფელში რომ ვიცოდით...

— მერე, უკეთესი დრო და ადგილი ვერ გამოსძებნე? სთქვი ჩქარა, რა გინდა? ვერა ხედავ, მთლად გავიყინე.

— ვხედავ, ვხედავ! — ხმა უკანკანებდა. ივანეზე უფრო თავათ იყო გაყინული. — ივანე, გატყობ აღარ გიყვარვარ... ყოველ შემთხვევაში, ისე აღარ, როგორც წინად.

— ჰმ! ჰმ! რატომ ფიქრობ მაგრე?

— ის კი, ის, პირმრგვალი განკა... ყოველ საღამოს იმასთან ხარ...

— სთქვა რაღა! იმასთან ხარო! თითონ დამდეგს. განა შემძლიან აუკრძალო, ნუ დამდეგ-მეთქი?

— მე რაღად მიკრძალავ?

— შენ ყველაფერში ეჩრები... რა გინდა? გაკლია რამე? სთქვი! ხომ იცი, არასდროს არ მითქვამს უარი დახმარებაზე, გაჭირვებისას.

ქალმა ამოიოხრა.

— გაჭირვებისას... ღმერთო ჩემო, რომ ხედავდე ჩემ გაჭირვებას!.. ერთი რამ მაკლია, ივანოვიჩი...

— რა?

— შენი თავი.

— აი, ხომ მხედავ!

— მერე რა გამოვიდა, თუ შენი გული შორს არის ჩემგან, თუ დამივიწყე, აღარ გიყვარვარ? შენთან არავითარი გაჭირვებისა არ შემეშინდებოდა, შენთვის ყოველნაირ გაჭირვებას გადავიტანდი...

— რა სულელი ხარ! — გააწყვეტინა ივანემ — სულელი ხარ და ეგ არის. გგონია, განკასთვის თავს ვიკლავ. მე კი განკა სულ არ მაგონდება.

მერე მიუახლოვდა, ახლო მიიზიდა და უფრო ალერსიანი, უფრო დაბალი ხმით უთხრა:

— ნუ გეშინიან, ფრუზია! არ დაგივიწყებ. ხომ გახსოვს, როგორ გეფიცებოდი იქ, ცაცხვის ქვეშ? უფალმა ღმერთმა ყველაფერი გაიგონა. ის არის მოწმე. ცოტა კიდევ მოვითმინოთ ორივემ... განა არ ვიცი, რომ გიძნელდება. მაგრამ არც მე ვარ უკეთეს ყოფაში. ორიოდ კვირა კიდევ... ახლა კი დამშვიდდი. შინ წასვლის დროა. მთლად კანკალებ, შეგცივინა... ჩემთან წამოდი აქ, სამიკიტნოში. შევიდეთ, გავთბეთ. შენ ხომ შორსა დგებარ აქედან.

— მე...

— ნურაფერს ნუ მეუბნები, შევიდეთ!

და თითქმის ძალით შეიყვანა სამიკიტნოში, რომელიც გაჭედული იყო ხალხით, მუშა კაცებით და მუშა ქალებით, ხმაურით, შეხუთული ჰაერით, ნავთში ამოსვრილი ჭუჭყიანი პერანგებისა და ტილოს ზედატანისამოსის ონშივარით, ხმამაღალი სიცილით და არყის სუნით. მათთვის ყურადღება არავის არ მიუქცევია. მაგიდას მიუხსნდნენ, ღუმელის მახლობლად. ფრუზიამ ცნობისმოყვარეობით მიმოავლო თვალი იქაურობას, უნდოდა გაეგო, ხომ არ იყო იქ განკა, მისი დაუძინებელი მტერი, მისი მეტოქე ივანეს გულში. განკა არ იყო იქ და მან თავისუფლად ამოისუნთქა. ერთი ჭიქა ალუბალზე დაყენებული არყის დაღვევისა და გათბობის შემდეგ მან მხიარულად გააბა ლაპარაკი, გაიხსენა სოფელი, ნაცნობები და, ბოლოს, ივანეს თავი მიიზიდა და ყურში ჩასჭურჩულა:

— ახალი ამბავი უნდა გითხრა.

— რა ამბავი?

— სტუმარს ველი.

— სტუმარს? ვის?

— გამოიცანი.

— საიდან უნდა გამოვიცნო? მე რა ვიცი, ვინ აპირებს შენთან სტუმრად მოსვლას?

— უნდა იცოდეს.

— ვიცოდეს? ვინ უნდა იყოს ნეტავი?

— რა მიუხვედრელი ხარ!

და ღიმილით ყურზე ხელი მოუცაცუნა.

— ბავშვია, ივან, შენი ბავშვი!

ცდილობდა ეს სიტყვები თავისუფლად, მხიარულად წარმოეთქვა, მაგრამ არ ეყო არც ჰაერი და არც ხმა. გული აუთრთოლდა, აუკანკალდა მკერდში. იცოდა, რომ ბევრი რამე, იქნებ მთელი მისი სისცოცხლე იყო დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ მიიღებდა ივანე ამ ამბავს. და მას შემდეგ, რაც თავი დედად იგრძნო, ყველაზე მეტად სწორედ იმ წუთისა ეშინოდა, როცა ივანესთვის ამ ამბის გადაცემა მოუხდებოდა. ვინ იცის, რას იტყვისო. ახლა კი, როცა სიტყვა უკვე წარმოსთქვა, იჯდა გაფითრებული, შეშინებული, თითქოს რაღაც დიდი ცოდვა ჩაიდინაო, თითქოს მისგან რაღაც საშინელი განაჩენი მოეღისო.

ივანე კი, თითქოს არაფერიო, სრულიად გულგრილად შეხვდა ფრუზიას სიტყვებს. პირი მიიბრუნა, თვალები ჭერს მიაშტერა და ნელი სტვენა გააბა, მერე ფრუზიას შეხვდა და უხალისოდ ჰკითხა:

— ხომ არ დაღვევ კიდევ?

— არა, აღარ მინდა, — მიუგო ქალმა ოდნავ გასაგონი ხმით.

ივანემ თავისთვის ერთი ჭიქა ლუდი შეუკვეთა. ხმა-კრინტი აღარ დაუძრავს. ფრუზია გაშეშებული იჯდა. „ყველაფერი დაილუპა! ყველაფერი დაილუპა! — იმეორებდა გონებაში. — არ ვუყვარვარ. მიმატოვებს აი აქ, ამ ჯურღმულში“.

სამიკიტნოში გუგუნნი იდგა. ფრუზიას სული შეეხუთა, თითქოს რაღაცამ გული დაუჭირაო. წამოდგა.

— უკვე მიდიხარ?

— მივდივარ.

ადგილიდან არ დაძრულა, არ უთხოვნია, დარჩიო. იგი ისევ ჭერს შეჰყურებდა. ფრუზიას თვალებზე ცრემლი მოადგა, მაგრამ თავი შეიმაგრა და ცრემლები გადაყლაპა.

— ლამე მშვიდობისა!

— ლამე მშვიდობისა!

ქუჩაში ქარმა ერთბაშად ჩასჭიდა ფრუზიას თავისი ცივი კლანჭები. ქარი ტანისამოსის კალთებს აგლეჯდა, სახეში თიხის გუნდებს აყრიდა, მაგრამ ფრუზია ვერაფერს გრძნობდა. მის გულში უფრო მეტად ციოდა, უფრო მეტად ბნელოდა, ვიდრე ბორისლავის ყრუ ქუჩებში.

II

ბორისლავის ბოლოში, ერთ ადგილას, დიდი საწყობი იდგა, სადაც ორმოებიდან ამოთხრილ მინერალურ ცვილს ინახავდნენ. საწყობი ლინდენბაუმის საკუთრებას შეადგენდა. მის გარშემო მრავალი ორმო მოსჩანდა, ხოლო კედლებთან აქა-იქ ორმოებიდან ამოღებული ნაცრისფერი ლამი ეყარა. ამ ლამის ბორცვებს შორის ურიკებისაგან დატკეპნილი ვიწრო გზები ყოველი მხრიდან ჭიშკრისაკენ მიემართებოდნენ.

ჭიშკრის პირდაპირ ორ პაწაწა მიშენებულ ოთახში დარაჯი ცხოვრობდა. ეს ოთახები თითქმის არ მოსჩანდნენ ლამის მაღალ ბორცვებში, ასე რომ მზე იშვიათად თუ შეანათებდა შუამდე ვიწრო ფანჯრებიდან. დარაჯი ქვრივი იყო. თავისი ბავშვები სხვებისათვის დაერიგებინა გასაზრდელად. ხოლო იმისთვის, რომ ცოტა მეტი ფული ეშოვნა იმაზე, რასაც ლინდენბაუმი აძლევდა, ერთ ოთახს აქირავებდა. ქირაობდნენ ამ ოთახს მუშა ქალები ლამის გასათევად. თვითონ კმაყოფილდებოდა მეორე ოთახით, მით უმეტეს, რომ შინ ნაკლებად ეძინა, — დარაჯობდა საწყობს, რადგან ბორისლავში მამის ჯერ კიდევ არ იყო პოლიცია.

ლამეა. უკვე გვიან არის. ვიწრო, ბინძური და ჰაერ-დახშული ოთახი საესეა მუშა ქალებით. კირით. ოდნავ შეთეთრებული ფიცრის კედლები ტიტვლად ამოიყურებიან. ერთ-ერთ კედელზე მიწებებულია რაღაც სურათი და სარკის ნატეხი. იქვე კუთხეში დგას სამი ფიცრისაგან შეკრული ტახტი, რომელზედაც თვით გატენილი ლეიბია დაგებული და ქალის კაბა გდია, ხოლო ფანჯარასთან მოსჩანს პატარა მაგიდა, სამ გრძელ ფეხზე შედგმული, რადგან ფანჯარა მაღალია. აი ყოველივე ის, რის დანახვაც ოთახში შეიძლება. არც ღუმელი, არც სამზარეულოს ჭურჭელი, არც ლოგინი, არც სკივრი. ტახტზე არავენ არა წვეს, სამაგიეროდ იატაკზე ჭერეხებივით ყრიან ადამიანის მსგავსი არსებანი, რომელნიც ხმამაღლა და მძიმედ სუნთქავენ და სიბნელეში ჭუჭყიანი ჩვრების, გლეხური ქალის ზედა სამოსის, თავსახვევებისა და წაღების ერთად თავმოყრილ ხროვას ჰგვანან.

მუშა ქალების ღამისათევია ეს. დედაკაცები, ახალგაზრდა ქალები, ქალი-შვილები, რომელთაც, ვინ იცის საიდან მოერეკება აქ გაჭირვება, მთელ დღეს ბორბალთან მუშაობით, ან ბადიებიდან ღამის ამოღებით, ან კიდევ თიხიდან ცვილის გამოჩენვით დალილ-დაქანცულნი ხის ცივ იატაკზე წვანან, თავქვეშ ხელამოდებულნი და ერთმანეთზე მიკრულნი, ჯერ ერთი იმიტომ, რომ საკმაო ადგილი არ არის და მეორე — ასე ხომ უფრო თბილად იქნებიან.

გაჭირვებისაგან სახეები გაყვითლებიათ, ხოლო ხელებზე თითქოს თიხა და ცვილი შეზრდიათ. ცვილით არის გაგლესილი მათი ძველი კონკები, რომლებიც ძლივს ფარავენ ტანს, სიბერისა, სენისა და თიაქარისაგან დაღარული სახეები ახალგაზრდების გვერდით მოსჩანან, — ახალგაზრდების, რომელთა სახეებზედაც ჯერ კიდევ არ გამქრალა სილამაზის კვალი, მაგრამ მძიმე და ნაადრევ ჯაფას, გაჭირვებასა და გარყვნილებას უკვე წაუშლია ახალგაზრდული სიტურფე ამ სახეებზე. ოთახში სიწყნარეა, მხოლოდ ხანდახან რომელიმე მძინარე წამოიყვირებს და ხელს აიქნევს, მეორე რაღაც წყევლას წამოისვრის ან ძილში მეზობელს გადაეხვევა, ალბათ, სიზმარში სატრფოს თუ ეალერსება. მაგრამ ყველაზე მოუსვენრად იმ დედაბერს სძინავს, რომელიც ოდესღაც სოფელში მთავარ დიასახლისად ითვლებოდა, ეხლა კი თითქმის არაფრით განსხვავდება მათხოვისაგან... იგი ნაკლებად მუშაობს დღის განმავლობაში, რადგან მის ბებერ ძელებში ბავშვის ჯანიც აღარ მოიპოვება. ზის ფარდულის კუთხეში და არჩევს ორმოდან ამოღებულ ღამს. ამაში 3 შისტკას¹⁾ აძლევენ. მაგრამ ის ამისთვისაც მადლობას სწირავს ღმერთს. სამაგიეროდ ღამით გამოცოცხლდება ხოლმე. თითქოს მაშინ იღვიძებს მის გულში უკეთეს პირობებში გატარებული მთელი წარსული ცხოვრება. ხრინწიანი ხმით ბუტბუტებს თავისი ქალწულობის დიდხნის დავიწყებულ სიმღერებს. მერე ტანზე კონკებს იგლეჯს, თითქოს ისწორებსო სარკის წინ თავის სამკაულს. შემდეგ მედიდურად იქნევს თავს, ჰგონია, ალბათ, ძველად ნაცნობ მეზობელ ქალებს ვესაუბრებიო, და ტრახანობს ახალი მარჯნით. ხან ისევ ტუჩებს ილოკავს, თითქოს მაგარ, თავღნარევე არაყს შეეჭკევაო. მერე იწყება წყევლა-კრულვა, ჭეითინი, კვნესა, კვლავ სიმღერის ნაწყვეტები, — და ასე მთელი ღამის განმავლობაში. არა ერთხელ გაეღვიძება მეზობელს მისი სიზმრებისაგან, დასწყევლის და მუჯღუგუნს წაჰკრავს დედაბერს, რომ წყნარად იძინოს, მაგრამ აქედან არა გამოდის-რა. გამოღვიძებულ მოხუცს სრულებით არ ახსოვს ნახული სიზმრები. წყნარად ძილი კი არ შეუძლიან.

პატარა მაგიდაზე ზანჯარასთან ყვითელი ჭრაქი ბუტყავს. მისი შუქი საბრალოდ ციმციმებს და ნერვიულად კანკალებს. თავისი მკრთალი სხივებით იგი ოდნავ ანათებს მძინარე მუშა-ქალებს.

მაგიდასთან ზის თავდახრილი ქალი, ერთად-ერთი ადამიანი, რომელსაც ძილი არ ეკარება. ნაღვლიანი, მწუხარე თვალებით დაჰყურებს იგი ნემსის სწრაფ მოძრაობას. ქალი პერანგს ჰკერავს, პაწაწა პერანგს, ჰკერავს გულმოდგინეთ, ღამღამობით, რადგან დღისით სამუშაოშია ჩაბმული.

„განკა არც კი მაგონდებაო, სტქვა, — უტრიალებს თავში მოუსვენარი აზრი. — იქნებ მართალიც იყოს, მაგრამ ხომ არ უთქვამს, რომ მე ვუყვარვარ?! ან კი რა საჭიროა თქმა: განა თავათ ვერა ვხედავ ყველაფერს? არა, არ ვუყვარვარ, არა ფიქრობს ჩემზე. სიტყვები-კი ქარია და სხვა არაფერი. ღმერთო

¹⁾ შისტკა — ავსტრიული ფული ძველად. უდრიდა დაახლოვებით 8 კაპიკს.

ხომ არ ჩამოვა ციდან და ჯოხით ცემას არ დაუწყებს? ასე ფიქრობს, ალბათ, და გულში დამცინის, დამცინის მე სულელს, მე, რომელმაც მისთვის მივატოვე მამა, დედა, სახლ-კარი, რომელმაც შევეწირე პატიოსნება, ყველაფერი, ყველაფერი შევეწირე მას, ყველაფერი დავთმე მისთვის. ახლა კი, როცა არა გაშეჩერებას, მის გადაყლაპას, და მსხვილ წვეთებად ეცემოდა იგი საკერავს.

— ღმერთო, ღმერთო! რა ცოდვა ჩავიდინე ისეთი, რომ ასე მწარედ მტან-მანინა-რა, აღარ ვუნდივარ, ვეჯავრები კიდეც“.

და კვლავ მოადგა თვალებზე ცრემლი, მაგრამ ახლა აღარ ცდილობდა მის ჯავს! — დაიგმინა მისმა გაწამებულმა გულმა.

ნემსი შეჩერდა. ფრუზია ჭრახის აღს დააცქერდა, თითონაც არ იცოდა, რატომ. ლურჯი ბოლი ასდიოდა აღს და სქელ ბურუსად გროვდებოდა ჭერ-ქვეშ. თავი სტკიოდა ქალს. გარეთ ქარი ზუზუნებდა და ოთახის ჭუჭრუტანებიდან შემოსული სიცივე ძვალ-რბილში უჯდებოდა.

ფრუზიამ გული იჯერა ტირილით და შვება იგრძნო.

— არა, ვუყვარვარ, მოვეკვდები, რომ არ ვუყვარდე. ან-კი რა ვუყავი ისეთი, რომ დამივიწყოს? რა უნდა ვქნა უიმისოდ მე პატარა ბავშვით ხელზე, — ბავშვით, რომელიც საცაა გაჩნდება, დაუპატიჟებელი სტუმარი, რომელსაც კარებს ვერ გადაუკეტავ?

მართალია, ფრუზიამ თავათაც არ იცოდა, როგორ უნდა მოჰქცეოდა ივანეს, როცა ბავშვი გაუჩნდებოდა. კარგად დაინახა, როგორ ჩამოუშვა ცხვირი, როგორ იბრუნა პირი, როცა გაიგონა, მალე გაჩნდებოდა ბავშვი. იცოდა, რომ ფული ივანეს არა ჰქონდა, რომ იგი ყოველდღე სამუშაოზე და, მამასადამე, ფრუზიას, საავადმყოფოს გარდა, სხვა გზა არა რჩებოდა. ყოველივე ეს ცხადად წარმოუდგა ჯერ კიდევ ერთი საათის წინათ, როცა მოკრუნჩხული და კბილების კაწკაწით სამიციტროდან ბრუნდებოდა. მაგრამ ახლა არა ფიქრობდა ამასზე. თავზარს სცემდა ასეთი ფიქრი და, როგორც წყალწაღებული ხავს ეჭიდება, ერთ აზრს დასტრიალბედა მხოლოდ: რა კარგი იქნება, რომ ვუყვარდე, რომ ჩემთან იყო. მაშინ არაფრისა არ შეეშინდება, ის ყველაფერს მიაგვარებს.

ფრუზია განგებ იხუგეშებდა თავს, ცდილობდა ჩაეგონებინა თავისთვის ეს აზრი, და ახლა თითქმის დარწმუნებული იყო, რომ ყოველივე სწორედ ასე მოხდება, უნდა მოხდეს ასე! ვანა ღმერთი აღარ არის? ტყუილად ხომ არ მია-ნება თავი დედ-მამას, ტყუილად ხომ არ გადაიტანა ამდენი ტანჯვა? ხომ დაჰპირდა, ცოტა კიდევ გავიჭიროთ და ყველაფერი კარგად წავაო, ყოველგვარი გასაჭირი გაქრებაო. რა უდევს გულში? ფრუზია ვერ მიმხვდარა იყო ამას, მაგრამ გრძობდა, რომ გულზე მოეშვა, რომ თავისუფლად სუნთქავს, როგორც ბალახი გაზაფხულზე, თოვლის შემდეგ, მზის სინათლეზე ლაღად ამოჰყოფს ხოლმე თავს.

ჩამწვარ ჭრახს დააცქერდა. იგი უკვე ჰქრება, ბოლავს და კვამლით ავსებს ოთახს. ფრუზიას ძალზე უცემს გული, ეჩვენება, თითქოს ნემსი უფრო სწრაფად დახტის მის ხელში, ბორბალი ადვილად და ჩქარა ტრიალებს. დაღლილობას და სიცივეს აღარა გრძნობს! მუსიკა უკრავს, ბრწყინავს რაღაც, თითქოს მზის გრძელი სხივი გაწოლილაო ჭვავის მწვანე ყანაზე. რაღაც ღიტიანი იგრძნო, თითქოს ახლობელი, საყვარელი ხელი შეეხ... თავი მაგიდაზე დაუშვა და ჩაეძინა.

ხოლო შორიდან, ბორისლავიდან, ქარს ყრუ ყვირილი და სიმღერა მოჰქონ-

და. ყვიროდნენ და მღეროდნენ სამიკიტნოდან გამოსული მემალაროელნი. და ამ სიმღერაში ყველაზე ძლიერად, ყველაზე მკაფიოდ მოისმოდა ივანეს ხმა, რომელიც ამბობდა:

მე, შენ ჩემო ძვირფასო, არ მიგატოვებ.
დაგაწვენ საწოლზე, როგორც ბავშვს.

III

დილით ფრუზიამ სხვა მუშა ქალებზე ადრე გაიღვიძა. თავი სტკიოდა, აწრ-ყოლებდა, სტეხდა მთელ ტანში. მაგრამ არც კი ფიქრობდა ამაზე. სწრაფად პირი დაიბანა და სამიკიტნოსკენ გაეშურა, სადაც წინდაწინ ჰქონდა გადახდარი ერთი კვირის საუზმის ფასი. საუზმედ ეძლეოდა პატარა ქილა ცხელი რძე და პურის ნაჭერი.

მაგრამ საჭმელი ყელში არ ჩასდიოდა. ძალით გადაყლაპა რძე, პური ილ-ლიაში ამოიღო და გაიქცა. სად? თვითონაც არ იცოდა კარგად. სამუშაოზე ჯერ ადრე იყო. ივანეს ნახვა სწადდა, მაგრამ იმედი არა ჰქონდა, რომ ქუჩაში შეხვდებოდა, ხოლო სად ეძინა ამ დღეებში, არ იცოდა. და აი ქარისაგან შობუზული მიდიოდა ალალებელზე, მიტოპავდა სქელ ტალახში — მოქანცვით და მოძრაობით ფიქრობდა იმ ცეცხლის ჩაქრობას, რომელიც მის გულში ბობოქრობდა.

ბორისლავი იღვიძებდა. ბნელ სოროებიდან, მყარ, შეხუთულ და ვიწრო სადგომებიდან მოძვრებოდა ჭუჭყიანი, ნამძინარევი ხალხი. დღეს წყევლა-კრულვით და ჩხუბით იწყებდნენ. პირდაუბანელნი მიეშურებოდნენ სამიკიტნოებისაკენ, ხოლო იქიდან, ერთი ჭიქა არყის დაღვევისა და ხმელი პურის ნატეხის გადაყლაპვის შემდეგ, სამუშაოდ მიდიოდნენ, თან მიჰქონდათ ილ-ლიაში ამოჩრილი იგივე გამხმარი პური, ცოტაოდენი ძეხვი ან ნივრის ერთი თუ ორი თავი.

აქა-იქ ფარდულებში ზარებს აწკარუნებდნენ, მოლარეები ყვიროდნენ: ჭრიალებდნენ ბორბლები. შუა ქუჩაში შეშით, კარტოფილის ტომრებით, პურით და სხვა სანოვაგით დატვირთული ურმები მიიზლანხებოდნენ.

ყველაფერს ამას ზევიდან ნაცრისფერი, მოლუშული ცა დაჰყურებდა, ნაღვლიანად ჩაფიქრებული, ხოლო შორს, დილის¹ ფერდობებზე, მწვანედ ბიბინებდა არყისხის ტყე.

ფრუზია ქუჩებში დარბოდა, გაჰყურებდა შესახვევებს, თავს ჰყოფდა სამიკიტნოების ღია კარებში, ათვალეირებდა ნაცნობ ფარდულებს, — ეძებდა ყველგან ივანეს, მაგრამ ვერსად პოულობდა. მოსახვევში, კირნიცკის სასტუმროს მახლობლად, რომელიც მუშათა ცხოვრებისა და ღამის დროსტარების მთავარ ცენტრად ითვლებოდა, ფრუზია გალკას შეხვდა.

გალკაც იმავე სოფლიდან იყო, საიდანაც ფრუზია და ივანე იყვნენ. ჯანმრთელი, წითური სახით, დაჰყეტილი თვალებით და სქელი ტუჩებით იგი, გამხდარ, დაბეჩავებულ ფრუზიასთან შედარებით, მღვევივით გამოიყურებოდა. მხრებზე გადებული უღლით ორი ვედრა წყალი მიჰქონდა და თავისი შიშველი და წითელი ფეხებით მტკიცედ მიაბიჯებდა სველ თიხიან გზაზე. შავი ნაწნავები თავზე ჰქონდა შემოხვეული, ხოლო შავ ბრწყინავ თვალებში ჯანი და ღონე გამოჰკრთოდა. მან, ალბათ, არ იცოდა, რა იყო შინაგანი განცდებით გამოწვეული სულიერი ტანჯვა. ის ერთ-ერთი იმ უხეშ ადამიანთაგანი იყო,

¹) დილი—მთაა. — მთ ა რ გ მ ნ ე ლ ი

რომელთა სულსაც ვერ მიაგნებ, ვერ ჩასწვდები. სიღარიბესა და მძიმე შრომაშიაც არ განიცდიან ისინი უბედურებას. მათთვის უცნობია ის მწუხარება, რომელიც შედეგად მოსდევს შეუსრულებელ სურვილებს, დაუკმაყოფილებელ გრძნობას და ნებისა და ძალის შეუთანხმებლობას. ისინი თითქოს, მძიმე შრომისათვის არიან გაჩენილნი, როგორც ხარი უღლისათვის. მათი მწუხარება იწყება მხოლოდ მაშინ, როდესაც აღარაჲ ჰყოფნით ჩვეულებრივი რკინისებური ჯანი.

ფრუზიას იმთავითვე არ უყვარდა განკა. ახლა კი, როცა ხედავდა, როგორ მხიარულად გრძნობდა ივანე თავს მის გვერდით, როგორ ხუმრობდა და ცეკვავდა მასთან, მთელი არსებით ეზიზღებოდა იგი. ივანეს გუშინდელი სიტყვები — თავათ განკა დამდევსო ცეცხლივით მოედო ახლა მთელ მის სხეულს.

— გამიგონე შენ, განკა! — მიმართა ფრუზიამ ისე, რომ სალამი არც კი მიუცია, და მიუახლოვდა.

— რა გინდა ჩემგან?

— შენ კინრიცკისთან მსახურებ?

— ვმსახურებ, მეოთხე დღეა უკვე.

— იყო იქ გუშინ ჩემი ივანე?

— შენი ივანე? ვინ შენი ივანე? — დაცინვით შეეკითხა განკა.

— თავათ იცი, ვინც! — მიუგო ფრუზიამ და სიბრაზე გულში ჩაიხშო.

— ის ისევეა შენი, როგორც ჩემი. ჩემი უფროა, ვიდრე შენი, რადგან შენ დასანახავად ეზარები, ჩემთან კი მხიარულად გრძნობს თავს.

— სტყუი, სალახანავ! — დაუყვირა ფრუზიამ. — სტყუი, სტყუი! არ გაბედო და აღარ აედევნო! თვითონ მითხრა, უკან დამდევსო. გეუბნები, თუ კიდევ დაგინახე იმასთან, თვალებს გამოგაკაწრავ.

— თავში ქვაც გიხლია, შე საფრთხობელავ, შენა! რას გადამეკიდა?!

— არ გაბედო, არ გაბედო! — უყვიროდა ფრუზია და ძლივს ითქვამდა სულს. — არ გაბედო მისი შეცდენა!

— აი გავბედავ და აბა ვნახოთ, რას მიზამ! გუშინაც იმასთან ვიყავი, დღესაც იმასთან ვიქნები, მუდამ იმასთან ვიქნები, როცა მომესურვება. შენ კი გულზე გასკდი სიბრაზისაგან, არ ვინაღვლებ!

თავდავიწყებული ფრუზია მუშტებ-მოღერებული მივარდა განკას, მაგრამ განკამ ვედრო მოუქნია, ერთხელ მოუქნია მხოლოდ და თავიდან ფეხებამდე წყალში გაახვია.

გაისმა ხარხარი მუშებისა, რომელნიც ქუჩაში იდგნენ და ორი მეტოქე ქალის ხმამაღალ ლაპარაკს ისმენდნენ.

— ყოჩაღ, განკა! მოუხდება მაგას ბანაობა! ახია, რატომ არის მაგეთი ცხარე! — იძახდნენ ერთნი.

— აბა, ფრუზკა, სტაცე მაგას თმაში ხელი! როგორ გიბედავს სატრფოს წართმევას! — აქეზებდნენ სხვები.

ფრუზიას სირცხვილისა და სიბრაზისაგან აღარა ახსოვდა-რა. მთლად ამოწუწული იყო და სიცივისაგან კანკალებდა. მაგრამ სიბრაზემ მაინც თავისი გაიტანა: მივარდა განკას, სტაცა თმაში ხელი და დაუწყო წიწქა და ცემა. განკას მხრებზე ჯერ კდევ გადებული ჰქონდა ვედროებიანი უღელი. ერთხანს უმწეოდ იდგა. არ იცოდა, რა ექნა, — მდგარიყო ასე ვედროებიანი თუ თავი დაეცვა. მაგრამ მალე გამოერკვა, ერთი ხელი გაინთავისუფლა და ისე

მაგრა ჩაპკრა ფრუზიას მკერდში, რომ ეს უკანასკნელი ერთბაშად მოსწყდა და მიწაზედ გაიშლართა.

— ჰა, ჰა, ჰა! — ხარხარებდნენ მუშები.. — აი ქალი, ნამდვილი ჯარისკაცია. მაგრე მოსცხე მაგას!

— ივან! — ეძახდნენ მუშები ივანეს, რომელიც, სამიკიტროდან გამოსული, სწორედ ამ დროს უახლოვდებოდა მათ. — ერთი მოდი, უყურე კომედიას.

— რა ამბავია აქ? — იკითხა ივანემ.

— მოდი, მოდი, ორმა ქალიშვილმა შენი გულისათვის კინაღამ სიცოცხლე მოუსპეს ერთმანეთს. მოდი, შეხედე! აი, ბედნიერი კაცი: ქალები ჩხუბობენ მისთვის.

ივანე მივიდა. მაშინათვე მიხვდა, რაში იყო საქმე.

— განკა! — დაუძახა მან მრისხანედ: — რას ჩადიხარ?

— მე რა, — დაუყვირა განკამ, — აი ეს საფრთხობელა გადამეკიდა, გამაჩერა გზაზე, სასაცილოდ ამიგლო.

ფრუზია წამოდგა. ძლივს ითქვამდა სულს. მკერდი სტკიოდა, სული ეხუთებოდა.

— ივან! — მიმართა მან.

— გასწო, მოშორდი აქაურობას! — წაიბუტბუტა ივანემ, — რას ჩამციები-ხარ, თანაც ქუჩაში აურ-ზაურს მართავ! წადი, ტანისამოსი გამოიცვალე, მთლად სველი ხარ.

— მე გავწუწუე, რომ ხმა ჩაეწყვიტა, — იცინოდა განკა. — დეე, მეორედ ხელს ნულარ მახლებს.

სთქვა ეს, სტაცა ხელი უღელს და გაუდგა თავის გზას. ივანემაც ბრაზიანად გადააფურთხა და დანარჩენ მუშებთან ერთად სამუშაოდ წავიდა.

ფრუზია მარტო დარჩა. მთლად კანკალებდა, თავს უძღურად, უბედურად გრძნობდა, ყველასაგან მიტოვებულად... რაღას უნდა მოელოდეს? ახლა ხომ ყველაფერი ცხადია, საეჭვო აღარა არის-რა, არაფრის იმედი აღარ უნდა ჰქონდეს.

აღარ ახსოვდა, როდის და როგორ დაბრუნდა შინ, როგორ გაიხადა სველი ტანისამოსი და ჩაიცვა სხვა. მაგრამ იმის მაგიერ, რომ სამუშაოდ წასულიყო, დაწვა თავის საწოლზე, იწვა და მიღეული ხმით კვნესოდა. სახლში არავინ არ იყო. გრძნობდა თავის საშინელ ტკივილს და უზომო დაღლილობას მთელს სხეულში. წყურვილი სტანჯავდა. გაჭირვებით ჩამოცოცდა საწოლიდან და სველი პირსახოცით თავი შეიკრა. მერე ისევ დაწვა და დაიძინა.

IV

იმავე დღეს, საღამოთი, ივანე კირნიცკისთან შევიდა ერთი ჭიქა ლუდის დასალევად. განკამ შეკვეთილი ლუდი დაუდგა წინ და ხმაამოუღებლად მოშორდა. არც ივანე აქცევდა ყურადღებას, სვამდა ლუდს და წყნარად იჯდა, — სთვლემდა თუ ფიქრობდა თავისთვის. განკამ რამდენჯერმე ჩაუარა და ქურდულად თვალი შეავლო. ეტყობოდა გამოლაპარაკება უნდოდა, მაგრამ ვერ ახერხებდა. მხოლოდ მაშინ, როცა ივანემ მეორე ჭიქა შეუქვეთა, განკამ დაუღვა წინ ჭიქა და მკვახედ და უხალისოდ ჰკითხა:

— სად არის ის, შენი?

— ვინ ის?

— აი შენი საცოლე.

— ჩემი საცოლე? არა მყავს მე საცოლე.

— სტყუი! მაშ ფრუზკა რა არის? ისე იქცევა, როგორც ცოლი და არა სა-
ცოლე. არ გაბედო ჩემი ივანის შეცდენაო.

— ჰა, ჰა, ჰა! — გაიცინა ივანემ, მაგრამ ნაძალადევად, როგორც ამბობენ:
თან იცინოდა და თან ცრემლი სდიოდა.

— გადაეცი იმას, — ამბობდა განკა სწრაფად და ბრაზიანად, — რომ თავი
დამანებოს. მე მისი სალახანა არა ვარ. არა ვარ მისი ხელქვეითი. და თუ გა-
ბედა კიდეც და ხელი მახლო, ყურადღებას არ მივაქცევ მის მტირალა ცხვირ-
პირს, ისე დავცხებ, რომ კბილებს ჩავუღეწავ. იცოდეს ეს. ზომ გაიგე?

— მომშორდი თავიდან! — წამოიძახა ივანემ, — თავით უთხარი, რაც გინდა.
თქვენი ანგარიშები თქვენვე მოაგვარეთ. მე კი მომასვენეთ.

განკა მოშორდა. ივანე იჯდა და ლუღს სვამდა. მაგრამ აი სამიკიტნოში მუ-
შების მთელი ხრრვა შევიდა. დაინახეს ივანე და დაუწყეს დაცინვა:

— ჰა, ივან, გავიგეთ ბორისლავს სტოვებ.

— მეე? სიზმრადაც არ მომსვლია.

— რომ ფრუზიას ირთავ და სოფელში მიდიხარ საცხოვრებლად.

— ხომ არ შემოიღობხართ?

— ალბათ, თავით შეიშალო, რომ ბორისლავის თავისუფალ ცხოვრებას
უღელში შებმული ხარის ცხოვრებაზე სცვლი.

— ეი, თქვენ! — წამოიძახა გაბრაზებულმა ივანემ და ჭიქა მაგიდას დაჭა-
ლა: — ძაღლისშვილია ის, ვინც მაგას მეუბნება!

— ჩვენ ხომ არ მოგვიგონია! ასე გადმოგვცეს იმ ქალიშვილებმა, რომლე-
ბიც ფრუზიასთან ერთად დამეს ათევენ. მათთვის კი ფრუზიას უთქვამს, თით-
ქოს პირობა დაგედოთ.

— გასულელებულა! რა პირობა, რის პირობა? მართალია, ჩამჩიჩინებდა,
მიმეტოვებინა ბორისლავი. მეც ავიღე და, თავიდან რომ მომეშორებინა,
ერთხელ ვუთხარი: კარგი, კარგი, ერთ-ორ კვირას კიდე დავიცადოთ და მე-
რე ვნახოთ მეთქი! აი მთელი ჩვენი ლაპარაკი.

— ჰა, ჰა, ჰა! — ხარხარებდნენ მუშები. — კარგად გითქვამს, ორიოდ კვი-
რაც და მერე ვნახოთო. ორი კვირის შემდეგ კი ისეთივე სეირი იქნება, რო-
გორც ახლაა.

— რა თქმა უნდა! ციდან ღმერთი არ ჩამოვა და სასწაულს არ მოახდენს
არც ჩემთვის, არც იმისთვის. კარგად იცით, რომ მე საკუთრება არ გამაჩნია.
რასაც ვმოულობ, ისა მაქვს მხოლოდ.

— ეე, ივან, იყო დრო, როცა გაგაჩნდა! — წამოიძახა ვილაცამ ჯგუფიდან,
რომელმაც სხვებზე უკეთესად იცოდა, ალბათ, ივანეს წარსული.

— რაც იყო, წყალმა წაიღო! — სთქვა ივანემ და ხელი ჩაიჭნია, — მე რა
მერე, მამაჩემს რომ მდიდრის სახელი ჰქონდა გავარდნილი მთელს სოფელში?
რა მაქვს ახლა იმ სიმდიდრიდან?

— არაფერი, გარდა მწარე მოგონებისა! — წამოიძახა ვილაცამ კამპანიიდან.

— მართლაც რომ მწარე მოგონებაა! მაგრამ ამ მოგონებით ხომ ვერ იც-
ხოვრებ? ფრუზიას რაღა გააჩნია? ამბობს, თითქოს ჩემი გულისთვის.
მიატოვა მამა და მოვიდა აქ, მაგრამ მე ხომ ვიცი, როგორც იყო საქმე. მია-
ტოვა იმიტომ, რომ უნდა მიეტოვებინა, იმიტომ, რომ ხელმოკლედ ცხოვრო-
ბენ. მამას ორი სხვა ქალიშვილი ჰყავს კიდეც. იმათაც გათხოვება უნდა, რითი
მერე? მთელი მისი მამული ორი პაწაწა ნაჭრისაგან შესდგება. ისიც ისეა გა-

მოფიტული, რომ არაფერს არ იძლევა. ამ მიწით ქალიშვილს ისეთი კაცი წაიყვანს, ვისაც თავთ გააჩნია რამე, თანაც თუ ქალი ჯანმრთელია, მშრომელი. მაგრამ თუ ამ მიწას სამად გაჰყოფთ, მაშინ ზედაც არავინ შეხედავს. ახლა თუ გოგოც მიკნავებულია, არც ხალისი აქვს, არც მუშაობა შეუძლიან, აი ისეთი, როგორიც ფრუზიაა, მაშინ... აბა, სადაური მუშაა ფრუზია, მითხარით ერთი?.. აი მდიდარი რომ იყოს, რომ მორთო და გამოპრანჭო, ბავშვივით რომ ულღლიავო, შეიძლება მართლაც ადამიანს დაემსგავსოს. ახლა კი, ზიღარბეში, როცა მარტო ხელების იმედი გაქვს, ვერაფერი ჰკუთხა, ადგე და ასეთი ცოლი შეირთო. უმჯობესია კისერზე ქვა შობა და მორევში გადაეშვა.

— მართალია, მართალი! — უკვე სერიოზულად დაუკრეს კვერი მუშებმა. ამ დროს დიდი ღუმელის უკანიდან, რომელიც ოთახის კუთხეში იდგა, ფერწასული, მოკრუნჩხული ფიგურა გამოჩნდა. იგი ერთი ხანია უკვე, დერეფნიდან უკანა კარით შესული, იქ იჯდა თურმე, შეუმჩნეველი ხმაურობასა და აურზაურში. ფრუზია იყო ეს. კანკალებდა, თვალები უბრწყინავდა, ტუჩები გათეთრებოდა, თითქმის დასკდომოდა ციებ-ციხელებისაგან. გაუბედავი ნაბიჯით გაიკაფა მან გზა მემალაროებს შორის, შუა ოთახში გავიდა, ივანეს წინ გაჩერდა და თავი დაუკრა, ისე მდაბლად, რომ ხელით იატაკს შეეხო. ყველამ სული განაბა, ყველა მას შესცქეროდა.

— მადლობელი ვარ, შენი, ივან, მადლობელი, — სთქვა მან: — მადლობელი ვარ იმისათვის, რომ ერთხელ მაინც გულახდილად და დაუფარავად სთქვი სიმართლე, ის, რასაც ფიქრობ. ახლა ვიცი, რა გზას უნდა დავადგე. ნუ გეშინიან, აღარ გადაგეღობები გზაზე, თავს აღარ მოგაბეზრებ, აღარ გისაყვედურებ. იცხოვრე შენთვის, როგორც მოგესურვოს და დეე, ღმერთი იყოს შენდ შემწე!

და ერთხელ კიდევ დაუკრა თავი. ივანე კი მაგიდასთან იჯდა, ისე შემფოთებულნი, თითქოს ეკლებზე ზისო.

— ის კი, რასაც შენ მეფიცებოდი და მეუბნებოდი, რომ შევირთავო, მიწას გამოვისყიდი და ისევ მეურნეობას დავიწყებო, — დეე, ღმერთსაც დავეიწყოს. ახლა ვიცი, რომ სტყუოდი, მაგრამ ამ წუთამდის მჯეროდა შენი სიტყვა. მხოლოდ მართალი არ არის ის, თითქოს მამაჩემს გამოგვეგზავნე ბორისლავსში. ეს, ჩემო ძვირფასო, ტყუილი მოგივიდა. მამაჩემმა არც კი იცოდა, სად წავედი, არც სხვა ვინმემ იცოდა ეს. მე ვიცოდი მხოლოდ და მალაღმა ღმერთმა, რომელმაც შთამაგონა — ალბათ, მძიმე ცოდვებისათვის — ეს აზრი. მაგრამ როცა გავიგე, რომ შენ აქ ავად იყავი, ცარიელ და ცივ ფარდულში იწექი, წყლის მომწოდებელიც კი არავინ გყავდა, გულში რაღაცამ მიჩხვლიტა: „ჩვენ ხომ გვიყვარს ერთმანეთი, — ვუთხარი ჩემს თავს: — ის ზომ ჩემი საქმეა, თუ ხალხის წინაშე არა, ღვთის წინაშე მაინც“. ვსთქვი ეს, მოვემზადე და წამოვედი აქეთ. ალბათ, ღმერთმა რატომღაც ინება ჩემი ტანჯვა, რადგან უხვი საზომით მომიზომა იგი მე.. — შენ კი დღეს დაუმატე ამ ტანჯვას და გადააჭარბე კიდევ ზომას. ერთხელ კიდევ გიხდი მადლობას. მშვიდობით! იყავი კარგადა და ჯანსაღად!

მესამედ დაუკრა თავი და გავიდა სამიკიტნოდან.

მემალაროებს ასეთმა მოულოდნელობამ ერთხანს ენა დაუბა, მაგრამ მალე განათავისუფლდნენ უხერხულობისაგან და უხეში; ცინიკური ხუმრობა გააბეს.

— ხედავ, როგორ იკბინება კრაზანასავით!

— ხოლერაა და არა ქალიშვილი!

— მუშაობაში ხელს არ გაანძრევს, არ დაგეხმარება, ერთი, ცრემლებით კი გულს გაგაიბოს!

— წადი ახლა და შეირთე მაგისტანა ქალი! ჰო-და, მზა საავადმყოფოს გაიჩენ სახლში.

მხოლოდ ივანე იჯდა ჩუმად და თავჩალუნული.

V

კირნიცკისაგან გამოსული ფრუზია ქუჩაში მიდიოდა, თითონაც არ იცოდა — სად და რისთვის. ციოდა, ბნელოდა, წვრილი წვიმა თვალეში სცემდა. ქუჩაში ჭოჭი იდგა. ქუჩა ბინძურ ჭაობს უფრო ჰგავდა, ვიდრე ქუჩას.

ფრუზია მიდიოდა, — გაჭირვებით მიათრევდა ფეხებს ტლაპოში. ძლივს სუნთქავდა, სული ეხუთებოდა, მაგრამ თვალეზე, ცრემლი მაინც არ მოსდიოდა, არც თავს ეკარებოდა რაიმე აზრი. მხოლოდ ერთი გაუტყვეველი და დაუძლეველი სურვილი დაუფლებოდა მთელ მის არსებას: უნდა წავიდეს აქედან, მოშორდეს აქაურობას, დაიკარგოს, მიიმალოს. მაგრამ სად? ვისგან? არ ესმოდა, რომ მხოლოდ საკუთარი თავისაგან, საკუთარი ტკივილებისაგან სურდა მიმალვა.

ჯერ კიდევ ასრ ნაბიჯიც არ გადაედგა, რომ განკა ამოუდგა გვერდში. საიდან გაჩნდა? ალბათ, გაიგონა ფრუზიას სიტყვები და როცა ის სამიკიტნოდან გამოვიდა, შეუუმჩნევლად დაედევნა. ისე მოულოდნელად გაჩნდა, რომ როცა ფრუზიამ შეხედა, გაკვირვებულმა შეჰკივლა და პირჯვარი გადაიწერა. განკამ ჩუმად ჩაიცინა.

— შეგეშინდა? — სთქვა მან. — ნუ გეშინიან, მე ვარ, განკა.

— რა გინდა ჩემგან? — ძლივს წარმოსთქვა ფრუზიამ.

— არაფერი, მივიღივარ ჩემთვის ქუჩაში. განა არ შეიძლება შენ გვერდით სიარული?

— შენი გზა ხომ აქეთკენ არ არის?

— არც შენი გზაა აქეთკენ. შენი ბინისაკენ სულ სხვა გზით უნდა მიდიოდე.

— ჩემთვის სულ ერთია, — მიუგო ფრუზიამ.

— მე კი აქეთა მაქვს საქმე, — სთქვა განკამ.

ერთხანს ჩუმად მიდიოდნენ. გარშემო სიწყნარე იყო. მხოლოდ სამიკიტნოდან მოისმოდა ყვირილი და სიმღერა, და შავი, ბუმბერაზი დილი ღრიალებდა და კენესოდა შემოდგომის ამინდში.

— კარგები გადმოგილაგა შენმა ივანემ, — სთქვა გესლიანად განკამ.

— შენ, რაღა თქმა უნდა, გაგიხარდა!

— შეე? ჩემთვის სულ ერთია. მე დიდი ხანია ვიცოდი.

— რა იცოდი?

— ის, რაც თავათ გაიგონე დღეს, ის, რომ ივანეს არ უყვარხარ, რომ გატყუებს და არ შეგიერთავს.

— თითონ გითხრა ეგ?

— აბა, სხვა ვინ მეტყუოდა!

— მაშ შენ უყვარხარ?

— მეე? განა ვიცი? ჩემთვის სულ ერთია.

— თუ სულ ერთია, რაღას ეკუთრებები, რაღას ეკრობი. ბირკა ბალახივით?

— ჰა, ჰა, ჰა! — ჩაიცინა განკამ, — არც კი მიფიქრია. თითონ მეველება თავს, ათას რამეს ჩამჩურჩულებს. მაგრამ კარგად მესმის ყველაფერი.

— ორივეს გესმით ერთმანეთისა, როგორც მელაკუდებს! — ამაყად სთქვა ფრუზიამ.

— ეგ ყველაფერსა სჯობს. მე ვიცი, როცა მეკურკურება, თავისი ინტერესი აქვს. მანაც იცის, როცა ველრიჯები, ჩავდივარ ამას არა დიდი სიყვარულით, არამედ რაღაც ინტერესით.

— ფუი! — გადააფურთხა აღმფოთებულმა ფრუზიამ.

— აფურთხე, რამდენიც გინდა. შე კი ვამბობ, ასე სჯობს-მეთქი. შენ დიდი სიყვარულისაგან იქამდის მიხვედი, რომ ახლა თავგზადაბნეული სადღაც გარბინხარ. მე კი მაძლარი ვარ, ჯანმრთელი და კმაყოფილი. არც ისა გრძნობს ამისაგან თავს ცუდად.

— ისიც?

— რა თქმა უნდა, ისიც. შენ ხომ თავათ ხედავ, რომ ჩემთან ის მხიარულია: ლაპარაკობს, ხუმრობს, მღერის, შენთან კი მუდამ ცხვირ-ჩამოშვებულია და ვაჯავრებული.

— მოხჯადოვე... რაღაც ჯადოთი მოხიბლე.

— არა, ჩემო კარგო, მე კი არ მოვაჯადოვე, შენ სულელი და უგუნური ხარ, — აი რა! არ იცი თავის დაჭერა ახალგაზრდა კაცებთან. ჩაებლაუქე ერთს და იმაზე ამოგდის მზე. ჰა, ჰა, ჰა! რომ იცოდე, როგორ ცხოვრობენ სხვები, როგორ ეწყობიან. სწორედ იმას გადავეგები, იმისათვის დავიწყებ ცრემლების ღვრას! არ მოესწრება ამას! დეე, თითონ იტანჯოს, თითონ მდიოს კუღში!

— მე რომ ეგ არ შემიძლიან?

— თუ არ შეგიძლიან, ნულარც წუწუნებ, ნუ გაიძახი, მოაჯადოვეო, რაში მჭირდება ჯადო? უჯადოოღაც ამაღამ ჩემთან გაათევს.

ფრუზიამ ამ სიტყვებზე არც კი შეჰკვივლა, მხოლოდ მკერდზე ხელი იტაცა: წაბარბაცდა და უსულოდ წაიქცეოდა, განკას რომ ხელი არ ეტაცნა.

— რა დაგემართა? — წამოიძახა მან პირველ წუთს — ფრუზია! ფრუზია! მაგრამ ფრუზია ხმას არ იღებდა. მისი თავი განკას მკლავზე ეკიდა. იგი მკვდარს დამსგავსებოდა.

— ერიჰა! — ჩაიბუტბუტა განკამ. გულწასული ქალი ჩალის კონასავით ხელში ეჭირა. — გული წაუვიდა თუ სულ გათავდა?

თავი დაღუნა და სუნთქვას ყური დაუგდო.

— არა სუნთქვას, საბრალო! რა ვქნა ახლა? დავიყვირო? იქნებ ვინმე მოვიდეს, მოხეშველოს, რომ გონს მოვიყვანოთ.

და განკამ გარშემო მიმოიხედა. ისე ბნელოდა, რომ თითი გეტაკნა თვალში, ვერ გაიგებდი. სანამ ფრუზიას გული შეუღონდებოდა, მათ რომელიღაც გვერდის ქუჩაში შეუხვიეს. ირგვლივ არ მოსჩანდა არც სახლი, არც სამიკიტნო, ფარდულიც კი. მხოლოდ ნაცრისფერი ლამის გორაკები იყო გამწკრივებული ორივე მხარეს. დაძაბული თვალებით იყურებოდა განკა აქეთ-იქით. ბოლოს მიხვდა, სადაც იყვნენ. ეს ის ადგილი იყო, სადაც პირველად დაიწყეს ორმოების თხრა, მაგრამ ნავთის ამოქაჩვის შემდეგ, ორმოებს თავი მიანებეს და მუშაობას სხვა ადგილებში შეუდგნენ. აქ კი დარჩა გორაკებად დაგროვილი ლამი და ცარიელი ორმოები. ზოგი ორმო ფიცრით იყო გადაჭედული, ზოგი კი ღია დასტოვეს.

— ვინ ეშმაკი გაიგონებს ჩემს ხმას ამ ქარში! — კვლავ ჩაიბუტბუტა განკამ. ფრუზია ისევ ისე ხელში ეჭირა. — მე რაღამ გამასულელა, რომ მინდა გონზე მოვიყვანო: დავაგდებ აქ, შუა გზაზე, და რაც უნდა, ისა ქნას... ერთბაშად კი

წაიკიდა ცეცხლი. სალახანაო, მომძახა, თმაში მწვდა. აი შე ბატისტვინავ, შე-
ნა; გაჩვენებ, ვისთანაც გაქვს საქმე! — წამოუარა ერთბაშად ბრაზმა განკას.

კვლავ მიმოიხედა, მიაყურა, და როცა დარწმუნდა, რომ არავინ იყო, უეც-
რად ძალღვივით ისკუპა გზიდან, გრძნობა-დაკარგული ფრუზიით ხელში თიხის
ხროვაზე აცოცდა და ერთხელ კიდევ მიმოიხედა ირგვლივ. მერე ჩავიდა ქვე-
ვით, ძაბრისებრ ჩაღრმავებულში, რომლის ცენტრსაც ორმო შეადგენდა, ფე-
ხით მოსინჯა ნიადაგი და ორმოს პირთან მივიდა. ორმო გადახურული იყო
ორი ფიცრით, მაგრამ ერთი ვილაცას აეგლიჯა. განკამ ერთი ხელი მოუტუ-
ცუნა ორმოს თავს, დასწვდა მეორე, ნახევრად დამბალ და ორი ლურსმნით
მიმაგრებულ ფიცარს და ისიც ააგლიჯა. მერე ფეხებით მაგრა მიებჯინა ორ-
მოს ნაპირს, დაიხარა და გრძნობა-დაკარგული ფრუზია თავდაყირა ორმოში
ჩაუშვა. ორმო თითქმის პირამდე იყო სავსე წყლით, ფრუზიამ ტყაპანიც კი არ
მოადინა, ისე ჩუმად, უხმოდ, თითქოს თიხის ბელტიოო, დაეშვა ფსკერზე.

VI

— სად დაეთრევი, განკა, ამდენ ხანს? — დაუყვირა პანი კირნიცკაიამ, რო-
ცა ნახევარი საათის შემდეგ მთლად გაწუწული, ამოთხუპნული, მკვდარივით
გაფითრებული განკა სამზარეულოში შევიდა.

— სად უნდა დავეთრეოდე? წყალზე ვიყავი.

— სტყუი, იმიტომ რომ ვედროები დერეფანშია!

განკა აღარ შეეცადა ტყუილების გაგრძელებას, სამზარეულოდან გავარდა,
დასტაცა ხელი ვედროებს და წყლის მოსატანად გაიქცა. პანი კირნიცკაიამ
ერთხანს განაგრძო ბურტყუნი, მერე გაჩუმდა. რა მისი საქმეა, სად დაეთრევა
განკა? იცოდა, რომ ბორისლავში მოსამსახურე ქალი თავს ვერ შეიმაგრებს,
თრევას ვერ აიცილებს.

შუალამე გადასული იყო, როცა მთვრალი და მხიარული მუშები კირნიც-
კის სამიკიტნოდან გამოვიდნენ. ერთად შეჯგუფდნენ, შუა ქუჩაში მიდიოდ-
ნენ სიცილით, ხმამაღალი ლაპარაკით და სიმღერით. მარტო ივანე არ იყო
გუნებაზე. ნაკლებად სვამდა ამ საღამოს, მოლუშული იჯდა, თითქოს ფიქრებ-
შია გართულიო, ნამდვილად კი გარეტიანებული იყო.

მის გულში სინანულის მსგავსი რაღაც იღვიძებდა, — ენანებოდა მამისეული
მიწის ხელიდან გაშვება, — მიწის, რომელიც მან გაანიავა და ბორისლავის ზარ-
მაც ცხოვრებაზე გასცვალა. ფრუზიას სიტყვები მძიმე საყვედურად ჩაეწვეთა
გულში. ამ სიტყვებმა დაუკარგეს ჭამისა და სმის, ხუმრობისა და სიმღერის
სურვილი.

— ივანმა დღეს გემო დაჰკარგა, — ოხუნჯობდნენ ამხანაგები და მალე გან-
შორდნენ კიდევ.

გონებააბნეული ივანე მარტო მიდიოდა, მისდევდა სხვებს უკან, როცა მოუ-
ლოდნელად განკამ სტაცა ხელი. ივანე შეკრთა, მით უმეტეს, რომ ბნელაში
ვერ იცნო ვინ იყო.

— ვინ არის? — შესძახა ერთბაშად.

— მე ვარ, მე, ივან! — ჩასჩურჩულა განკამ.

— შენა ხარ? რა გინდა მერე?

— ჯავრობ ჩემზე?

— ვჯავრობ? რატომ?

— ღმერთმანი, არაფერში დამნაშავე არა ვარ,—სწრაფად, როგორღაც შეშფოთებული ჩურჩულებდა განკა, თანაც არ უშვებდა ივანეს ხელს. — რატომ უნდა წავჩხუბებოდი მე? თავათ ამიტეხა ჩხუბი, მერე მომვარდა კიდევ. მითხარი ერთი, რა უნდა მექნა?

— განა გისაყვედურებ? — უხალისოდ მიუგო ივანემ.

— ივანეო, ჩემო კარგო, — განაგრძო განკამ სწრაფად, სულმოუთქმელად: — რა გულკეთილი ხარ. მაშ არ მიჯავრდები? რატომა ხარ ასე მოწყენილი? რატომ იჯექი სამიკიტნოში ისე მოღუშული?

გვერდში მისდევდა, მის ხელს არ უშვებდა, ეკვროდა, თითქოს ეშინიანო მარტოობისა და წყვილადისა.

— ეჰ, რა უნდა გითხრა? — მიუგო ივანემ და ხელის განთავისუფლება მოისურვა.

— არა, არა! დაიცადე! სად მიდიხარ? — ეუბნებოდა განკა.

— შინ მივდივარ, დასაძინებლად.

— წავიდეთ ჩემთან, იქ უკეთ დაიძინებ.

— არ მინდა.

— წავიდეთ, ნუ გეშინიან, საშიში არაფერია.

— არ მინდა.

ივანეს ერთხელ უკვე გაეთია ღამე განკასთან. განკას ცალკე ეძინა, საკუჭნაოში, რომელსაც კირნიციკი საწყობად იყენებდა. იქ ბარდნებსა და ტომრებს შორის განიერი ტახტი იდგა. განკას წყვილი ბალიში და თბილი ტილო ჰქონდა და თუმცა საკუჭნაოს არ ახურებდნენ, იქ მაინც უფრო თბილოდა, ვიდრე იმ ფარდულში, სადაც ივანეს და ნავთის სხვა მუშებს ეძინათ.

მაგრამ დღეს ივანეს რატომღაც არ უნდოდა განკასთან წასვლა. ფრუნზიას ჩამომკვანარი, გაყვითლებული სახე თვალწინ ედგა, მისი თვალები თითქოს ემუდარებოდნენ, თითქოს უჩიოდნენ რაღაცას.

მაგრამ განკა მაგრა ჩასჭიდებოდა მის ხელს და არ უშვებდა. მეორე ხელი წელზე მოეხვივნა ივანესთვის, თავისკენ ეწეოდა, სთხოვდა, ემუდარებოდა წაპყოლოდა.

— ივან, ჩემო ძვირფასო, წამოდი მხოლოდ დღეს, ნუ დაიზარებ! არ ვიცი, რა მომდის, მეშინიან, ძალიან მეშინიან მარტო დარჩენა. არა, არ გაგიშვებ, მარტო არ დავრჩები! წავიდეთ წავიდეთ!

კანკალებდა, თითქოს ციებამ წამოუარაო, ისე ეშინოდა მარტოდ დარჩენა.

— რა მოგდის? — წამოიძახა ივანემ. — ბავშვი ხომ არა ხარ? გეშინიან რომელია?

— ღმერთმანი, მეშინიან, ძალიან მეშინიან! არაფრისთვის ამაღამ მარტო არ დავრჩები. მცემე, მომკალი, მაინც არ მოგეშვები. თუ ჩემთან არ გინდა, მაშინ მე წამოვალ შენთან, სადაც შენ ათევ ღამეს.

— ხომ არ გადაირიგე? ბიჭებით გაჭედილია იქაურობა.

— რა მენადღელება! მე იმათი არ მეშინიან, მე მხოლოდ მარტოობა მაშინებს... სიბნელე... იმისი მეშინიან.

— ვისი?

— აი იმისი... შენი გოგოსი... როგორ გიკრავდა თავს! დაინახე მისი სახე, როცა სამიკიტნოდან გადიოდა?

განკას მიერ ფრუნზიას გახსენებამ თავზარი დასცა ივანეს, თითქოს ხელით შეეხნენო მტკივან ადგილას.

— მომასვენე, ნუ ახსენებ ჩემთან იმის სახელს! — წამოიძახა მან, მაგრამ, თითქოს შეისმინაო განკას ვედრება, თან გაჰყვა. ქალს მის საკუქნაოში ღამის გასათევად.

განკა მაინც შფოთავდა: ეჯავგუებოდა, ძალით ეწეოდა, ხელს არ უშვებდა, განუწყვეტლივ ლაპარაკობდა და ცქმუტავდა.

— რა დაგემართა, გოგოვ? — სთქვა ბოლოს ივანემ, — ალბათ, დასველდი, ან იქნებ ციებამ წამოგიარა, ან კიდევ ავად გახდი? თევზივით თრთი, ხელეები გაყინული გაქვს, თავი ცხელი. ლაპარაკითაც უცნაურად ლაპარაკობ, აბნეულად.

— ეს არაფერია, ჩემო კარგო, არაფერი! ავჩქარდეთ მხოლოდ, დავწვები, გამოვიძინებ და ყველაფერი გაივლის.

მაგრამ უცნაურობამ არ გაუარა, ყოველ შემთხვევაში ისე სწრაფად ვერ დამშვიდდა, როგორც განკას უნდოდა. ამაოდ ეკვროდა ივანეს. როგორც კი ჩაეძინებოდა ივანეს, შიში ებარებოდა და კვლავ აღვიძებდა.

— ივან, ნუ დაიძინებ, მითხარი რამე! — ჩურჩულებდა თვალეზმობუტუთული, რომ მრისხანე წყვილია არ ეხილა.

— ხომ არ შეიშალე! — ილანძღებოდა ივანე: — დაღლილი ვარ, მინდა გამოვიძინო. რა დროს ლაპარაკია?!

— რამე, რამე მითხარი! ნუ დაიძინებ, ძალზე მეშინიან!

— რისი გეშინიან?

— არ ვიცი, რისი, მეშინიან კი. ვერ დამიძინია.

ქვითინი აუვარდა. უნდოდა ყველაფერი ეთქვა ივანესთვის, მაგრამ რალაც აკავებდა. კბილებს აღრაჭუნებდა, ტუჩებს იკვნეტდა, მაგრამ მაინც არა სთქვარა. მხოლოდ გარიჟრაჟზე. როცა მიდამოს ნაცრისფერი ზეწარი გადაეკრა, განკამ ჩაიძინა.

VII

გავიდა რამდენიმე დღე. ივანე მუშაობდა, სვამდა, მღეროდა სამიკიტნოში. განკასთან იძინებდა. ფრუზიანზე არ ფიქრობდა. განკა დაწყნარდა, აღარ ეშინოდა ღამ-ღამობით, მაგრამ მარტო დარჩენას მაინც ვერ ბედავდა. ამიტომ ყოველ საღამოს ეხვეწებოდა და ემუდარებოდა ივანეს, ყოველნაირად ცდილობდა შეეტყუებინა იგი თავისთან ღამის გასათევად. ივანე, რომელსაც წინაშე თავათ არა ერთხელ უთხოვნია წაეყვანა თან, ახლა უხალისოდ მისდევდა, რალაც სიძულილს გრძნობდა მისდამი. ბრახობდა, გული მოსდიოდა, როცა განკა ეკვროდა, ლანძღავდა, როცა აღიზიანებდა ან ეალერსებოდა, ზიზლით განზე მიიწევდა, როცა გვერდით ეწვა. ძალიან მალე ყველაფერი შესძაგდა, აუტანელი გახდა მასთან ღამის გათევა. განკა სწრაფად იძინებდა. მაგრამ ღამე იწყებდა კვნესას. ოხვრას ან ყვირილს, ისე საზარლად, რომ ივანე სწრაფად იღვიძებდა. რალაც ყრუ შფოთი ეუფლებოდა ამ დროს ივანეს სულს.

— რა ესიზმრება ასეთი? რატომ წივის და ყვირის ასე საზარლად? — ფიქრობდა იგი და ყურს უგდებდა განკას მძიმე სუნთქვას ყვირილის შემდეგ.

მალე განკას ისევ წყნარად ეძინა, მაგრამ მერე, როცა ნახევარი საათის შემდეგ განაწამებ ივანეს ჩაეძინებოდა, მის ყურთან კვლავ ატყდებოდა საშინელი წივილი და ყვირილი, და იგი ხელახლა იღვიძებდა.

— განკა, რა ეშმაკი გახარობს ძილში, რომ ასე საშინლად ყვირი?

— მეე? — ცახცახებდა განკა და შეშფოთებული ამბობდა: — არაფერია... არ ვიცი.

— ჰო-და, ნახავ, როცა მეორეთ მე აქ დავიძინო, — ბუზღუნებდა ბრაზმორეული ივანე. — როგორც კი შეჰყვირებ საშინელი ხმით, მთლად მიფრთხობ ძილს.

განკა ხარხარებდა.

— ჰა, ჰა, ჰა! მითხარი, მითხარი, ივან, როგორ ვყვირი?

— ისე, თითქოს ტყავს გაძრობდნენ.

— მერე, რას ვამბობ ხოლმე?

— განა შეიძლება რისამე გარჩევა? ღმუი პირუტყვივით.

— მულამ ასე ვიცოდი.

— სტყუი, წინად არ გამიგონია შენგან ასეთი ყვირილი.

— არაფერია, ზოგჯერ მემართება, მერე გამივლის ხოლმე.

— გაგივლის თუ არ გაგივლის, არ ვიცი, მაგრამ ამის შემდეგ ველარ შემომიტყუებ ამ შენს დაწყევლილ საკუჭნაოში ღამის გასათევად.

— აი ჯავრობ უკვე. რა გაჯავრებს?

ეუბნებოდა განკა, მაგრამ საღამოთი კვლავ სთხოვდა, ეხვეწებოდა, წაჰყვოლოდა, ყიდულობდა მისთვის ლუდს, არაყს, სანამ მთვრალი ივანე არ დასთანხმდებოდა და არ წაჰყვებოდა. როდესაც ბევრი ჰქონდა დალეული, მაგრამ ეძინა და განკას ყვირილზე არ ეღვიძებოდა. სწორედ ამიტომ დაიღო წესად: განკამ ყოველ საღამოს ივანეს მაგრა გამოთრობა. თანაც მიჰქონდა არყით სავსე ბოთლი, ბალიშ ქვეშ ამოუღებდა: გაიღვიძებს, გამოიღებს, დალევს და ისევ დაიძინებსო. მართალია, დილით ივანეს ფერი არ ედო სახეზე, თავი სტკიოდა. მაგრამ განკასთვის სულ ერთი იყო. თავათ ივანეს კი დრო არა ჰქონდა, სარკეში ჩაეხედნა. თავჩალუნული მიდიოდა სამუშაოდ. ერთი რამ დასჩემდა მხოლოდ: დაღონებული გამოიყურებოდა, მხიარულს ველარ ნახავდა კაცი, აღარ უნდოდა აღარც სიმღერა, აღარც ხუმრობა.

— ეე, ივან, გამოიცვალე, შენ თავს აღარ გეცხარ, — ეუბნებოდნენ ამხანაგები.

— ჰო, ისე რაღაც, — უხალისოდ უპასუხებდა ივანე.

— რა დაგემართა? ავად ხომ არა ხარ?

— მგონი... არა. დილაობით თავი მტკივა. ალბათ, არყის ბრალია.

— არა, მარტო არაყმა არ იცის თავის ტკივილი. ლუდში არაყს ხომ აჭურევ? არ ვარგა, მაგან იცის სწორედ თავის ტკივილი.

— მართლაც, იქნებ მაგის ბრალია. ამიერიდან აღარ აჭურევ.

შთარგმნელი ილია ახლამი

(დასასრული შემდეგ ნომერში)

კ რ ი ტ ი ა კ

ილია მაისურაძე

კოეჭური ენის სინაქსისათვის ახალგაზრდა მწერლების შემოქმედებაში

I

მეტყველების სახით საზოგადოებას მოეპოვება უზარმაზარი, მრავალსაუკუნოვანი და მარავალფეროვანი საუნჯის მდიდარი წყარო, რომელიც მზამზარეული სიტყვიერი მასალით უხვად ამარაგებს ყველა მეტყველს, ისე უხვად, რომ ყოველ ინდივიდს შეუძლია აზრის გამოსახატავად უღვეველი ენობრივი ფორმები მოძებნოს, განსხვავებული მეორე პიროვნების მიერ მოძებნილ გამოხატველობით ფორმებისაგან, ისე, როგორც ერთდამავე პიროვნებასაც სხვადასხვა დროს, ერთდამავე აზრის სხვადასხვა სიტყვიერ სამოსელში შეუძლია განვიოს, რამდენადაც ენის სახით მის განკარგულებაშია ამომწურავი სიტყვიერი მარაგი.

გამოხატვის სხვადასხვაობაში მქლავნდება ენის სტილიც.

დღევანდელი ჩვენი სოციალისტური სინამდვილე ყოველი განათლებული საბჭოთა მოქალაქისაგან, განსაკუთრებით კი, კულტურის ფრონტზე მომუშავე მუშაკთაგან, სამართლიანად მოითხოვს წმინდა ლიტერატურულ კულტურულ მეტყველებას და მის მომარჯვებას ყოველდღიურ პრაქტიკულ საქმიანობაში, ეს აუცილებელია ჩვენი წინსვლემლობისთვის, რადგან ამხანაგ სტალინის გამოთქმით „ენა — განვითარებისა და ბრძოლის იარაღია“¹

ლიტერატურული მეტყველება ორგანიულად გულისხმობს ენობრივი სტილის სიცხადეს, სისადავეს, დახვეწილობას, მხოლოდ ამ თვისებებით შეიძლება ენამ მიაღწიოს მაქსიმალურ ეფექტს გაგებინების საქმეში — სიტყვათა მინიმუმით აზრის მაქსიმუმში მიიტანოს მსმენელის გონებადღე.

ხელონების იმ დარგისათვის, რომელსაც მხატვრული ლიტერატურა ეწოდება, ენას, ამ დიდ საზოგადოებრივ იარაღს, ყოველდღიურ პრაქტიკულ დანიშნულებაზე უფრო მაღალი, უფრო დიდი და განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს.

მწერლისა თუ პოეტისათვის ენის უსაზღვრო სიტყვიერი მარაგი ის ღრმარეზერვუარია, რომლიდანაც იგი სახვითი მასალის უშრეტ საგანძურს იღებს.

¹) ი. სტალინი, „როგორ ვსმის სოციალ-დემოკრატიას ნაციონალური კითხვა“, სახელგამი, 1940 წ. გვ. 19.

თავისი შემოქმედებითი პროცესისათვის; ტყუილად კი არ უწოდებენ მწერალს სიტყვის ოსტატს, რომლისთვისაც სიტყვა არა მარტო აზრის გამოხატველია, არამედ სახეებისაც.

ენა მხატვრული ლიტერატურის მნიშვნელოვანი ფაქტორია. მ. გორკი, წერილში „საუბარი ახალგაზრდებთან“ სვამდა რა საკითხს, თუ „რა ელემენტებისაგან შედგება მხატვრული ლიტერატურა“, პასუხს ასე იძლეოდა: „ლიტერატურის პირველ ელემენტს წარმოადგენს ენა, მისი ძირითადი იარაღი, და ფაქტებთან, ცხოვრების მოვლენებთან ერთად — ლიტერატურის მასალა“.

თუ ჩვეულებრივად მოსაუბრე ადამიანიც კი თავის ჩვეულებრივ ლაპარაკში ერთგვარ სიტყვათშემოქმედებას ეწევა, რამდენადაც გადმოსაცემ თუ გამოსამყლავებელ აზრებს შესაფერ სიტყვიერ სამოსელს უძებნის და თავისებურად აფორმებს წინადადებებისა და ფრაზების სახით, მწერლისათვის ეს ყოველდღიური შემოქმედება უფრო მაღალი შთაგონების საგნად არის გადაქცეული, რამდენადაც მას უხდება აზრები და მოვლენები, საგნები და მათი ურთიერთობანი, მთელი თავისი მსოფლშეგრძნება, არა უბრალო სიტყვაობით, არამედ სახვითი გზით წარმოგვიდგინოს. მან სიტყვათა ისეთი პოეტური შეხამება უნდა შექმნას, რომ მკითხველში, ან მსმენელში აღძრას ნამდვილი, ხელოვნებისათვის დამახასიათებელი მძლავრი შთაბეჭდილებანი და განცდანი. ამას კი მან უნდა მიადწიოს წმინდა ლიტერატურული ენის ოსტატური შოხმარებით, ეპოქისათვის შესაბამი, ნათელი, სადა და ყველასათვის გასაგები სტილის გამოყვანებით. სიტყვის ხელოვანთა მიერ გამომუშავებული ენობრივი სამოსელი უნდა უზრუნველყოფდეს ხელოვნებით გაცისკროვნებულ სახეთა შექმნას, აზრებისა და გრძნობების, ყველასათვის გასაგებად და მხატვრულად გამოსახვას „ხელოვნური, თითიდან გამოწოვილი „სიახლენი“ ამ დარგში ისევე უძღურია, როგორც კონსერვატიული დაცვა დაძველებული სიტყვებისა, რომელთა აზრი უკვე წაიშალა, გაჰქრა“. (გორკი)

რთული, დატვირთული სიტყვიერი სამოსელი, მრავალნაირი პრილა სამკაულები, ცარიელი, უმიზნო, მაგრამ ლამაზი წინადადებები, რასაც ვ. ი. ლენინი „ზიზილ-პიპილებიან“ ფრაზებს უწოდებდა, აზრს აბნელებენ, ბუნდოვანობაში ხვევენ და ხანდახან თვითმიზნურ, შინაარსისაგან დაცლილ სიტყვათა თამაშს წარმოადგენენ; მტყვევლების ასეთი სტილი ბურჟუაზიული კლასისთვისაა დამახასიათებელი, იმ კლასისთვის, რომლისთვისაც ჭეშმარიტების დამალვა და აზრის დაბნელება აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს, რომლისთვისაც ყოველგვარ მისტიურ ბოდვას, რელიგიურ იდეალიზმს და განწირულების რომანტიზმს მწერლობაში, მეცნიერებასა და ფილოსოფიაში დიდი გასაგალი აქვს.

სოციალისტურმა ეპოქამ, რომელიც კაცობრიობის ხანგრძლივ პროგრესულ ისტორიის დამაგვირგვინებელ სტადიას წარმოადგენს და შეიცავს ახალი ეკონომიკით ნაკარნახევ ახალი სოციალური შინაარსით აღსავსე ღრმა იდეებისა და აზრების მთელ ზღვას, მოითხოვს ასევე მდიდარი და მოქნილი, მაგრამ მარტივი და რეალისტურად ამსახველი ენობრივი ფორმა.

ლენინისა და სტალინის დიადმა ეპოქამ შექმნა ახალი ადამიანები, გამოიმუშავა მუშაობის, შემოქმედებისა და ყოფაცხოვრების ახალი სოციალისტური, ბოლშევიკური სტილი, რადიკალურად განსხვავებული ძველი, გარდასული კაპიტალისტური და ფეოდალური სტილისაგან.

ცხადია, ეს ღრმა შინაარსიანი სოციალისტური ცხოვრება სათანადოდ აისახა ენობრივ იდეოლოგიაშიაც. მეტყველებამ იცვალა სახე, გამდიდრდა და გამრავალფეროვანდა ახალი ცხოვრების შინაარსეულ სიმდიდრის შესაბამისად. ენობრივი სტილიც სოციალისტური ეპოქისა შესატყვის ფორმებში ჩამოყალიბდა. ბოლშევიზმის თანამიმდევრული, მებრძოლი პოლიტიკა, ლენინ-სტალინის პარტიის გმირული საქმიანობა, საბჭოთა კავშირის მუშათა და გლეხთა კლასისა და ინტელიგენციის ბრძოლა და მშენებლობა სადა, ნათელ და მკაფიო მეტყველებაში გამოიხატა.

დიდი ბელადები, ლენინი და სტალინი ამ მხრივ, მეტყველების სტილის სისადავის, მკაფიობის და მკაცრი წესრიგის სანიმუშო მაგალითებს იძლევიან.

ყველა დიდი მწერლები, რომელნიც თავის მუშაობას მიზნად ხალხი სამსახურს უსახავდნენ, ყოველთვის უბრალო, სადა ხალხური ენით სწერდნენ. ამ მიმართულებით პირდაპირ გასაოცარ მისწრაფებას იჩენდა რუსი ხალხის გენიალური მხატვარი ლ. ტოლსტოი, რომელიც ამბობდა: „გასაგები და მისაწვდომი არა მარტო იმის პირობაა, რომ ხალხი ნაწერს ხალხისთ კითხულობდეს, არამედ იმისიც, რომ ყურნალში არ იყოს უგუნური, უადგილო და უნიჭო ლაპარაკიო“. ¹ მაღალ ნიჭიერი მწერალი ვერცერთი მწერლისაგან ვერ ითმენდა ნაწერში გაუგებარ სიტყვების ხმარებას.

„მე რომ მეფე ვყოფილიყავი, — ამბობს ტოლსტოი — გამოვცემდი კანონს, რითაც აუკრძალავდი წერას და მივუხჯიდი 100 როზგს ისეთ მწერალს, რომელიც თავის ნაწარმოებში იხმარდა სიტყვას, რომლის ახსნა მას არ შეეძლებოდაო“.²

ასეთსავე სადასიტყვაობას და ხალხურ სტილს მიმართავდნენ დიდი მწერლები დოსტოევსკი, დობროლოუბოვი, ჩერნიშევსკი, ტურგენევი, შევჩენკო, მ. გორკი, ი. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი, ა. ყაზბეგი, ვაჟა ფშაველა და სხვები. სალტიკოვ-შჩედრინი ჩიოდა, რომ ცენზურის სასტიკ პირობებში იძულებული იყო პირდაპირი და საყოველთაოდ გასაგები ენის ნაცვლად ეხმარა გადაკრული, ეზოპური ენა, რომ წყეულმა ცენზურამ იგი. მიიჩვია ნათელი აზრბ გამოხატოს მიკიბულ-მოკიბული ფრაზებით.

ცნობილია, რომ რუსეთში პუშკინმა, ხოლო საქართველოში ილ. ჭავჭავაძემ, აკ. წერეთელმა და საერთოდ „თერგდალეულებმა“ მაღალფარდოვანი არისტოკრატიული, მასებისათვის მიუწვდომელი ენა გაახალხურეს და ამით მიადწიეს სტილის სისადავეს.

60-იან წლებში ქართულ საზოგადოებრივ ასპარეზზე გამართულ თაობათა შორის გამძაფრებულ ბრძოლაში ენის საკითხს დიდი ადგილი ეჭირა. ძველი კონსერვატიული თაობა თავგამოდებით უკიყინებდა „შვილებს“ ენის ვადებიურებასა და გახალხურებას. ახალი თაობა კი, მტკიცედ ადგა რა ენის დემოკრატიზაციის ტენდენციას, ამავე დროს იჩენდა უდიდეს ზრუნვას მეტყველების სიფაქიზისა და კულტურისათვის.

„ხშირად გვესმოდა ყიყინა და საყვედური, — გადმოხვცემს თავის მოგონებაში ი. მანსვეტაშვილი, — რომ „ივერიამ“ ზრდილობიანი ქართული ენა სრულიად გააპამპულა, გაამასხარავა, მდაბიო ხალხის, გლეხურ ენად გადააქციაო. ეს მღვდლის და დიაკვნის შვილები რომ დაეპატრონენ გაზეთს და ასე-

1) Русские Писатели о литературе, т. II, 1939 г. Ленинград. стр. 148.

***) იქვე, გვ. 149.

თი ერთ სწერენ, არც გასაკვირია, მაგრამ ამ ილიას-რალა დაემართა, იმათ ფეხის ხმას როგორ აპყვავა.

ამის მოქმელთ ილიას აზრი რომ მოესმინათ ამ საგნის შესახებ, სულ სხვა ჰანგზე მოაწყობდნენ სიმღერას, არ იცოდნენ, რომ ილია იყო პირველი შთამგონებელი, დაულაღვი მქადაგებელი იმ აზრისა, თუ როგორ უნდა იწერებოდეს ქართული გაზეთი, ან წიგნი, ბევრჯელ მთელი საღამოები გაგვიტარებია და სჯა-ბაასი გვქონია იმის შესახებ, თუ ვინ არის დღეს ჩვენი მკითხველი, ან სად უნდა ვეძიოთ ეს მკითხველი. ილია იტყოდა ხოლმე: ჩვენი დიდკაცობა, ჩვენი წარჩინებული მოხელენი გადაგვარების გზაზე არიან დამდგარნი, იმათ ქართველიც და ქართველობაც — ორივე ფეხებზე ჰკიდიათ. ამათვის წერა, ტყუილი შრომა იქნებაო“¹.

ილიას დიდ ზრუნვაზე ენის სიწმინდისათვის და მის თავგამოდებული შრომის შესახებ ენა-სტილის საკითხებზე მოგონებების იგივე ავტორი სხვა ადგილას ასეთ საგულისხმო ცნობებს გვაწვდის: „ყველა ერთგულად, გატაცებით ვეკიდებოდით საერთო საქმეს, — იგონებს ი. მანსვეტაშვილი, — მაგრამ სულის ჩამდგმელი, გზის მაჩვენებელი, ენის მასწავლებელი მაინც ილია იყო, უნდა გენახათ, ეს უკვე ხანში შესული კაცი, როგორი ახალგაზრდული ხალისით, გატაცებით მუშაობდა ჩვენთან ერთად. სულ იმას ცდილობდა, რომ შეთანხმებით გვემუშავნა. გაზეთს ერთი სული ჩასდგომოდა, ერთი მიმართულება ჰქონოდა. მეტადრე მტკიცედ იცავდა ენის სიწმინდეს, სიტყვიზეს, ქართულობას.

„რა ენა წახდეს, ერიც დაეცეს,“ — უყვარდა ხშირად ამის გამეორება. ენა უნდა დავიცვათ შერყენილებისაგან, ენას ისე უნდა ვულოლიავოთ, მოვუაროთ, როგორც დედა თავის პირმშო შვილს. ენა არის დედაბოძი საქართველოს ერთიანობისა, მთლიანობისა და თუ ეს დედაბოძი გამოვაცალეთ, თუნდა არა ბოროტ განზრახვით, არამედ ჩვენი უეციობით, გულგრილობით, თუ რუსეთუმეების გზას დავადექით, მაშინ ჭერი ჩამოგვენგრევა, სახლს ქვეშ მოიტანს და ჩვენი მშობელი ქვეყანა, ჩვენი საქართველო განადგურდება, განიადდება დედამიწის ზურგზეო.

ამიტომაც იყო, რომ არც ერთი წერილი, დიდი თუ პატარა, არცერთი ფელეტონი, არცერთი კორესპოდენცია, ისე არ გაიგზავნებოდა სტამბაში ასაწყობად, ვიდრე მთელი სიგარძე-სივანით, ძირიან-ფეხვიანად არ გადავათვალიერებდით, არ გავრანდავდით, არ გავაშალაშინებდით; მთელი კოლეგია ილიას მეთაურობით, ვისზედით ღამის ორ საათამდის და გულდასმით ვასწორებდით, ვამზადებდით მასალას. დასაბეჭდად“².

ცნობილია, რომ ილ. ჭავჭავაძე, ენის ამავდარი და მისი სიწმინდისათვის მზრუნველი, ვერასოდეს ვერ ურიგდებოდა ენის სიმახინჯეს, დამძიმებულ და ხელოვნურად შეთითხნილ სტილს. იგი არავის უთმობდა „მშობლიურ ენის მიწასთან გასწორებას“, რადგან მისთვის „ენა საღმთო რამ არის, საზოგადო საკუთრება“, რომელსაც „კაცი ცოდვილის ხელით არ უნდა შეეხოს“. მან დაუნდობელი კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა კონსერვატიული თაობის წარმომადგენლის და უნიჭო მთარგმნელის თავ. რევაზ შალვას-ძე ერისთავის მიერ უხეირო ქართულით შესრულებული თარგმანი კაზლოვის „შეშლილისა“. მის-

*) ი. მანსვეტაშვილი „მოგონებანი“, თბილისი, 1936 წ. გვ. 80.

1) М. Горкий, о „литературной технике“, „Лит Учеба“ № 5, 1932 г.

2) ი. მანსვეტაშვილი, იქვე, გვ. 77.

თვის ჩვეული მახვილი ჰუმორითა და განმანადგურებელი კრიტიკით აღსავსე პრინციპულად მაღალ სტატიაში იგი სწერს: „სწორედ უნდა მოგახსენოთ, ხან გვეცინებოდა, რომ ეგრეთ უენო ენად ვნახეთ ჩვენი საყვარელი ენა, ის ენა, რომელზედაც დაილილია ჩვენმა უკვდავმა რუსთაველმა თავისი უკვდავი „ვეფხვის-ტყაოსანი“, რომელზედაც დაიგალობა თავისი ღვთიური სიმღერები თავად ალექსანდრე ჰავჭავაძემ, ის ენა, რომელზედაც თავად ნ. ბარათაშვილმა, მაგ უდროოდ დამარხულმა ჩვენმა იმედმა, ჰარმონიულად და ნაღვლიანად დაიმღერა „ქართლის ბედი“ და თავის მართლა და ზეგარდმო შთაგონებული წვრილი ლექსები... გვიკვირს, კაცმა როგორ უნდა გამოიმეტოს თავისი ღეღამის ენა ისე, როგორც თავად ერისთავს გამოუმეტნია. სწორედ უნდა მოგახსენოთ, ამისთანა წერაში არამც თუ იყოს ენის სიყვარული, არამედ ენის სრული უპატიობაა და სიძულვილი. რომ არა გვეყვანდნენ რუსთაველი, ალ. ჰავჭავაძე, ნიკოლოზ ბარათაშვილი, გრ. ორბელიანი, კიდეც ჰო. რომ გვეყვან, რატომ არა ვსწავლობთ იმათ მშვენიერს ლექსებში მშვენიერს ენას.“

ჩვენი დიდი სახალხო მგოსანი აკ. წერეთელიც დიდი გულისხმიერებით ეკიდებოდა მხატვრულ ნაწარმოებთა ენობრივად გამართვის საკითხს, განსაკუთრებით დიდია მისი ღვაწლი ხალხური სიტყვიერი მარაგის მწერლობაში გამოყენებისათვის, მისი შრომა ხალხის ზეპირსიტყვიერებითი მასალის დაგროვებისათვის გაწეული, აღსავსე იყო დიდი ზრუნვით, რათა თავმოყრილი და გამოყენებული ყოფილიყო ცოცხალი მეტყველების წიაღში დარჩენილი სტილისტურ-ლექსიკური მასალის უხვი საუნჯე.

ზაქ. ფორაქიშვილი თავის „მოგონებაში აკ. წერეთელზე“¹ გადმოგვცემს მგოსნის იმ სიტყვის მოკლე შინაარსს, რომელიც მას წარმოუთქვამს წკ. გამარჯვ. საზოგადოების წევრთა ერთერთ საერთო კრებაზე ახალი ლექსიკონის გამოცემის საკითხის განხილვის გამო.

ლექსიკონის შემდგენელთაგან აკაკის დაბეჯითებით მოუთხოვია ხალხური მეტყველების უხვი სალაროდან ამოღებულ სიტყვათა და გამოთქმათა გამოყენების აუცილებლობა და საილუსტრაციოდ მოუყვანია ერთი შემთხვევა თავისი მოგზაურობიდან, როდესაც იგი ერთერთ სოფელში დაბრძნილ მეწისქვილე გლეხის მეტყველებაში იგი წააწყდა საინტერესო სიტყვას „ტევალობას“, „ინ'ემ“-ის შესატყვისს.

ერთერთი ქართველი მწერალი, „თავის ნაწერებში ხშირად ხმარობდა სიტყვას „წყალვარდნილს“, ეს უკანასკნელი სიტყვა რუსულ „ვოდოპადიდან“ ეთარგმნა.

„როდესაც ამას მიაქცია ყურადღება ჩვენმა ყოველდღიურმა გაზეთმა. — უთქვამს აკაკის იმავე კრებაზე, — მოუწოდა თავის მკითხველებს მოაწოდონ რედაქციას ნამდვილი სახელწოდება „ვოდოპადისა“ ქართულად.

არ გასულა დიდი ხანი, რომ რედაქციას თითქმის საქართველოს ყველა კუთხიდან მოუვიდა ცნობა და გამოიჩვენა, რომ „ვოდოპადს“ ხალხის უმრავლესობა უწოდებს — ჩანჩქერს, ჩაჩხრიალას და სხვა კიდეც რამდენიმე სახელწოდებას, ასე ამ როგად „წყალვარდნილის“ მაგიერ აღმოჩნდა რამდენიმე სიტყვა, რომელიც გადანტული ყოფილა ჩვენი სამშობლოს სხვადასხვა კუთხეში.“

ჩვენ მაგალითებს აღარ გავამრავლებთ იმის დასადასტურებლად, თუ რა დიდად ზრუნავდნენ მხატვრული სიტყვის კლასიკოსები ენის სიწმინდე-სისწორეზე და როგორ უფრთხილდებოდნენ მას, როგორც დიდ ეროვნულ საუნჯე.

¹) „ჩვენი თაობა“ № 6, 1940 წ. გვ. 61, 62.

ჯეს, მიუხედავად რეაქციულ ცარიზმის მკაცრი ცენზურისა და ნაციონალურ კულტურის მდევნელი, პროგრესიული იდეების ჩამხშობი პოლიტიკისა.

დღეს, ჩვენ დიად ეპოქაში, როდესაც ოქტომბრის დიდი რევოლუციის შემდეგ, მშრომელმა ხალხმა თვითონ მოიპოვა სახელმწიფოს მართვის უფლება და შექმნა ფორმით ნაციონალური და შინაარსით ინტერნაციონალური კულტურა, როდესაც ხელოვნების, ლიტერატურის, სამწერლო ენის მესვეურადაც ხალხივე შეიქმნა, უფრო მეტად გვმართებს ზრუნვა უკვე მასობრივი ლიტერატურული ენის დანერგვისათვის სოციალისტური ცხოვრების ყოველუბანზე და კერძოდ მწერლობაში: სოციალისტური რეალიზმის ფუძემდებელმა მ. გორკიმ ჰკაცრად განსაზღვრა ამოცანა საბჭოთა მწერლობაში ხალხური, სადა, მაგრამ ლიტერატურული ენის ფართოდ დამკვიდრებისა: მხატვრულ ნაწარმოებებს, სწერდა იგი, — რომელიც მიზნად ისახავს ფაქტებში დამალული სოციალისტური ცხოვრების აზრი დახატოს მთელი თავისი მნიშვნელობით, სისრულითა და სიცხადით, მოეთხოვება მკაფიო, ზუსტი ენა, გულდასმით შერჩეული სიტყვები. სწორედ ასეთი ენით სწერდნენ „კლასიკოსები“, რომელნიც მას თანდათანობით, საუკუნეთა განმავლობაში ამუშავებდნენ, ეს ნამდვილად სალიტერატურო ენაა და თუმცა მას მშრომელი მასების სამეტყველო ენიდან ჰკრეფდნენ, იგი მკვეთრად განსხვავდება თავის პირველ წყაროდან, რადგან გვიხატავს რა აღწერილობითი სახით, იგი სამეტყველო სტიქიიდან უკუაგდება ყოველგვარ შემთხვევითს, დროებითს და არა მტკიცეს, კაპრიზიანს, ფონეტიკურად დამახინჯებულს, რომელიც სხვადასხვა მიზეზით არ შეეფერება ზოგად ტომურ ენის ძირითად „სულს“, ე. ი. წყობას“¹. „რომ ლიტერატურულმა ნაწარმოებმა — სამართლიანად გვაუწყებს მ. გორკი, — დამსახუროს მხატვრული ნაწარმოების ტიტული, აუცილებელია, რათა მას მივანიჭოთ სრულქმნილი სიტყვიერი ფორმა: ასეთ ფორმას მოთხოვრებასა და რომანს აძლევს უბრალო, ზუსტი, ნათელი, ეკონომიური ენა“².

გორკი თვითონ იყო პრაქტიკულად გამტარებელი ასეთი ენისა, მანვე წამოჭრა მხატვრულ ლიტერატურაში ენის გამოყენების მნიშვნელოვანი თეორიული პრობლემები.

II

ქართული საბჭოთა მწერლობა, უკვე საკმაოდ მტკიცე და ძლიერია. მას საკავშირო რეზონანსი აქვს მოპოვებული, მაგრამ ენა-სტილის სიწმინდე-სიფაქიზის მხრივ, მეტყველების სრულქმნილი, კულტურული სტილის მოპოვებაში ჯერ კიდევ მრავალი ნაკლი შეიძლება აღინიშნოს. მართო ის ფაქტი, რომ ჩვენში ძალიან ნაკლებად იწერება ცალკეულ მწერალთა ენა-სტილის კრიტიკული მიმოხილვა, არ არის გადაქცეული კვლევის საგნად ჩვენი საუკეთესო სიტყვის ოსტატთა ენობრივი შემოქმედება, იშვიათად მკვლავნდება ახალგაზრდა ლიტერატურული ძალების მეტყველებითი ნაკლოვანებანი, იმაზე ღაღადებს, რომ ამ მხრივ ჩვენში ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი.

ზოგიერთი ჩვენი ახალგაზრდა მწერლები და პოეტები, ნაკლები სერიოზულობით ეკიდებიან ენის საკთხს, არაგულისხმეოდ და ზერელე დამოკიდებულებას იჩენენ მისდამი, ხეირიანად ვერ ჰფლობენ მდიდარი ქართული მეტყველების ბუნებრივ აგებულებას, ნაკლებად მუშაობენ მართლწერა-მართლმეტ-

¹) მ. გორკი, საუბარი ახალგაზრდებთან.

ყველების პრაქტიკულ საკითხებზე, არ იცავენ მშობლიური ენის სიწმინდეს, კლასიკური მწერლობიდან ნაანდერძე ენობრივ მემკვიდრეობას ხელმიშვებით ამღვრევენ გადაჭარბებული პროვინციალიზმებით, ბარბარიზმებით, უხეშა-არალიტერატურული გამოთქმებით და ნაძალადევი ხელოვნური ფორმიდ.

საჭიროა მწერლობაში ენის დამახინჯებისა და ამღვრევის ფაქტებს დრო-ზე მივუთითოთ, გამოვამკლავნოთ და სალი კრიტიკის შემწეობით ხელი შე-ვეუწყოთ მწერლებს ენის სიწმინდისათვის ბრძოლაში. კრიტიკოსებთან ერთად, ამ საქმეში უნდა ჩავაბათ ჩვენი ენათმეცნიერნი და სტილისტები.

განსაკუთრებით ჩვენს ახალგაზრდა მწერლებში ძალიან გახშირდა არა-ლიტერატურული გამოთქმებით, ბუნდოვანი, ხელოვნურად გართულებული, მიკიბულ-მოკიბული, დაღვლარქნილი ფრაზებითა და წინადადებებით წერა, რომელშიაც გამოსჭვივის სოციალისტური რეალიზმისათვის უცხო და დეკა-დანტური მიმართულებისათვის დამახასიათებელი პრანჭია მანერები. ეს ნათ-ლად აღინიშნა 1940 წ. 30 ოქტომბერს გამართულ მწერალთა საქალაქო კრე-ბაზე.

ამ წერილში ჩვენ გვსურს აღვნიშნოთ ახალგაზრდა მწერალთა სტრიქონებ-ში გამოვლინებული ის ენობრივ-სტილისტური გადახვევანი, რომელნიც თანა-მედროვე ლიტერატურული ქართულის თვალსაზრისით უმართებულო, მიუღე-ბელ და მახინჯ ფორმებს წარმოადგენენ და რომელთა აღმოფხვრისათვის უნ-და ვიბრძოლოთ.

III

პირველყოვლისა შევჩერდებით პროვინციალიზმებზე. პროვინციალიზმები ამათივე კუთხის ყოველდღიურ სალაპარაკო ენობრივ თავისებურებებს წარ-მოადგენენ და უცხო არიან სამწერლო ენის ტრადიციებისთვის. ასეთი ფორმე-ბის ნაცვლად ლიტერატურულ ენას ისტორიულად განმტკიცებელი, გარკვე-ულ კანონზომიერებაზე დამყარებული საკუთარი ფორმები მოეხიზრება და ამი-ტომ იმაზე ლაპარაკი, თითქოს პროვინციალიზმები მწერლობას ამდიდრებე-ნო, სრულიად უსაფუძვლოა (სულ სხვა კუთხურ ენაზე მოლაპარაკე ტიპე-ბის საკითხი მხატვრულ ნაწარმოებში. მწერალი ასეთ შემთხვევებში პროვინ-ციალიზმებს იყენებს, როგორც მხატვრული ასახვის ერთ-ერთ საშუალებას. მომქმედ პირთა ეთნიური კოლორიტის გადმოსაცემად და არა საკუთარი აზრი-სა და განცდის გამომსახველად).

ჩვენს მიერ გადასინჯულ მასალაში პროვინციალიზმების შემდეგი ტიპური მაგალითები შეგვიძლია აღმოვაჩინოთ:

ბარაქის თვალი და ი ა რ ს—სოფლებს.
(ლ. ასათიანი).

უნდა იყოს: დაივლის.

რადგან კაცისშვილს ჰქვია და ძალი,
და ძალს ჰქვია და—ადამიანი.
(ლ. ასათიანი „კოლხიდა“)

უნდა იყოს: ერქვა, ეწოდებოდა

ვიღუპებოდი, თქვენც მო დ ი თ მაშინ.
(ვ. სულაბერიძე „ჩაილდ-ჰაროლის გადარჩენა“).

უნდა იყოს: მოხვედით.

და შორს ქარი, გულმოსული
ღრუბლებს ზღვისკენ მიდენიდა...
(ა. თევზაძე „შენი სოფლის სურათები“)

უნდა იყოს: მიერეკებოდა.

ი ფ ი ც ე ბ ს ერთი და ვარდის ფრად ანათებს ბაზარს
(ლ. ასათიანი).

უნდა იყოს: ფიცულობდა.

გული ლოდთან არ დამჩაღა.
(მ. გელოვანი, „შავნაბადა“).

უნდა იყოს: დარჩენილა.

იცი რა კარგი იყავი. დედას
ვ ფ ი ც ა ვ ა რ ახლაც მახსოვს ის წამი...
(ა. აღამია).

უნდა იყოს: გეფიცები.

ისევ ტიროდა გაღმელი
თ ვ ა ლ ც რ ე მ ლ შ ი ჩაეწვინა...
(გ. ჯ ა ბ უ შ ა ნ უ რ ი, „საზღვარზე“).

უნდა იყოს: თვალი ჩაეწვინა

ავი თუ არ თქვი, არ გე ს კ ვ ე ნ ე ბ ა ?
(ი. შ ა ი შ მ ე ლ ა შ ვ ი ლ ი, „მდინარის გაღმა“).

უნდა იყოს: ვერ ისვენებ.

მაგრამ როგორღაც არ ეჯერებათ
(ი. შ ა ი შ მ ე ლ ა შ ვ ი ლ ი, „მდინარის გაღმა“).

უნდა იყოს: არ სჯერათ.

აენთო გმირი ლაწვებსოველი
(ლ. ასათიანი).

უნდა იყოს: ლაწვებსველი.

გინდა? წახვალ უვნებელს,
გინდა? სიკვდილს შეერიგდები.
(მ. გელოვანი).

უნდა იყოს: შეურიგდები.

ვინაც ოქტომბერს შეეწირეთ ამაყი სულით.
(ჯაბუშანური).

უნდა იყოს: ვინც.

პროვინციალიზმის ჩამოთვლილი მაგალითები მხოლოდ დიალექტურ ფორმებს წარმოადგენენ, განსხვავებულთ სალიტერატურო ქართულის ფორმები-საგან. საჭიროა ცალკე მიუთითოთ კუთხურ სიტყვებსა და გამოთშებზეც, აი, მათი ნიმუშებიც:

გ ა მ თ ე ნ ი ი ს ა ს დ რ ო შ ე ბ ი ვ ნ ა ზ ე .
შ ე ნ მ ა თ ვ ა ლ ე ბ მ ა მ ტ ყ ო რ ც ნ ე ს ის ა რ ი ...
(გ. იმედაძე).

ტინმე ჩ ა ი ფ უ რ ჩ უ ლ ე ბ და (მ. გელოვანი).

ა მ ა წ რ ი ა ლ ა შ ე ნ ი თ ვ ა ლ ე ბ ი ს
მ ზ ე რ ა მ და ჩ ე მ ი გ უ ლ ს ძ გ ე რ ა მ ა .

(ა. აღაძია).

წ ა მ ო ვ ი და , გ ზ ა და ხ ა ფ რ ა ...

(გ. ძიგვაშვილი).

და პ ა ტ ი მ რ ე ბ ი თ ვ ა ლ თ წ კ ვ ა რ ა მ შ ი ა ბ რ ი ა ლ ე ბ ე ნ .

(ბ. კეშელავა).

ნ ა მ ე ტ ნ ა ვ ა დ გა მ წ ა რ ე ბ უ ლ ა : ..

(რ. მარგიანი).

თ ე თ რ მ ა ნ ის ლ მ ა თ ე თ რ ი კ ა ლ თ ა ,
გ ა და გ ვ ხ უ რ ა რ ო გ ო რ ც ნ ა რ მ ა ,
მ ა გ რ ა მ უ ც ე ბ მ ძ ლ ა ვ რ მ ა ქ ა რ მ ა
ა ხ ვ ე ტ ა და გ ა და კ ვ ა რ თ ა

(გ. ჯაბუშანი).

გ უ ლ ი კ ვ დ ე ბ ა უ წ ა დ ი ნ ო .

(მ. გელოვანი).

მორფოლოგიური ხასიათის შეცდომათაგან პირველ რიგში აღსანიშნავია ჩვეულებრივ შეკუმშული ფუძის გაშლით წარმოდგენა, ან და პირიქით, ისეთი ფუძეების შეკუმშვა, რომელნიც საერთოდ უკუმშველნი არიან. ორივე ტიპის შეცდომები უფრო ხშირად გამოწვეულია ლექსის ზომის მოთხოვნით (პირველ შემთხვევაში ერთი მარცვალი კლებულობს, მეორეში — მატულობს). ცხადია, ლექსის გამართვის ასეთი წესი, როდესაც პოეტი ენობრივ კანონზომიერების დარღვევით აღწევს ლექსალობის მოთხოვნებს, ყოველად მიუღებელია. შეკუმშული ფუძის გამლა:

ისმის შორიდან ქ ა რ ი შ ხ ა ლ ი ს შ ფ ო თ ი , ღ მ უ ი ლ ი ...

(ბ. კეშელავა).

მ ე გ ო ბ ა რ ი ს ფ ი ქ რ ი ...

(მ. ბარათაშვილი).

ვ ი ნ ც კ ა რ ი და ფ ა ნ ჯ ა რ ე ბ ი

ცივი რკინით დაგიქედა...

(მ. გელოვანი)

შ ო რ ი თ მოსულებს ეშინიათ გ ა ა ვ და რ ე ბ ი ს ...

ბ ა ზ ა რ შ ი დ ი ნ ჯ ა დ შ ე მ ო დ ი ა ნ ჩ ა ლ ვ ა და რ ე ბ ი ...

(ლ. ასათიანი).

ისეთ ფუძეების შეკუმშვა, რომელნიც ჩვეულებრივ უკუმშველნი არიან.

მ ო ო ჭ ვ რ ი ლ ი ღ ა მ ე ჩ ა მ ქ რ ა ლ ა ...

(მ. ბარათაშვილი).

სწორედ ასევე ლექსის ინტერესისათვის გადამახიჯებული სიტყვებია წარმოდგენილი ქვემოჩამოთვლილ მაგალითებში.

გ ა ღ ე ლ ი ლ ი ს ა კ ი ნ ძ ე თ ი

(მ. გელოვანი)

ა ს უ გ ვ ი ა ნ რ ი ს ა თ ე ი ს გა ვ ჩ ნ დ ი .

(შ. ამისულაშვილი).

შ ე ნ ი თ მ გ ლ ო ვ ა რ ე მ და და თ ა ლ ხ უ ლ მ ა (რ. მარგიანი).

და ც ი ე ბ ა და უ ა მ ი მ ო ს ს ა რ ი თ (ლ. ასათიანი).

ე . ო . მ ო ს რ ე თ .

აზრის სიცხადე, ენის მოქნილობა დიდადაა დამოკიდებული ფრაზის სწორ სინტაქსურ კონსტრუქციაზე, ამიტომ ყოველი პოეტი ზედმიწევნით უნდა

ამენებდეს ღრმა იდეურობით გამსჭვალულ სანახაობით მდიდარ პოეტურ შე-
ნობას. თვითნებური, ენის ბუნებიდან მოწყვეტილი წესით გამართვა პოეტუ-
რი ფრაზისა, ისევე უქმი და უსარგებლოა, როგორც ყოველი ძალდატანებული
გამომგონებლობა ენის დარგში.

ცნობილია, რომ სიტყვათა დალაგება წინადადებაში გარკვეულ ლოგიკურ
როლს ასრულებს. ფრაზაში სიტყვათა თანმიმდევრობა გარკვეულ წესრიგზეა
დამყარებული. ამ წესრიგის დარღვევით შეიძლება ნათელი აზრი დაბნელ-
დეს ან სულ გაუგებარი გახდეს, ამით კი, რასაკვირველია, პოეტური სიტყვა
ჰკარგავს ყოველგვარ ესთეტიკურ ღირებულებასაც, ლექსიც უკვე ვეღარ
ამართლებს თავის დანიშნულებას, აქ ვეღარ გვშველის ვერც ჯვარედინად
გარითმული სტრიქონები, ვერც ბგერათა ჰარმონია და ვერც მეტრის კა-
ლაპოტი.

აი ამის დამამტკიცებელი ნიმუშებიც:

უგზოდ ნარჩენი მსუსხავ სიოზე
გაფითრებული მზვერავის ცნობით...
(ი. შაიშველაშვილი).

უნდა იყოს: მსუსხავ სიოში უგზოდ დარჩენილი მზვერავის ცნობით...

მტერს ლხენით შევხვდით, ფარის ქრიალით,
ომის წადილით შერხეულისა...
(გ. ძიგვაშვილი).

უნდა იყოს: ომის წადილით შერხეულნი, ფარის ქრიალით შევხვდით მტერს.

გული მტკიცე კახია
მხურავს შენი ცა ვიღრე
(გ. ჯაბუშანიური).

„რითმის ტრფიალების გამო“ აქ ზმნისართი დაშორებულია ზმნას, რაც
ქართულისათვის არაბუნებრივი სინტაქსური მოვლენაა. უნდა იყოს: ვიღრე
შენი ცა მხურავს.

გ ვ ი ა ნ წითელი ღრუბელი მოსჩანს.
(ა. საჯაია).

აქ სიტყვა გ ვ ი ა ნ სრულიად ზედმეტად სჩანს, მისი ვერავითარი გადაად-
გილება საქმეს ვერ შველის, მისი ზმნასთან შეფარება კიდევ როგორმე შე-
საძლებელია (ფორმალურად), მაგრამ აქაც „ყაყაჩო გვიან მოსჩანს“ ულოგი-
კობა გამოდის.

მგზავრმა რა ჰქნას? გზას თუ შერჩა,
ზოვლის ხვაი ხვევს ავსებს.
არც გზა სჩანს და მთვარე არ სჩანს,
თან ცივა და იცის ასე.

(მ. გელოვანი).

გარდა იმისა, რომ კავშირებით და მიძიმებით გაერთიანებულ ამ „რთულ“
წინადადებაში არავითარი აზრობრივი თანდათანობა არ არის და სტრიქონებში
თითქოს ერთმანეთს გაურბიან, აქ ორი ზედმეტი სიტყვაც გვაქვს. ზედმეტია
„არ სჩანს“, რადგან უფრო ბუნებრივად შეიძლებოდა გვეფიქრა: „არც მთვა-
რე სჩანს და არც გზა“ (ჯერ მთვარე უნდა ითქვას, რადგან იგი მიზეზია გზის
უჩინარობისა, თუმცა ყველას სჯობდა, რომ აქ მაცალკევებელი კავშირი „არც“

სრულებით არ ყოფილიყო გამოყენებული, იგი უადგილოა და უხერხულობას იწვევს). უკანასკნელი სიტყვა კი (ასე) სრულიად უადგილოა, იგი მეორე სტრიქონთან შესართმავადაა ყურითმოთრეული.

ჩონგურს გაუბამს სიმებს ნიავი
ცაში ისრებად ნასროლ მერცხლებით...
(ალეკო შენგელია).

ამ ვითომდა წინადადებაში აშკარად ვგრძნობთ სიტყვათა უხერხულ დაწყობილობას, მაგრამ მისი სწორ გზაზე დაყენება სიტყვების გადასმ-გადმოსმითაც ვერ მოხერხდება, რადგან თვითონ აზრი და პოეტის მხატვრული შედარებაა ამოუცნობი: ჩონგურს გაუბამს სიმების ნიავი ცაში ნასროლი მერცხლებით, თუ პირიქით: ნასროლი მერცხლების ნიავეთ გაჰბმია ჩონგურს სიმები?! აქ სინტაქსური და სტილისტური შეცდომები ერთმანეთს ეხლართებიან.

ილ. ჭავჭავაძე ჩვენს მიერ ზემოთმოხსენებულ თავის სტატიაში „ორიოდე სიტყვა კოზლოვის „შეშლილის“ თარგმანზედა“ რეე. ერისთავის მთელრიგ გაუმართავ, მახინჯ გამოთქმებთან ერთად, ერთ ადგილას ახსენებს „ცისკარის“ თანამშრომლის ვინმე ბერიევის მიერ ლექსში ხმარებულ ასეთ წინადადებას „ფეხი გავიქნიე, ხელი“, ¹ სადაც დამატება გადატანილია შემასმენელის შემდეგ და ამით პირდაპირ სასაცილო კონსტრუქციაა შექმნილი (ნაცვლად ამისა: ხელი და ფეხი გავიქნიე). მაგრამ დიდი პოეტის მიერ სამართლიანად დაგმობილ წყობას, სამწუხაროდ, ჩვენს ზოგიერთ პოეტებში ერთგვარი გაცრეცელება მოუპოვებია:

წამოდგა ციხეც და სიხარულით
მზეს შეეგება და გათენებას...

(ე. სულაბერიძე, „შეხვედრა მტკვართან გორში“).

შორს მთები სდუმდნენ. წინ კი, ხევიდან,
ჯოგი სჩანდა და მწყემსის ფარუხი...

(გ. ძიგვაშვილი, „სამი ლექსი“).

თანამედროვე ქართულის პრაქტიკით აღიარებულია, რომ მსაზღვრელი წინ უძღოდეს საზღვრულს (მაღალი კაცი და არა კაცი მაღალი) ეს წესი ეხება ე. წ. ნანათესაობითარ მსაზღვრელსაც (პარტიის წევრი, მთის ნაკადული) ძველ ქართულ მეტყველებაში პირიქით იყო: მსაზღვრელს მეორე ადგილი ეკავა, საზღვრულს — პირველი (კაცი ბოროტი, მთანი მაღალნი, კარი რკინისაი) მართალია, მსაზღვრელ-საზღვრულის ურთიერთობაში, ეს ძველი წესი დღესაცაა შემონახული, მაგრამ ჩვენი სასაუბრო ენა მას იშვიათად მიმართავს. გაბატონებულია მხოლოდ პირველი წესი. მიუხედავად ამისა, ზოგიერთი თანამედროვე პოეტი ერთგვარ ტენდენციას იჩენს მასობრივად გამოიყენოს მსაზღვრელ-საზღვრულთა ურთიერთობის ძველი წესი. ეს მისთვის ხელსაყრელია ლექსის რეჟიმის მოთხოვნათა გამო. ასეთი პრაქტიკა არ არის მისაღები, იგი უკვე განვილილ, ძველი საფეხურის აღდგენისა და პოეტური სიტყვის სასაუბრო ენიდან დაშორებას მოასწავებს. ასეთი შემთხვევები კიდევ შედარებით ასატანი ხდება მაშინ, როდესაც საზღვრული სახელობით ბრუნვაში გვაქვს, ვინაიდან აზრის დაბუნდოვანებას აქ ადგილი არა აქვს, მაგრამ, როდესაც იგი სხვა ბრუნვაში გადადის მაშინ კი დაკავშირებულია აზრის გაუგებრობასა და ფორმათა აღრევასთან.

¹) ილ. ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტომი II, თბ. სახელგამი 1941 წ. გვ. 11.

I შემთხვევა:

ვერ აიტანა ჩრდილები ჭლექის
(გ. ძიგვაშვილი „ბალადა ძერუინსკის ექიმზე“).
თუმც ბინად იქცა უკურნელ ჭლექის (იქვე)
უკარები სახე მსაჯულის.
(რ. მარგიანი).
აი გამოჩნდა ნაპირი მიწის
(ვ. სულაბერიძე).
მოაქვს ცხენის წყალს გლეხკაცის სახლთან
ნარიყალა და მორები ფიქვის...
(ლ. ასათიანი).

II შემთხვევა:

აყვდა ძალი, ჭრიალმა ქიშკრის
ძილი დაუფრთხო მასპინძელს მძინარს...
დაასწრებთ ხშირად განთიადს მტრედის
(ა. ადამია).
მტკვარი აობრებს ქოხებს ჩაგრულთა
მტკვარი მოამტკრევს ბინებს ობლების.
(ი. შაიშველაშვილი).
ჩვენ ვიცით მარტო გულის ფარულს
და დაუხარჯავ ცრემლების ფასი
(ა. საჯაია)
მღერის ლექსებით, გულის დამწველით
(ლ. ასათიანი).

სინტაქსურ შეცდომათა რიგს უნდა მიეკუთვნოს სახელისა და ზმნის შე-
უთანხმებლობა რიცხვში, ასეთი შემთხვევები არც ისე იშვიათი მოვლენაა
ახალგაზრდა პოეტების შემოქმედებაში, რომელნიც ენაზე დაკვირვებულ ადა-
მიანს ერთბაშად თვალში ხვდებიან:

შენ გიგალობს საბჭოეთის ყველა ერები
(გ. ჯაბუშანური)

უნდა იყოს: გიგალობენ.

დგას ხეები ყელმოდრით...
(ა. თევზაძე).

უნდა იყოს: დგანან.

გადავდივართ სტილისტურ შეცდომებზე. ასეთი შეცდომები თავისი ხასი-
ათით შეიძლება სხვადასხვანაირი იყოს.

ხშირად ჩვენ საქმე გვაქვს ისეთ წინადადებასთან, რომელიც სავსებით სწო-
რადაა აგებული, ემორჩილება ყველა გრამატიკულ წესებს, მაგრამ მისი გა-
მოთქმა მაინც ყურს ეჩოთირება, უხეშად ისმის, აკლია შინაარსობრივი სიზუს-
ტე. ამის მიზეზი თვით სიტყვათა არაწესიერ შერჩევაში უნდა ვეძიოთ.

ყოველ ენას სიტყვათა შერჩევა-შეხამების ისტორიულად გამომუშავებული
ტრადიცია აქვს შექმნილი.

პოეტმა ანგარიში უნდა გაუწიოს ენის ამ ტრადიციას და მხატვრულ სახეთა
შექმნაში მოხერხებულად გამოიყენოს ენობრივი პრაქტიკით განმტკიცებული
მზადმეტყველების ეს ნიმუშები. პოეტის ინდივიდუალური სტილური ნიშან-
დობლიობა არ უნდა ლახავდეს საყოველთაოდ აღიარებულ, ლიტერატურულ
მეტყველებაში განმტკიცებულ სიტყვათა შეხამებას, არამედ მას უნდა ემყა-
რებოდეს და მისითვე ვითარდებოდეს.

აყვავებულ ველმინდორზე, მწვანე ჯეჯილზე, თუ ჭას ნიავი, ან ქარი ამოდრავებს, იტყვიან, რომ იგი ბიბინებს, მაგრამ ქარისავე ამოდრავებულ ზღვას ბიბინი ველარ უდგება. ზღვაზე იტყვიან ლივლივებს (თუ ოდნავ მოძრაობს), შფოთავს, ლელავს, ან ბობოქრობს „ზღვის ბიბინი“ სტილისტური შეუსაბამობაა, ისე, როგორც არ შეიძლება ითქვას მინდორი კამკამებს, კამკამი სუფთა წყლის ან ზეცის ეპითეტადაა შექმნილი და სხვ.

ზოგიერთი პოეტი, ორიგინალურ თქმათა გამოფონებით გატაცებული, არღვევს სიტყვების შინაარსობრივად შეწყობის ამ ტრადიციულ პრინციპს და ისეთ შეუსაბამო შენაერთებს გვაძლევს, სადაც ერთი სიტყვა მეორეს მხარს ვერ უწევს, სადაც ამის გამო მხატვრული ეფექტის ნაცვლად უღაზათო სტრიქონებს ვღებულვობთ.

ჭკოდებს, გოდებსა მომღერალი დრო და დრო ისვრის.
(ბ. კეშელავა, „შეჩენკო საპყრობილეში“).

გოდების გასროლა არ შეიძლება. პირველი სიტყვა „ჭკოდებს“ სავსებით საკმარისია სტრიქონში მოცემული შინაარსის ამოსაწურავად.

თითქოს მოისმის ბორკილების მსხვრევა და ხლეჩა.
(იქვე)

ხლეჩა სრულებით შეუფერებელია ბორკილებისათვის, ბორკილების ხლეჩა არ შეიძლება. აქ იგი ზედმეტიცაა, ვინაიდან მის გვერდით დგას უფრო ეფექტური სიტყვა „მსხვრევა“, რომელიც მნიშვნელობით ძალიან კარგად შეესაბამება გადმოსაცემ აზრს.

თენდება მკერდი დააჯახა ღამეს ცისკარმა.
(ბ. კეშელავა, „სოფლად თქმული“).

მკითხველთათვის ცხადია, რომ გამოთქმა „მკერდი დააჯახა“ მეტად უღამაზო, შეუფერებელი შეხამებაა გათენების აღსანიშნავად. ასეთივე ხასიათის მაგალითებია:

რტოს მოაშორებს სიმწიფის ბედი
დაგორდება და ვაზებს ჩაუვლის (ბედი დაგორდება!).
(ლ. ასათიანი).

და გრიგალი ნისლის ციხეს,
ხან ლურჯსა და ზოგჯერ ქერას;
ბერთვისიდან წამოიღებს.
ვაზიანში დასაფენად.
(მ. გელოვანი).

ნისლისათვის პოეტს შეუსაბამო მსაზღვრელი შეუწყვია (ქერა ნისლი!) არც ციხეა ნისლისათვის შესაშვენი.

დახვალ, თავზე დაგჩხრიალებს
გადამდნარი ოქრო...
(შ. ამისულაშვილი).

დამდნარი ოქრო არ ჩხრიალებს!

თითქო აგვიხდა გულის ნადები
ალომ დაყარა აშლილი ხაო...
(მ. მრეველიშვილი).

ველის მაღლობზე ლელავდა ქერი,
და იტაცებდა თვალს მინაზოდა.
(კ. ბობოხიძე).

„ველის მაღლობით“ ურთიერთ შეუწყობელი სიტყვებია, ხოლო „მინაზოდ“ მოგონილი და ამოუცნობი რამ უნდა იყოს (ალბათ მინაზებულად.)

სიტყვების არასწორი, არა დანიშნულებისამებრ ხმარებით ზოგიერთს წინადადებაში აზრი სულ დაბნეულია, დახლართული და გაუკუღმართებული: ამათ შეგვიძლიან შეუთავსებელი გამოთქმები ვუწოდოთ:

ვერა, ვერ გავძლებ, მთებო, უთქვენოდ
მე თქვენი მზე მწვავს, თქვენი თვისება
(გ. ძიგვაშვილი).

მზე რომ სწვავს, ეს ვიცით, მაგრამ „თვისება“ რაღა შეაშია? ნუთუ მასაც შეუძლიან დასწვას პოეტი?

რა დიდებული სანახავია
კოლხიდის ბაღში ბულბულთა სტვენა,
როცა ცის ნაპით მიწა სველია
და ისმის ვარდის ფოთოლთა ცვენა.

(ლ. ასათიანი).

საყურადღებო, ფსიქოლოგიური აღქმავა. ავტორი ბულბულთა სტვენას ხედავს, ხოლო ვარდის ფოთოლთა ცვენა კი ესმის!

მოაქვს ცხენისწყალს გლეხკაცის სახლთან —
ნარიყალა და მორები ფიჭვის,
ზამთრით ბუხარში აანთებს ხანძარს,
ოცნებასავით ნელნელა იწვის.

(ლ. ასათიანი).

გამოდის: ცხენისწყალს (მდინარეს) მოაქვს მორები, შემდეგ ბუხარში აანთებს ცეცხლს (ხანძარს) და თითონვე (სწორედ თითონვე. ე. ი. წყალი!) ნელნელა იწვის (ოცნებასავით!).

და მერე სივრცე, ნისლით ნაბური,
შემომცქეროდა შორიდან მღუმარს,
ცაში გედების ფრთების დგაფუნი
ბერდუჯის მთაში წვებოდა ღრუბლად.

(გ. გოჩალეიშვილი, „გორის ღამე“).

პოეტს გორის ცაზე გედები დაუნახავს, მოუსმენია მათი ფრთების დგაფუნი და უხილავს ეს დგაფუნი, როგორ ქცეულა ღრუბლად და ჩაწოლილა ბერდუჯის (?) მთაში. ეს კი საკვირველებია. ხმა იქცეს ნივთიერებად... (ღრუბლებად).

უფრო ფერი, რაღა ფერია?! ჩვენთვის არაფერი, პოეტისათვის კი ქერაც ყოფილა და გიშერიცა...

უფრო ფერი, რაღა ფერია?! ჩვენთვის არაფერი, პოეტისათვის კი ქერაც ყოფილა და გიშერიცა...

უფრო ფერი, რაღა ფერია?! ჩვენთვის არაფერი, პოეტისათვის კი ქერაც ყოფილა და გიშერიცა...

განა ჯავახური და ქართული შეიძლება დავუპირისპიროთ ერთმანეთს?

ძეგლს შეხედა, მერე ჩუმი
ფიქრობდა და იდგა ასე
იდგა, სიო თმებსა შლიდა,
ტანიც ისე, მიტრიალდა.

(მ. გელოვანი).

მოგონილია, როგორც იგავი
უსმენ და სმენას ეუცხოვება.
რა საჭიროა, რომელი თავი
გაეჯიბრება ცოცხალ ცხოვრებას
(ი. შაიშველაშვილი).

ამ ორ ტაეპში ჩადენილ შეცდომათა ორომტრიალიდან მხოლოდ ორი გამოე-
წერათ: „ტანიც ისე მიტრიალდა“ და „რომელი თავი გაეჯიბრება ცხოვრე-
ბას“. კოზლოვის შეშლილის მთარგმნელს ერთ ადგილას ასეთი სტრიქონები
ჰქონია ნახმარი:

გასწი, გაჰკურცხლე იმის ამბავი
შენ მომიტანე, რომ სატრფოს თავი
ჩემზედ რას ფიქრობს...

მოჰყავს რა ილ. ჰავჰავაძეს ეს ადგილი თავის სტატიაში, სწერს: „სასაცი-
ლოა, რომ რითმის ტრფიალების გამო კაცმა სთქვა: „სატრფოს თავი ჩემზედ
რას ფიქრობსო“, თავი იფიქრებდა თუ იფიქრებდა, ფეხები ხომ არა?! რაღა
თქმა უნდა მაგას? როგორც ვხედავ, თავადი ერისთავი ფეხებსაც-კი აფიქ-
რებინებდა, რომ რითმას მოეთხოვნა“^{*)}. შემოხსენებული წინადადებებიც სწო-
რედ ამგვარი ტიპის შეუთავსებელი გამოთქმებია.

მაგალითების ამოწერას აღარ გავყვებით, ჩვენს მიერ აქ მოცემულია ყვე-
ლაზე ძირითადი და პირველ შეხედვითვე ყველაზე თვალში საცემი ენობრივ-
სტილისტური შეუსაბამობანი.

ნათქვამიდან ცხადი უნდა იყოს, რომ ახალგაზრდა მწერალი მეტად უნდა
დაეუფლოს ენის ტექნიკას, მწერლობისათვის ყველაზე უსაჭიროეს ბასრ ია-
რალს, ლიტერატურული ენის ხერხიანად მოხმარებას.

*) ი. ჰავჰავაძე. თხზულებანი, ტომი II, 1941, სახელგამი, გვ. 15.

ლიტერატურა

„ლიტერატურის მატინაე“, წიგნი 1 და 2.

„ლიტერატურის მატინაის“ გამოცემა უსათუოდ დიდ კულტურულ მოვლენას წარმოადგენს. ამ კრებულში ლიტერატურის მუზეუმმა გამოაქვეყნა დღემდე ბევრი უცნობი მოგონება და დოკუმენტი ჩვენი მწერლებისა და საზოგადო მოღვაწეების შესახებ.

1-ლ და მე-2 წიგნში მოთავსებულია მასალები და მოგონებები ნიკოლოზ ბარათაშვილზე. ვაჟა-ფშაველასზე, ილია ჭავჭავაძეზე, ვასილ ბარნოვზე, იაკობ გოგებაშვილზე. მასში აგრეთვე გამოაქვეყნებულია მეტად საინტერესო დოკუმენტები და ნარკვევები.

ბირველი მასალა ეკუთვნის დ. სულიაშვილს: „მოგონებები ძველ გორზე“. სადაც მოცემულია ძველი გორის სურათები: დაბალჭერიანი სახლები, ვიწრო და ბინძური ქუჩები, მთვლემარე მეტელები, მეწვრილმანე ვაჭრები, აი რას წარმოადგენდა ძველი გორი.

მეორე მოგონება ეკუთვნის ვასილ ბარნოვს („სამწუხარო ღიმი“), რომელიც თავისებურად სდინჯითა და დიდის დაკვირვებით იგონებს ძველ სკოლას, სკოლაში გატარებულ მწარედღეებსა და აკადემიაში სწავლას.

ილია ჭავჭავაძის შესახებ გამოქვეყნებულია ცხრამეტი მოგონება: მოგონებათა გამოქვეყნებას ჩვენ განსაკუთრებული ყურადღებით უნდა მოვებყრათ. ვინაიდან მოგონება ხშირ შემთხვევაში სუბიექტურია. ჩვენ გვინდა აქ მკითხველის ყურადღება მივაქციოთ ეკ. გაბაშვილის მოგონებაზე ილია ჭავჭავაძის შესახებ.

აქ არ შეგვხვებით ყბადაღებულ „ბანკობიდას“ და ილიას დამოკიდებულებას მახაბლისადმი, — ეს ყველასათვის ცნობილია. შევჩერდებით ერთ მომენტზე, რომელიც მოითხოვს ფართო განმარტებას, თორემ ნორჩ თაობას, ვისაც ეკატერინე გაბაშვილის წერილების გაცნობა მოუხდება, უსათუოდ ილია წარმოუდგება მეტად გულქვა ადამიანად.

ეკატერინეს სმენა ეკარგებოდა, ყურების მოსარჩენად იგი წავიდა ბელგიაში. ბრუსელში მას დახვდა დიმიტრი ყიფიანის შვილი კოლა ყიფიანი, რომელიც რუსული ენის მასწავლებლად იყო იქ, ივან ივანოვიჩ ივანოვის გაარით.

კოლა ყიფიანის ქალიშვილები ინიო და ვარო ეკატერინეს გააცნობენ უკრაინელ პროფესორ ქალს იორტეკს. აი, ის იორტეკე დააჯერებს ეკატერინეს ამ ქალიშვილების დიად მომავალში და სთხოვს მას, ტფილისში დაბრუნებისას ილიას წინაშე იშუამდგომლოს, რათა მათ ბანკიდან სტიპენდია დაუნიშნონ. ეკატერინე კისრულობს ამ შუამდგომლობას.

ეკატერინეს ილიასათვის გაუგზავნია წერილი, მაგრამ ილიას არავითარი ყურადღება არ მიუქცევია და, ეკატერინეს სიტყვებით რომ ვთქვათ, ამ უკანასკნელს ახლა უკვე „გაავზნებულ“ წერილით მიუმართია მისთვის; მაგრამ ილიასაგან კვლავ არავითარი პასუხი არ მიუღია. რა მოხდა, რამ გააკერა ამ საკითხში დიდი ილია? საქმე შემდეგშია:

ილია ბანკის დირექტორად რომ იყო, მაშინ ბუნჰალტრად ყავდა პალიკო ყიფიანი, ფრიად ნეჭიერი კაცი, მომავალი მწერალი-დრამატურგი. მას „ბედნიერ პალიკოს“ ეძახდნენ, ილიაც უსაზღვრო ნდობითა და სიყვარულით ეპყრობოდა. მაგრამ ამ „ბედნიერმა პალიკომ“ ერთ მშვენიერ დღეს მოუსვა ბანკის ფულს ხელი და ბელგიაში ამოჰყო დავი. პალიკოს საქციელის გამო აღშფოთდა მთელი საქართველო. ილიას აყვედრიდნენ. აკაკიმ საგანგებო ლექსებით უძღვნა სულიკოს ხმაზე („ფულიკო“). და აი ეს „ბედნიერი პალიკო“ უბედნიერეს ცხოვრებას ეწევა ბრუსელში. მასთან თავს იყრიან კოლა ყიფიანი და მისი ქალიშვილები. იმართება ჭეიფი ყიფიანთ უბანში, ვიდრე „ფულიკო“ ჰქონდათ პალიკოს და გაივანოვიჩ-ივანოვებულ კოლა ყიფიანს. მაგრამ, აი, გამოვლიათ ფული. მოჰყვენ გოდებას და იწყებს სამშობლოსაკენ ცქერა. ეს ასე რომ იყო, ამას არც ეკატერინე გაბაშვილი ჰმალავს.

ასეთი ხალხი კი ილიას სტიპენდიას თხოვს. ამის შემდეგ გასაგებია: ილია ყიფიანის მიერ ასე შერცხვენილი, იმდენად არ დაიმცირებდა თავს, რომ ბანკში მათთვის სტიპენდიის დანიშვნის საკითხი დაეყენებინა.

„მკაცრი“, „მრისხანე“, „უურადლება“ არ მომაქცია. აი ამას ვკითხულობთ ეკ. გაბაშვილის მოგონებაში ილიას შესახებ.

ამავე „მატიანეს“ 149 გვერდზე, ილიასთან უფრო ახლოს მდგომი გლეხები იგონებენ: „ილია ძლიერ კეთილი იყო, თავის გლეხებს ეზოები და ნადელები უსასყიდლოდ დაუბრუნებდა“. ილიას მოურავი ყვარულში ნოშრევან ჯაფარიძე იგონებს: „ილიას უყვარდა ძალიან გლეხობა, თვითონ გლეხობასაც ძალიან უყვარდა ილია“.

„მატიანეში“ მოგონების ავტორები ლაპარაკობდნენ ერთს, რომ ილია გონიერი ადამიანი და გლეხების მედგარი დამცველია, ეკატერინე გაბაშვილი კი ამბობს, ილია მკაცრი და უადამიანო იყო.

ილიას გარშემო დაბეჭდილი დანარჩენი მოგონებები ყველა საინტერესოა, მაგრამ განსაკუთრებით ყურადღებას იპყრობს ნინო ყიფიანის მოგონება ილიაზე.

ნინო ყიფიანი იგონებს ილიასა და ვანო მაჩაბლის დავას ბანკის გარშემო. ილიას დაუდობლობას მოწინააღმდეგის მიმართ. ის გულისტკივილით აღნიშნავს ამ ორი დიდი ადამიანის შეტაკებას.

„ლიტერატურის მატიანეში“ ფართო ადგილი აქვს დათმობილი აგრეთვე ვაჟა-ფშაველასაც. ამ მასალებიდან ბევრი რამაა უფარგისი, არადამაჯერებელი, სადაო, ზოგი კიდევ მთლიანად არა საყურადღებოა. მაგალითად, ინტერესს მოკლებულია მოგონება ვაჟას ცხვირის დაცემინებაზე.

იაკობ გოგებაშვილის შესახებ მოთავსებულ ორ მოგონებაში (შიო მღვიმელისა და ვ. ავალიშვილისა) მოსჩანს იაკობის დაუღალავი და ვაჟაკური ბრძოლა რუს ბიუროკრატებთან, რომლებიც ხელს უშლიდნენ ქართულ სკოლებში ქართული ენის სწავლებას.

მატიანეში დაბეჭდილ გამოკვლევათა შორის განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ირნა მეუნარგიას წერილი „ცხოვრება და ღვაწლი გრ. ორბელიანისა“. შეიძლება ითქვას, რომ ი. მეუნარგიას წერილი ერთადერთი წერილია გრ. ორბელიანის შესახებ, სადაც იგი დიდი დაცვირვებით, მრავალი ფაქტითა და დიდი განსწავლულობით არკვევს გრ. ორბელიანის ღვაწლს ქართულ ლიტერატურაში.

გამოკვლევათა შორის აღსანიშნავია მიხ. ხელთუბნელის წერილი „უკანასკნელი წელი ნიკ. ბარათაშვილის ცხოვრებისა“, გ. აბზიანიძის „ნ. ბარათაშვილის ერთი ლექსის გენეზისი“, ს. ტაიშვილის „ნ. ბარათაშვილის ბიოგრაფიისათვის“ და მისივე „მასალები ალ. ჭავჭავაძის ბიოგრაფიისათვის“, გ. ლეონიძის გამოკვლევა „ბარათაშვილის გარშემო“. აგრეთვე—ი. ენიკოლოპოვის და ი. ბალახაშვილის წერილები ბარათაშვილზე.

აქვეა მოთავსებული მ. გორკის გულთბილი წერილი ა. კალუენისადმი. კარგი იქნებოდა „მატიანეს“ რედაქციას მ. გორკის ეს მიწერ-მოწერა თარგმნის სახითაც დაებეჭდა.

აქ არ შეგვიძლია 564 გვერდიან წიგნში დაბეჭდილ ყველა მასალას ცალკე შევხებით. ჩვენს არქივებში შენახულია მეტად საინტერესო ეპისტოლარული მასალა, რომლის გამოქვეყნება საინტერესო იქნებოდა ჩვენი მკითხველებისათვის. ლიტერატურის მუზეუმმა და „მატიანეს“ რედაქტორმა მეტი ადგილი უნდა დაუთმონ ასეთი სახის წერილებს.

ალ. სიგუა.

ლადო ბალიაური „შურისგება“

„ფედერაცია“, 1941 წ.

ახლახან გამოვიდა ახალგაზრდა შწერლის, ლადო ბალიაურის რომანი „შურისგება“.

რევოლუციის შეურიგებელი მტერი გიორგი ხევსურეთს აფარებს თავს. ხევსური ჯლულავა მისი მეგობარი. მან იცის მისი საიდუმლო... და რომ თავი დაიზღვევოს, გიორგი მოკლავს ჯლულავას, არაგვის ტალღებს მიაბარებს მის გვამს. დასწავას იმ ხილს, რომელიც ხევსურეთს აერთებდა ბართან. ამიერიდან ჯამრულია მისი სახელი. ხევსურების სოფელ გუდანში ათენგენობაა. რჩეული ვაჟაკები სიმამაცესა და იარაღში დახელოვნებას ამოწმებენ. ფარიკაობაში შეჯიბრებისას ვაჟაკი სუმბათი კლავს ხევსურ ბერდიას. აელვდა ხმლები, „გვარი-გვარს დაეჯახა“, სუმბათი თავისი მეგობრებით მდევარს გაერიდა... მაგრამ ორწყალმა უღალატა მას; ხიდი დაშვარი აღმოჩნდა. არაგვის ტალღებს მიანდეს თავიანთი ბედი. გიუმუ მდინარის ტალღებმა გაიტაცეს სუმბათის დაი ხათუთა. თავგამეტებით გადაეშვა მდინარეში ხათუთის გულის სატრფო ლაგაზი და გამოსტაცა იგი ბუნების გაშმაგებულ სტიქიას. მაინც ვერ უშველა: „თეთრი, თოვლივით თეთრი მკერდი გალილისფერებულოც — ცხენის წაქცევის უამს უნაგირის ტახტა მოხვედროდა... დემეტერია მკერდის ფიცარი“... ქალი ანდერძად უტოვებს სატრფოს, რომ შური იძიოს ხევსურთ წესების სიავეზე, ღრეობაზე. ხატ-ღმერთზე „ხალხს შველა უნდა... შენ ჰკვიანი ხარ... გიყვარდა ხალხი. უფრო შეიყვარე, ხალხის სიყვარული ჩემი სიყვარულიც იქნების... შენ მამაცი ხარ, შენი სიმამაცე სჯეროდა ჩემს გულს, გამჯობინე ყმაწვილებს. სიმამაცე ხალხს გამოაყენე: შური იძიე ცხოვრების სიავეზე“... ეს იყო უკანასკნელი ამონათქვამი საყვარელი არსების ზავთავან. ამით დაიწყო ახალი ცხოვრება ლაგაზისათვის. იგი მტკიცედ გადასწყვეტს ისწავლოს. დაუახლოვდება ომის ინვალიდს გიგი ლიქოკელს. რომლის დახმარებითაც მალე გათვითცნობიერდება. ლაგაზს სოფელი საბჭოს თავმჯდომარედ აირჩიეს, მაგრამ ხევსურეთში ჯერ კიდევ ძალაშია ძველი ადათები. ამით სარგებლობს კულაკური ფენა. რომელსაც ზურგს უმაგრებს ხალხის მტერი ჯამრული. მიუხედავად მრავალი წინააღმდეგობისა, პარტიისა და ხელისუფლების დახმარებით ხევსურეთში გაიმარჯვებს ახალი იდეები. ლაგაზი და გიგი თავის ირგვლივ შემოიკრებენ ახალგაზრდობას. ლაგაზმა პირნათლად შეასრულა ხათუთას. ანდერძი. შური იძია ძველი ცხოვრების სიავეზე სოციალისტური მშენებლობის მკვიდრს ნიადაგზე დგომით. რომანი თავდება ქართველი ხალხის საამაყო შვილის ლავერტი ბერიას სტუმრობით ხევსურეთში.

რომანის მთავარი იდეაა შურისგების პრობლემის სოციალურ სიბრტყეზე გადატანა. შურისგება ხევსურებისათვის გარდაუვალი წესი იყო ცხოვრებისა. შურისგება ანადგურებდა და დატყვევებდა მათ ძალებს, სპობდა ადამიანური ცხოვრების შესაძლებლობას. შურისგებას გვანას ფარგლებში უნდა დაპირისპირებოდა შურისგება ხევსურთა ძველი ყოფის, როგორც უფარვისი და ხავსმოკიდებული ნორმების სისტემის, მიმართ. ლადო ბალიაურის რომანის ღირსება იმაშია, რომ მასში პრობლემა შურისგებისა სწორედ ამ ხანითაა დასმული და გადაწყვეტილი. სრულყოფილად და დახატული ლაგაზის სახე. მისთვის საზოგადო ყოველთვის შიდა სდგას პირადულ ინტერესზე. წიგნის კითხვის დროს მთელი არსებით თქვენც ლაგაზთან ხართ, იზიარებთ მის ფიქრებს, წუხილს, სიხარულს.

დიდი სიყვარულითაა გამოხატული ახალგაზრდა ხევსური ქალის ტიპი ძილოს სახით. ძილო — ეს ახალგაზრდული გზნებისა და გატაცების ცოცხალი და დაუფიწყარი სახეა. მის ჯანსაღ მკერდში მძლავრად ფეთქს სიყვარულითა და სიხარულით აღსავსე გული. მუდამ მღელვარე, მოქმედი. უინანი, მაგრამ გამოწვევი ღიმილით, ვაჟთა დამატყვევებელი ძილო სიცოცხლის სავსეობის განსახიერებაა. რომანში კარგადაა გამოხატული ლაგაზისა და ძილოს ურთიერთობა. ლაგაზს იზიდავს ძილო თავისი ქალურობით, მაგრამ ძილო დასცინის მის გაუბედაობას, ახალგაზრდა ქალი ვაჟში ვაჟაკს ეძებს... ჯამრულთან ბრძოლამ ძილო დაარწმუნა ლაგაზის ვაჟაკობაში და თავისი სიყვარული ვაჟისადმი მით გამოხატა, რომ მკვირფასი სტუმრის მოლოდინში ლაგაზს ცხენი მოჰგვარა და თავდახრილმა მიაწოდა სადავე.

საყურადღებოა ბეწის სახე. იგი ცნობილი ქურდი იყო. ნაქურდალ საქონელს ჰყიდდა და მით არჩენდა ცოლ-შვილს. ერთხელ ლაგაზს მიადგა მოწმობისთვის... ლაგაზი მკაცრად შეხედება ურჩევს—მიატოვოს სამარცხინო ხელობა. ლაგაზის გავლენით ის კეთილსინდისიერ შრომას მოჰყიდებს ხელს. ერთის შეხედვით ასე უცაბედად გარდაქმნა ადამიანის ხასიათისა და უჯერებელია. ეს არც ავტორს სჯერა. მრავალჯერ გამოსცდის ის ბეწის და ბოლოს ჯამრულის ჯგუფთან დააკავშირებს. ბეწის არა აქვს მთლიანი ხასიათი, მაგრამ იგი არც ისე წამხდარია ზნეობრივად, რომ კეთილის დაფასების უნარი არ გააჩნდეს. როცა ჯამრულის ჯგუფი გადაწყვეტს ლაგაზის მოკვლას, ბეწი განუდგება მათ და თავის კეთილსინდისიერ ლაგაზს შეატყობინებს მოწინააღმდეგეთა საიდუმლო გეგმებს. ბეწის ტიპის დახატვით ავტორმა ცხადყო თავისი უნარი ადამიანის ხასიათის ფსიქოლოგიურად დამაჯერებელი ანალიზისა.

კარგადაა მოცემული კლასობრივი მტრების: ჯამრულის, აპარეკას, ღერენას სახეები. საინტერესოა, განსაკუთრებით, ჯამრულის ტიპი. იგი სტანდარტი კი არაა კლასობრივი მტრისა, რომელსაც, შეხედავ თუ არა, მაშინვე იცნობ—საჩვენო კაცი რომ არაა. ჯამრული ხალხის სამტრო საქმეთა დახელოვნებულ ოსტატია, რომელიც გულის სიღრმეში ინახავს თავის ბნელ საიდუმლოებას. შედარებით ფრაგმენტალურია აპარეკას და ღერენას სახეები.

რომანის კვანძი იხსნება იქ, სადაც ხათუთას ძმას, სუმბატს ლაგაზი ჩაჩქანს მოხდის:

— „რას მიწვები, ლაგაზ! მოსისხლენი გაიგებენ ჩემს მოსვლას!—მიმართა მან ლაგაზს.

— ახალ ხევესურეთში შენ აღარ გყავს მოსისხლე, სუმბატ!—მოუგო მისი ხილვით გახარებულმა ლაგაზმა“.

შურისგების, როგორც ხევესურების უფარგისი ადათის, მიმართ შური ნაგებია. ამის ბრწყინვალე მაჩვენებელია ჰემარიტი ადამიანურობა, კულტურა, ბედნიერი ცხოვრება. სოციალურ ნიადაგზე დასმული პრობლემა შურისგებისა მხატვრული თვალსაზრისით სრულყოფილადაა გადაჭრილი... და მიიწვ, გაუგებრობას იწვევს ლაგაზისა და ჯამრულის შეჯიბრება ფარეკაობაში. იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს ავტორი ამით ერთგვარ ხარკს უხდიდეს ხევესურთა ადათს შურისგებისას. ჩვენის აზრით, რომანის ძირითად ტენდენციას ეს ეპიზოდი არ შეეფერება. ჯამრულის დამარცხება ფარეკაობაში სრულიადაც არაა საქირო, რადგან იგი ფაქტურად მაშინ დამარცხდა, როდესაც ბარსა და მთას შუა აღმართული ზღუდე დინამიტების გუგუნმა სამუდამოდ შეარყია და გაანადგურა.

რომანში კარგადაა გაგებული სიყვარულის სოციალური ფუნქცია, მისი ჰემარიტად ადამიანური და ამამალეებელი ძალა. ხათუთას სიყვარული და პატივისცემა ლაგაზში კეთილშობილ მიზნისკენ შეუჩერებელი წინსვლის რწმენას ჰბადებს, გმირულ სულს ზრდის და ბოლშევიკურ ხასიათს და ნებისყოფას აყალიბებს...

მხატვრული თვალსაზრისით წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებს სურათი არაგვის მშფოთვარე ტალღებთან ლაგაზისა და ხათუთას ბრძოლისა, საქონლით დატვირთული ბეწის ჩამოსვლა დღუშეთიდან და ხალხის შეხედრა, ძილოს მიერ ლაგაზისათვის ცხენის მიგვრა და სადავის მიწოდება. და, დასასრულ, მოხუცი მინდის სიხარული ლაგარენტი ბერისათან შეხვედრის გამო.

რომანს საინტერესო და სასიამოვნო საკითხავად ხდის ფოლკლორული მასალების მოხატვნილად გამოყენება.

რომანი გადატვირთულია ხევესურული სიტყვებითა და დიალექტური ფორმებით, მაგალითად: ულაგი, ჩაფურასტი, ცქანტლი, ჩქრო, ანგრილი, უღირი, ცქიოტი, ფეხონი, ცარვალი, განჩქლეული, ბუსუნი, ლემადე, დაზღვეპილი, ბუსწო, ტაგრუცი, ონჩქივარი, სიგრიგალა, ქეროზა, ქირჭო, აგნილება, აერივა, გათორივა, ასწივა, დააძლივა, დაიკლაკნის, დაიძაბვის, გააშტერნა, გაშალნა, მოილოკნა, დაახელნა, გამოითხოვნა, მაგივარი და სხვ.

არის ენობრივად არასწორი რამდენიმე წინადადებაც:

„ხახმატის მკერდზე ჩამორეკილმა ზარის ხმა ურუანტელივით გაუვლიდა ხევესურეთს“ (209 გვ.).

„კვლავ ლუდიანი თასებს ჩამოირიგებდნენ“ (34 გვ.).

„პირზე მოსული სადღეგრძელოს ამბობდნენ“ (34 გვ.).

ზემოთაღნიშნული ხარვეზები, რა თქმა უნდა არ ახდენს გავლენას რომანის მთავარი იდეაზე, მაგრამ მათი ამოვსება და მხატვრულად გაკეთილშობილება აუცილებელ პირობას წარმოადგენს მწერლის შემოქმედების შემდგომი ზრდისა და დავაუკაცებისათვის.

შ. ლლონბი.

**1941 წ. იანვრიდან „ჩვენი თაობა“ გაგზავნის
ყოველთვიურად**

ბელის მოწერის პირობები:

წლიურად 24 მან.

ნახევარი წლით 12 „

ცალკე ნომერი 2 „

ბელის მოწერა მიიღება სახელგამის ყველა მაღაზიაში, სოიუზპეჩა-
ტის რაიბიუროებში და სახელგამის პერიოდ-სექტორში.

რედაქციის მისამართი:

ტფილისი, მაჩაბლის ქ. № 13, მწერალთა კავშირი.

ფანდი № 856.

№ 553
1941



Ежемесячный журнал
„**ЧВЕНИ ტაობა**“

Сахелгами 1941 г. Тбилиси